ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 ივლისი **შაბათი** 2010

№ 178 (13 166) ფასი 60 თეთრი

## საქართველოს ჩემპიონატი. სტარტი გადაიდო

აღმასკომის სხდომა » გვერდი 2

# ამბიციური ვარ!




ამბობს იგორ კოკოშკოვი

რეპორტაჟი ნაკრების ღია ვარჯიშიდან და ინტერვიუ მთავარ მწვრთნელთან » გვერდი 11





## მარცვალაძე: გოლი პლუს პასი

» გვერდი 4



## ამ ბარიერს თუ ვერ გადავლახავთ...

კარპატი-ზესტაფონი. გამოხმაურება

» გვერდი 2



## გეშინოდეთ ანანიძის!

აფრთხილებს ლოვჩევი ცსკა-ს

» გვერდი 2

# ქართული ფეხბურთი

სფფ — ალმასკომი

## ეროვნული ჩემპიონატი მეორე ტურით იწყება

### ალმასკომმა ჯარიმები გააორმაგა

როგორც უკვე გაცნობეთ, გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა ჩატარდა. ჯერ სხდომის დღის წესრიგზე:

**1. სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის დამტკიცების შესახებ;**

**2. საქართველოს 2010-11 წლების ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების რეგლამენტის, სადისციპლინო დებულებისა და უმაღლესი ლიგის კალენდრის დამტკიცების შესახებ;**

**3. შპს „საგურამოს საფეხბურთო კომპლექსის" საწესდებო კაპიტალის შევსების შესახებ;**

**4. სამსაჯო საკითხების შესახებ;**

**5. სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემაში საკადრო ცვლილების შესახებ;**

**6. 2010-2011 წლების საკლუბო ლიცენზირების შედეგების შესახებ;**

**7. სხვადასხვა.**

22-ე ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ახალ სეზონში ახალი სადისციპლინო კოდექსი ამოქმედდება. მაგალითისთვის, თუ აქამდე მცირედი დარღვევისთვის მინიმალური სასჯელი 50 ლარი იყო, ამიერიდან დამრღვევს ორმაგი თანხის, 100 ლარის გადახდა მოუწევს. მაქსიმალური საჯარიმო სანქცია კი 50 ათასი ლარი გახდა.

ფედერაციის ალმასკომმა ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ახალი სეზონის რეგლამენტი, სადისციპლინო კოდექსი და კალენდარი დაამტკიცა. აქვე გაცნობებთ, რომ კალენდარში მცირედი ცვლილებაა - 22-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური 6-7 აგვისტოს ნაცვლად 15 სექტემბერს ჩატარდება? რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ჩემპიონატი მეორე ტურის მატჩებით, 14 აგვისტოს დაიწყება.

საქმე ისაა, რომ „ზესტაფონი" და თბილისის „დინამო" ევროპის ლიგაზე ასპარეზობას აგრძელებენ და საპასუხო მატჩები 5 აგვისტოს უწევთ. გარდა ამისა, 11 აგვისტოს ჩვენს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს, შესაბამისად მოლდოვასა და სომხეთში აქვთ ჩასატარებელი მატჩები. ფედერაციის ალმასკომმა ეს ფაქტორები გაითვალისწინა და ჩემპიონატის დაწყება გადადო. შპს „საგურამოს საფეხბურთო კომპლექსში" ფედერაციამ ხელოვნურსაფარიანი მოედანი დააგო. მთლიანად ამ სამუშაოსთვის ფედერაციამ 400 ათასი დოლარი გაიღო. ეს თანხა საგურამოს საფეხბურთო კომპლექსის საწესდებო კაპიტალში ალმასკომის გადაწყვეტილებით უკვე აისახა. შესაბამისად, ფედერაციის წილიც გაიზარდა.

ალსასკომმა განიხილა და დაამტკიცა სამსაჯო კომიტეტისა და სამსაჯო განყოფილების მიერ შეთავაზებული დებულება და კოდექსი.

სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემაში მომხდარი საკადრო ცვლილება ალმასკომმა დაადასტურა. საქმე ის არის, რომ ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების სააპელაციო ორგანო **ბეჟან თურმანიძემ** საკუთარი სურვილით, სხვა სამსახურში გადასვლის გამო დატოვა. მის შემცვლელს კი ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** შეარჩევს.

ალმასკომის სხდომაზე, ლიცენზირების კომიტეტის მიერ, გასულ სეზონში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში მოისმინეს.

დაბოლოს, ქუთაისური კლუბის მესვეურებმა ალმასკომს ახალი წესდება, ლოგო და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი წარუდგინეს და კლუბისთვის ძველი სახელწოდების, „ტორპედოს" დაბრუნების თხოვნით მიმართეს. ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა რიონისპირელთა საკითხი დადებითად გადაწყვიტა. შესაბამისად, ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში უკვე ქუთაისის „ტორპედო" იასპარეზებს.

ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი — ზესტაფონი-კარპატი

ევროტურნირებზე შემორჩენილი ორი ქართული გუნდიდან, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად თბილისის „დინამოზე" უკეთესი შანსი „ზესტაფონს" აქვს. საინტერესოა, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა უცხოურ პრესაში ქართულ-უკრაინული დაპირისპირების პირველ რაუნდს. ეს ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული და ყოველივეს აქვე გთავაზობთ.

„ყველაფერი საქართველოში გადაწყდება", „კარპატიმ" და „ზესტაფონმა" შანსები შეინარჩუნეს", „ლვოველებმა შინ ერთი ბურთი იკმარეს", „ფრეს მინიმალური მოგება სჯობდა"... ეს და სხვა სათაურები ამშვენებს უკრაინულ ინტერნეტგამოცემებზე გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებშიც „კარპატი"-"ზესტაფონის" მატჩის მიმოხილვაა გადმოცემული.

ვნახოთ, რა განაცხადეს მეტოქე გუნდების თავკაცებმა მასმედიასთან საუბარში.

„ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი ლვოვში ჩატარებული მატჩის შედეგით უკმაყოფილოა, მაგრამ საპასუხო მატჩისთვის ოპტიმისტურად არის განწყობილი.

*„ვფიქრობ, საინტერესო თამაში გამოვიდა. ჩვენც და „კარპატიმაც" შემტევი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ჩვენ შემტევი ფეხბურთის მიმდევრები ვართ და ლვოვშიც არ გვიფიქრია ჩაკეტილი თამაში გვეჩვენებინა. ჩემი გუნდის თამაშს ორ ნაწილად დავყოფდი. გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი აჩვენა. პირველ ნახევარში თამაში ჩავაგდეთ. ჩემი მოთამაშეები სისწრაფეში მოიკოჭლებდნენ, მოდუნებულები ჩანდნენ და მათი გამოცოცხლება აუცილებელი იყო. შესვენებაზე ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მქონდა, თამაშში კორექტივები შევიტანეთ და ამან შედეგიც გამოიღო, მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენეთ. პირველი ნახევარი ნახევარდაცვამ სუსტად ჩაატარა. მერე ტაიმში მათ თამაში გამოასწორეს, მაგრამ დაცვაში დავუშვით შეცდომები. თავდასხმის ხაზი კი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა.*

*ნაგება არავის უყვარს და არც ერთი მწვრთნელი არ იტყოდა, რომ 0:1 წაგებით კმაყოფილია. ასე რომ, შედეგით მეც უკმაყოფილო ვარ. თუმცა ისიც უნდა ალინიშნოს, რომ მატჩის ბოლოს აშკარა გოლს გადავურჩით. მეტოქეს მეორე ბურთი რომ გაეტანა, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.*

*მინიმალურად დავმარცხდით და*

## გია გეგუჩაძე: თუ ამ ბარიერს ვერ გადავლახავთ...

*როგორც ამ მატჩამდე ვვარაუდობდი, ისეა - ყველაფერი ზესტაფონში გადაწყდება. შინ სწრაფად უნდა ვითამაშოთ, სწორედ ეს არის თანამედროვე ფეხბურთი.*

*შევძლებთ თუ არა ამ ბარიერის გადალახვა? ვნახოთ... „კარპატი" კარგი გუნდია. ჩვენი გუნდი პროგრესს განიცდის და თუ მომდევნო ეტაპზე ვერ გავალთ, ამას წარუმატებლობად*



*ჩავთვლი"*, - აღნიშნა „ზესტაფონის" თავკაცმა **გია გეგუჩაძემ**.

ახლა კი ვნახოთ, თუ რა აზრის არის ლვოველთა გუნდის მთავარი მწვრთნელი.

*„რთული თამაში გვქონდა. შედეგით კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ ბურთი გავიტანეთ და კარის მშრალად შენახვა შევძელით. მეორე ბურთის გატანაც შეგვეძლო, ძალიან ახლოს ვიყავით მიზანთან, მაგრამ დასანანია, რომ ეს ვერ შევძელით. ჩვენი მიზანი „სწრაფი გოლის" გატანა კი არა, თამაშის მოგება იყო და კმაყოფილი ვარ, რომ ეს შევძელით.*

*„ზესტაფონი" ძალიან კარგი გუნდია. მეტოქეს არაფრით გავუოცებივარ, მაგრამ კარგად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება ნამდვილად დატოვა, რომელსაც შეუძლია მწვავე იერიშების განხორციელება. თავიდანვე ველოდი, რომ ქართველები ბურთის გაკონტროლებას შეძლებდნენ და კონტრშეტევებზეააწყობდნენ თამაშს.*

*რაც შეეხება ჩემს გუნდს. არცთუ მაღალ ტემპში ვითამაშეთ. ვფიქრობ, ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" მატჩის შემდეგ ჩემმა ფეხბურთელებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს.*

*... დიახ, გეთანხმებით, ჩემი ფეხბურთელები მეტოქის კარში ცოტას ურტყამდნენ. ვფიქრობ, ეს ქართული გუნდის დამსახურებაა. ჩემი გუნდის მთავარი მინუსი ის არის, რომ თავდამსხმელებზე მეტად მცველებსა და ნახევარმცველებს გააქვთ გოლები. რეიკიავიკში ჩატარებულ მატჩსა და მომდევნო თამაშებში ნათლად გამოჩნდა, რომ რაღაცის შეცვლა მოგვიწევს. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ საგანგაშო არაფერია, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. თავდამსხმელები უფრო თავდაჯერებულები უნდა იყვნენ და შეტევები გოლით დაასრულონ. მჯერა, რომ ჩვენი ფორვარდები მალე მოუმატებენ ბურთების გატანას.*

*„ზესტაფონს" შინ ბევრი გოლი გააქვს? მერე რა, ჩვენ სტუმრად ცოტა გოლს ვუშვებთ. საპასუხო მატჩისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ"*, - განაცხადა „კარპატის" თავკაცმა **ოლეგ კონონოვმა**.

დაბოლოს, ლვოველები ზესტაფონში სტუმრობამდე ჩემპიონატში ითამაშებენ, მე-4 ტურის მატჩში „კარპატი" 1 აგვისტოს „ზარიას" ლუგანსკში ეთამაშება. ლვოველთა წინააღმდეგ იმერლები საპასუხო მატჩს ზესტაფონში 5 აგვისტოს ჩაატარებენ. მანამდე გია გეგუჩაძის გუნდს ეროვნულ ჩემპიონატში სასტარტო ტურში უნდა ეთამაშა, მაგრამ 6-7 აგვისტოს გასამართი პირველი ტურის მატჩები სექტემბერში გადაიტანეს

ლეგიონერი

## ლოვჩევი: გეშინოდეთ ანანიძის!



საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ვუნდერკინდ **ჯანო ანანიძეს** რუსეთის ჩემპიონატში არაერთი სპეციალისტი მოუხიბლავს. ერთი სიტყვით, მისი შესაძლებლობები, იქაც კარგად იციან და სათანადოდ აფასებენ მის ტალანტს. ამ შინაარსის მასალა ადრეც შეგვხვედრია და ამჯერადაც მსგავსი უნდა გაგაცნოთ.

საქმე ის არის, რომ რუსეთის პრემიერლიგის მე-15 ტურში, მოსკოვის „სპარტაკი" იმ ცსკა-ს ეთამაშება, რომელიც გასულ უქმეებზე ნალჩიკელებმა **დავით სირაძისა** და **გოგიტა გოგუას** გოლებით დაამარცხეს. უახლოესი ტურის მატჩების შესახებ ვებგვერდი championat.ru საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი მცველი **ევგენი ლოვჩევის** აზრით დაინტერესდა. „სპარტაკი"-ცსკა-ს წყვილზე საუბრისას ლოვჩევმა ანანიძეზე გაამახვილა ყურადღება და არმიელთა კლუბის მცველებს რჩევა-დარიგებაც მისცა.

*„სპარტაკის" თავკაცმა ვალერი კარპინმა ჯანო ანანიძეს სრული თავისუფლება მისცა. მწვრთნელმა ჯანო დაცვითი ოპერაციებისგან გაათავისუფლა და საგოლე მომენტების შექმნაზე ორიენტირება მოსთხოვა. ვფიქრობ, ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ და ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რამდენად ნიჭიერია ანანიძე. ყოველ მომდევნო მატჩში ჯანო უფრო თავისუფლად, შემოქმედებითად, დამაჯერებლად თამაშობს და უფრო უკეთ წარმოაჩენს საკუთარ ტალანტს. თუ „არმიელები" ჯანოს პირველივე ტაიმში ხისტად არ ეთამაშებიან, მაშინ ანანიძე მათ მორიგ შოუს შესთავაზებს. ასე რომ, მამაევო და ცსკა-ს მცველებო, ანანიძის გეშინოდეთ!"*, - championat.ru-სთან საუბარში აღნიშნა ევგენი ლოვჩევმა.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაგაძემ**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა — დინამო-შტურმი



კახა კაჭარავა

# შტურმის ლოგიკური გამარჯვება

**„შტურმი“-“დინამოს“ მატჩის მიმოხილვა გუშინ შემოგთავაზეთ ახლა კი შეხვედრის მონაწილეთა კომენტარებს გაგაცნობთ. თამაშის შესახებ საკუთარი აზრი გოლების ავტორებმა ფერდინანდ ფელდჰოფერმა, რომან კინასტმა და გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა, ფრანკო ფოდამ და კახა კაჭარავამ გამოთქვეს.**

**რომან კინასტი:** *„ორი უმნიშვნელოვანესი გოლი გავიტანეთ, რაც განმეორებითი შეხვედრისთვის უდიდეს ფორას გვაძლევს. უპირატესობას თავიდანვე ვფლობდით, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნა ვერ შევძელით, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ რისკს ვერიდებოდით. ფელდჰოფერის გოლმა კი დამშვიდების საშუალება მოგვცა და საკუთარი ძალების რწმენაც გაგვიძლიერა. ამის შემდეგ უკვე ალარ გაგვჭირვებია ჩვენი ფეხბურთის თამაში. მწვრთნელის დავალება კარგად შევასრულეთ და მეტოქეს კომბინაციური ფეხბურთით ვაჯობეთ. ბურთს კარგად ვაკონტროლებდით, მოხარული ვარ, რომ ჩვენმა გუნდმა ამ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ისიც ალსანიშნავია, რომ ზედიზედ მესამე მატჩში შევძელით საკუთარი კარის მშრალად შენახვა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბარიერსაც გადავლახავთ და ევროპის ლიგის ჯგუფურ ტურნირზე მოსახვედრადაც ვიბრძოლებთ“.*

**ფერდინანდ ფელდჰოფერი:** *„ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გოლმა ამდენი რამ გადაწყვიტა. მეტიც შეგვეძლო, მაგრამ 2:0-იც იდეალური ანგარიშია. ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, ეჭვი არ მეპარება, რომ თბილისში რთული თამაში გველის, მაგრამ ყველაფერი ჩვენს ხელთაა. პირველ მატჩში მეტოქეს საგრძნობლად ვაჯობეთ და სამი რეალური საგოლე შანსი გავუშვით ხელიდან. თუმცა სუსტი მოწინააღმდეგე სულაც არ გვყავს. „დინამოს“ ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს იმისთვის, რომ გრაცში წარმატებისთვის მიეღწიათ, მაგრამ „შტურმი“ გაცილებით ძლიერი გუნდი აღმოჩნდა“.*

**ფრანკო ფოდა:** *„ძალიან გახარებულები ვართ იმით, რომ ასე შთამბეჭდავად გავიმარჯვეთ. ჩვენი მიზანი იყო ისე მოგება, რომ საკუთარ კარში ბურთი არ მიგვეღო. ამოცანა წარმატებით შევასრულეთ. მთელი შეხვედრა კონცენტრირებულებმა და მოწინააღმდეგის კარზე დაგეშილებმა ჩავატარეთ. პირველმა ტაიმმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, რადგან ზედმეტ რისკზე არავინ მიდიოდა. შესვენების შემდეგ კი მოედნის ცენტრში უპირატესობა მოვიპოვეთ და შეხვედრის ბედი სწორედ ამან გადაწყვიტა. შეგვეძლო, უფრო სოლიდური ანგარიშითაც მოგვეგო, მაგრამ ორბურთიანი უპირატესობაც კარგია. „დინამომ“ დაცვაში კარგად ითამაშა. ამ გამარჯვების მიუხედავად, არავის ეგონოს, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა უკვე გარანტირებული გვაქვს, თბილისში წარმატების მიღწევა გაცილებით უფრო რთული იქნება“.*

**კახა კაჭარავა:** *„ვულოცავ „შტურმს“ ამ გამარჯვებას, ჩვენმა მეტოქემ ეს შედეგი ნამდვილად დაიმსახურა. „შტურმი“ ძლიერი გუნდია, რომელსაც კვალიფიციური მწვრთნელი ჰყავს. ჩვენ კი სამწუხაროდ, ახალგაზრდა და გამოუცდელი გუნდი გვყავს. განმეორებითი მატჩის მოსაგებად აუცილებლად ვიბრძოლებთ და სტადიონზე დაახლოებით 10 ათასი გულშემატკივრის მოსვლის იმედი გვაქვს“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# გამარჯვება აზერბაიჯანელებთან

თბილისში შეკრებაზე მყოფმა აზერბაიჯანულმა „თურანმა“ საკონტროლო მატჩი „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ ჩაატარა. შეხვედრა, რომელიც „ავაზას“ ბაზაზე გაიმართა, ქართველთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

ანგარიში პირველი ტაიმის ბოლოს, 42-ე წუთზე **ბეჭვაიამ** გახსნა **კვარაცხელიას** პასით, მატჩის 64-ე წუთზე კი „თურანის“ პასი **კორიფაძემ** დალაშქრა, რომელმაც **ჯანელიძის** გადაცემით ისარგებლა.

ისევე, როგორც წინა ამხანაგურ მატჩებში, „ვიტ ჯორჯიამ“ აქაც ორი განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა.

პირველი ტაიმი: **მიქაბერიძე - ბეჭვაია, ლომაია, ადამაძე, ჭანკვეტაძე - გურეშიძე, ვასაძე, კლიმიაშვილი - ლიპარტია, კვარაცხელია, ზაქრაძე.**

მეორე ტაიმი: **ძაძამია - სარაჯიშვილი, გოგიაშვილი, კასრაძე, ჭანკვეტაძე (65. ზაქრაძე) - მაისაშვილი, ვასაძე (70. დვალაშვილი), კორიფაძე - ჯანელიძე, ჩიმაკაძე, ლანიაშვილი.**

წესით და რიგით, მოსამზადებელ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიასთვის“ ეს ბოლო ამხანაგური შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი 22-ე ეროვნული ჩემპიონატის სტარტი ერთი კვირით გადაიდო, შესაძლოა, **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა ტესტ-მატჩი კიდევ ჩაატაროს.

„ვიტ ჯორჯია“ ახალ სეზონს 15 აგვისტოს, ზუგდიდის „ბაიასთან“ საშინაო მატჩით დაიწყებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სეზონის წინ

# ბაია: ხუთიანი ამბიციაში

**XXXII ჩემპიონატის სტარტის ერთი კვირით გვიან გადაწევა, ვფიქრობთ, ყველასათვის უკეთესი უნდა იყოს; ჰო, ყველასათვის: ზოგიერთი გუნდი ჯერ კიდევ დაკომპლექტების სტადიაშია, ზოგმა ვარჯიში... ორი-სამი დღის წინ დაიწყო, არ დაგვავიწყდეს ევროტურნირებს შემორჩენილი „დინამოსა“ და „ზესტაფონის“ გადატვირთული გრაფიკი და, რაც მთავარია, სანაკრებო ინტერესებიც. შეგახსენებთ, რომ 11 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები სტუმრად მოლდოველებს ამხანაგურ მატჩში უნდა შეხვდეს, ხოლო ჩვენ 21-წლამდელთა ნაკრებს უმნიშვნელოვანესი და უპრინციპულესი შეხვედრა ელოდება სომეხ თანატოლებთან. ამის გარდა, ალბათ, გულშემატკივრებისთვისაც უკეთესი უნდა ყოფილიყო ჩემპიონატის სტარტის გადადება: ვინ იცის, იქნებ 14 აგვისტოსათვის მაინც აღარ იყოს აუტანელი სიცხეები...**

ამასობაში კი, ქართული სატრანსფერო კამპანია გრძელდება და დღე არ გავა, მეტ-ნაკლებად საინტერესო ტრანსფერის შესახებ არ შევიტყოთ. აი, როგორც წინა კვირაში იყო **შოთა კაშიას** „სპარტაკში“ ჩარიცხვა და ამავე გუნდთან ერთად **ლაშა ჯაკობიას** ვარჯიშის დაწყება. გუშინ კი არანაკლებ „ხმაურიანი დაბრუნების“ შესახებ შევიტყვეთ: ოთხწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში ამირან მუჯირი დაბრუნდა! 36 წლის **ამირან მუჯირი XXII** ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი იქნება (აბა, **გრიგოლ ჭანტურიაზე** უკეთესი მეკარეები ჩვენს ჩემპიონატში, თურმე, ბევრნი ყოფილან); თუმცა, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თავისზე ბევრად ახალგაზრდა მოწინააღმდეგეებს ტოლს არაფერში დაუდებს. თანაც, ამ მხრივ ამირან მუჯირი გამონაკლისი არ იქნება: ზუგდიდის „ბაიაში“ ხომ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები ჩაირიცხნენ, ამ გუნდისგან მხოლოდ მაღალ შედეგს უნდა ველოდოთ. არადა, წინა სეზონში, უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდულ გუნდად სწორედ „ბაია“ მიიჩნეოდა; მაგრამ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თითქმის მთელი ჩემპიონატის განმავლობაში „ბაია“ გასავარდნ ზონაში იმყოფებოდა და მხოლოდ დიდი ძალისხმევის ხარჯზე შეძლო უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

აი, ახალ სეზონში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდს ბევრად უფრო ამბიციური მიზნები ექნება და ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, „ბაიას“ მთავარ მწვრთნელს **ელგუჯა ქომეთიანს** ძირითადი შემადგენლობის ხშირი როტაციის საშუალებაც მიეცემა. რაც მთავარია, გუნდში დარჩა უაღრესად პერსპექტიულ ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს „ბაიას“ კონსულტანტის პოსტზე **ოთარ გაბელიას** დანიშვნაც; თუმცა, ძირითად „ინტრიგას“ მაინც „ბაიას“ ვეტერანებისგან უნდა ველოდოთ: გუნდის კაპიტანს, 35 წლის **რონ ონიანს** ახალი სეზონიდან მხარს დაუმშვენებენ ერთმანეთზე გამოცდილი ახალწვეულები - 36 წლის ამირან მუჯირი, 35 წლის **დავით ჭიჭველიშვილი**, 33 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილი**, 32 წლის **გიორგი მეგრელაძე** და 32 წლის **კახა ჩხეტიანი!** იმედი გვაქვს, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში თითოეულ ამ დამსახურებულ ვეტერან-ახალწვეულზე არაერთხელ გვექნება „დაწვრილებით“ საუბარი და მათ შთამბეჭდავ საფეხბურთო კარიერას კიდევ ერთხელ გავიხსენებთ. მანამდე კი, „ბაიას“ ხუთივე ახალწვეულზე მოკლედ ვისაუბრებთ და თითოეული მათგანის აქამდე გატარებულ პერიოდს გავიხსენებთ.



ამირან მუჯირი

ამ ხუთეულიდან ერთადერთი ალექსანდრე გოგობერიშვილია, ვინც წინა სეზონშიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ გოგობერიშვილი საქართველოს ჩემპიონატს ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და არაფრით გამორჩეულ გუნდ „სიონში“ ისეთი სეზონი ჩაატარა, „ლელოს“ ტრადიციულ ნომინანტების თითქმის უცვლელი წევრიც გახლდათ. თბილისის „დინამო“, „შევარდენი-1906“, „გურია“, „მერანი-91“, „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“, - ყველა ამ ქართულ კლუბში გოგობერიშვილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. აქვე, ისიც უნდა ვახსენოთ, რომ სხვადასხვა დროს რუსეთისა და აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც ასპარეზობდა.

რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ გოგობერიშვილის დამატებით „ბაიას“ შუა ხაზი საგრძნობლად გაძლიერდება - ამ გამოცდილ ნახევარმცველს სტანდარტული მდგომარეობების შესრულებაც ჩინებულად ეხერხება, დროული და ზუსტი პასიც არ დაეწუნება და საერთოდაც, ისეთი ფეხბურთელია, გუნდის „ხერხემალს“ რომ უწოდებენ. თანაც, „ბაიას“ შეტევის ხაზში ხომ გიორგი მეგრელაძე ეყოლება - წყალტუბოს „სამგურალის“, ქუთაისის „ტორპედოს“, თბილისის „დინამოს“, „ბორჯომისა“ და რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი ცენტრფორვარდი, „არაფრისგან“ გოლის გატანა რომ შეუძლია!

მეგრელაძე გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბერძნეთის დაბალ ლიგებში ასპარეზობდა, რუსეთის პირველ ლიგაშიც (ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკში“) თამაშობდა, ბოლო ერთი წელიწადი კი უზბეკურ „შურტანში“ გაატარა. რაც შეეხება კახა ჩხეტიანს, მეგრელაძის მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დებიუტი მასაც წყალტუბოს „სამგურალის“ შემადგენლობაში ჰქონდა; ამის შემდეგ ექვსი სეზონი „ტორპედოში“ თამაშობდა და გუნდთან ერთად არაერთ ტიტულსაც დაეუფლა; არაფერი დაეწუნებოდა მის პირველ უცხოურ კლუბსაც: სამი სეზონი უნგრეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში „დებრეცენში“ გამოდიოდა, საიდანაც უკრაინაში, კერძოდ, სიმფეროპოლის „ტავრიაში“ გადავიდა და 2005 წლის დასაწყისში საქართველოში დაბრუნდა. თანაც, დაბრუნებისთანავე „ზესტაფონის“ ერთ-ერთი ლიდერი და კაპიტანი გახდა, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, 2008 წლის დეკემბერში (კერძოდ, თბილისის „დინამოსთან“ წაგებული მატჩის შემდეგ) იქიდან წასვლა მოუხდა.

სამაგიეროდ, მომდევნო სამი სეზონი აზერბაიჯანული „სიმურგის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და სწორედ მისი და სხვა ქართველი ფეხბურთელების (**დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, რომან ახალკაცი**) უდიდესი დამსახურებაც იყო, რომ ეს პროვინციული კლუბი თავის ქვეყნის ჩემპიონატში ერთ-ერთ სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა.

კახა ჩხეტიანი „ტორპედოს“ შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი ორჯერ გახდა; აი, დავით ჭიჭველიშვილს კი მართლაც უნიკალური მიღწევა ეკუთვნის: ეს უნივერსალი და ნებისმიერი მწვრთნელისათვის სასურველი ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონი ზედიზედ სამჯერ... სხვადასხვა გუნდის („დინამო“, „ოლიმპი“, „სიონი“) შემადგენლობაში ხდებოდა! ამ გუნდების გარდა ჭიჭველიშვილს ბათუმის „დინამოში“, თბილისის „ლოკომოტივში“, ყაზახურ „ატირაუსა“ და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ აქვს ნათამაშები; ბოლო ორი სეზონი კი აზერბაიჯანის „სტანდარდში“ იყო და, როგორც ყოველთვის, იქაც გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. უნივერსალიზმი კი შემთხვევით არ გვიხსენებია: ვიდრე უმაღლეს ლიგაში გამოჩნდებოდა და მერეც, როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, ტიპური... ცენტრფორვარდი გახლდათ! მერე, წლების განმავლობაში, ნახევარმცველად ასპარეზობდა, შემდეგ კი - ცენტრალურ მცველად...

...2006 წლის შემოდგომაზე ბათუმის „დინამოს“ შემადგენლობაში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ამირან მუჯირი გამოჩნდა; 32 წლის ფეხბურთელმა მშობლიურ კლუბში ცოტა ხანი დაჰყო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ „შეეხსენებინა“ ქართველი გულშემატკივრებისათვის. თანაც, უცხოეთმოვლილი „მუმუ“ ამჯერად კლასიკური „ათი ნომრის“, ანუ გამთამაშებლის პოზიციაზე ასპარეზობდა; არადა, ვიდრე აქედან წავიდოდი, მშობლიური „ბათუმის“ შემადგენლობაში ალბათ, ორასამდე მატჩი ექნებოდა ჩატარებული თავის საყვარელ მარცხენა ფლანგზე, სადაც მართლაც შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს. თანაც, არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში - აბა, გაიხსენეთ დაუვიწყარი მატჩები „ობილიჩთან“ თუ „პსვ“-სთან.

საბერძნეთი, კვიპროსი, - ამ ქვეყნებში ამირან მუჯირი მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობდა, აი, ბულგარეთსა და აზერბაიჯანში კი, რამდენიმე მართლაც ჩინებული სეზონი ჩაატარა და ორივე ქვეყნის ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო ლეგიონერადაც მიიჩნეოდა.

ამჟამად კი ქართული ფეხბურთის ხუთი დამსახურებული ვეტერანი, - ამირან მუჯირი, დავით ჭიჭველიშვილი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი მეგრელაძე, კახა ჩხეტიანი - ზუგდიდის „ბაიას“ ამბიციების განხორციელებაში დაეხმარებიან.



დავით ჭიჭველიშვილი

**გია ტუხაშვილი**

ქართული ფეხბურთი

საპარაუდო ტრანსფერი

# ხიზანიშვილი კი არა, ხიზანეიშვილიო...

გუშინდელ ნომერში უცხოური წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გაგაცანით, რომლის თანახმადაც ვწერდით, თითქოს საქართველოს ნაკრების მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** მახაჩყალის „ანჟიშია“ სინჯებზე და კლუბი მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. როგორც აღმოჩნდა, უცხოური სააგენტოები შეცდნენ, გვარების მსგავსების გამო ხიზანიშვილი **ოთარ ხიზანეიშვილში** აერიათ, თან ორივე ხომ მცველია...

გუშინ ზურაბ ხიზანიშვილის ძმა, გიორგი ხიზანიშვილი თავად დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ზურა არათუ მახაჩყალაში არ არის, არამედ, „ანჟიში“ გადასვლაზე შეთავაზებაც არ მიუღია. გიორგის თქმით, ზურაბ ხიზანიშვილი კვლავ ინგლისშია, მისი აგენტი **ივან ბენეში** კი კლიენტის ტრანსფერისთვის მოლაპარაკებას აწარმოებს რამდენიმე კლუბთან. გავიგეთ ისიც, რომ ზურაბს 3-4 ვარიანტი აქვს ინგლისისა და თურქეთის კლუბებიდან, მაგრამ ჯერჯერობით, საქმე კონტრაქტის ხელმოწერამდე არ მისულა. ზურათი დაინტერესებულ კლუბთა შორის ინგლისური „რედინგი“ და თურქული „ანკარაგიუჯუც“ არიან.

რაც შეეხება ოთარ ხიზანეიშვილს, მცველი, რომელიც ხიზანიშვილის მსგავსად თავისუფალი აგენტია, მახაჩყალის „ანჟიშია“ სინჯებზე და კლუბი მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის ოჯახის წევრებმაც დაგვიდასტურეს. გაცნობებთ იმასაც, რომ „ანჟიმ“ ჩვენი ნაკრების მცველ **დავით კვირკველიას** საიჯარო კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე გაუგრძელა.

**დავით ცაბაძე**



ოთარ ხიზანეიშვილი

მოლდოვა-საქართველო — ამხანაგური მატჩი

# ბალინტი ქეცბაიას 24-ს დაახვედრებს


თემურ ქეცბაია

11 აგვისტოს ჩვენს ეროვნულ ნაკრებს გენერალური რეპეტიცია ელის. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე **თემურ ქეცბაიას** გუნდი დასკვნით ამხანაგურ მატჩს 11 აგვისტოს მოლდოვასთან სტუმრად გამართავს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს 3 სექტემბერს საბერძნეთთან სტუმრად გამართავს.

მოლდოველთა ნაკრების თავკაცმა, წარსულში ცნობილმა რუმინელმა ფეხბურთელმა **გაბი ბალინტმა** ქართველებთან მატჩისთვის სანაკრებო შემადგენლობა დაასახელა. ბალინტმა 11 აგვისტოს შეხვედრისთვის ეს 24 ფეხბურთელი შეარჩია.

მეკარეები: **სტანისლავ ნამაშკო** (ყუბანი, რუსეთი), **ევგენი მატიუხინი** (დაჩია), **ნიკოლაე კალანჩეა** (ზიმბრუ);

მცველები: **სიმიონ ბულგარუ** (ვიბორგი, დანია), **ალექსეი სავინოვი, ვადიმ ბორეცი** (ორივე ბაკი, აზერბაიჯანი), **ალექსანდ ეპურიანუ** (დინამო მ, რუსეთი), **ვიქტორ გოლოვატენკო, იგორ არმაში** (ორივე ყუბანი, რუსეთი), **ვალერიუ კატინსუსი** (შინიკი, რუსეთი), **პეტრუ რაკუ** (ნორჩიპინგი, შვედეთი), **ვადიმ ბოლოხანი** (ზაკარპატიე, უკრაინა), **დენის ილესკუ** (ლოკომოტივი, ყაზახეთი);

ნახევარმცველები: **ევგენიუ ჩებოტარუ** (ჩახლაული, რუმინეთი), **დენის ზმეუ** (ვასლუი, რუმინეთი), **ანდრეი კოჟოკარი, ვიქტორ ბულატი** (ორივე დაჩია), **იგორ ტიგირლასი** (მეტალურგი ზ, უკრაინა), **ნიკოლაე ჟოსანი** (ანჟი, რუსეთი), **ალექსანდრუ სუვოროვი** (კრაკოვია, პოლონეთი), **ვალერიუ ანდრონიკი** (ლოკომოტივი, ყაზახეთი);

თავდამსხმელები: **იგორ ბუგაიოვი** (ლოკომოტივი ყაზახეთი), **ვიორელ ფრუნზა** (ატირაუ, ყაზახეთი), **ანატოლიე დოროში** (ჩერნომორეცი ოდ, უკრაინა).

ბალინტის ამ სიაში ერთადერთი დებიუტანტია, შვედური „ნორჩეპინგის“ 23 წლის ნახევარმცველი **პეტრუ რაკუ**.

ორიოდე სიტყვით მეტოქე მოლდოვაზეც ვთქვათ. გაბი პელე ბალინტმა მოლდოვას ნაკრები მიმდინარე წლის 20 იანვარს ჩაიბარა. აქამდე ბალინტის ხელმძღვანელობით მოლდოველებმა სამი ამხანაგური მატჩი გამართეს და სამივე შედეგი იგემეს - ანთალიურ შეკრებაზე, 3 მარტს ყაზახეთთან 1:0 მოიგეს. მაისში კი ავსტრიაში ემზადებოდნენ, 26 მაისს აზერბაიჯანთან 1:1 ფრეზე გაიყარნენ, 29-ში კი არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრებთან 2:3 წააგეს. ამ 4 შეხვედრაში ბალინტის ბიჭებმა 4 ბურთი გაიტანეს და ამდენივე გაუშვეს. ფიფას ივლისის თვის რეიტინგში მოლდოვა ჩვენზე 22 საფეხურით წინ, 89-ე ადგილზეა. 11 აგვისტოს მატჩს მეტოქისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დღეს მოლდოვური ფეხბურთის 100 წლის იუბილე აღინიშნება. ამასთან, ეს ამხანაგური თამაში მოლდოველებისთვისაც გენერალური რეპეტიციაა - ბალინტის გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩში 7 სექტემბერს უნგრეთს სტუმრად ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

ამბები

## ადამია ფლანგზეც თანახმაა

„ყარაბახი“ ევროსარბიელზე წარმატებულ ასპარეზობას აგრძელებს. ევროპის ლიგის მესამე ეტაპის პირველ მატჩში აზერბაიჯანულმა კლუბმა სტუმრად პოლონური „ვისლა“ დაამარცხა, რაშიც საკუთარი წვლილი **გიორგი ადამიამაც** შეიტანა.

*„ძალიან გახარებული ვარ, რადგან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ ღირსეულად ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. კონტრშეტევებზე თამაში ავირჩიეთ და ამ ტაქტიკამ გაამართლა. მხოლოდ ერთი ბურთით კი არა, გაცილებით სოლიდური სხვაობით გამარჯვებაც შეგვეძლო“,*- თქვა ადამიამ.

მას ამპლუის შეცვლაზეც ჰკითხეს. გიორგი, რომელიც აქამდე უმეტესად მოედნის ცენტრში თამაშობდა, „ვისლასთან“ შეხვედრაში შეტევის მარცხენა ფრთაზე გაამწესეს. ადამიას ახალ პოზიციაზე თამაში მოეწონა: *„თავი ფლანგ ზეც კომფორტულად ვიგრძენი. მართალია, ცენტრში მირჩევნია, მაგრამ თუ გუნდს სჭირდება, ნებისმიერ ამპლუაში სათამაშოდ მზად ვარ“.*

## წილისყრა 6 აგვისტოს

თუ რომელიმე ქართულმა კლუბმა ევროპის ლიგის მესამე ეტაპი გადალახა, მეტოქის ვინაობას 6 აგვისტოს შეიტყობს. წილისყრისას, რომელიც ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში გაიმართება, ჩვენი გუნდები განუთესავთა შორის იქნებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# მარცვალაძე: გოლი პლუს პასი

გუშინ რუსეთის ჩემპიონატში ნალჩიკის „სპარტაკმა“ 2:1 მოუგო „ამკარს“ და 28 ქულით მე-3 ადგილზე ავიდა. მასპინძელთა შემადგენლობაში **გოგიტა გოგუამ** და **დავით სირაძემ** შეუცვლელად ითამაშეს. „ჩემპიონატმა“ გოგუას თამაში 6 ბალით შეაფასა, ხოლო სირაძის - 5,5 ბალით. გოგუამ უკვე მე-6 წუთზე გაისროლა შორი დისტანციიდან, რის შემდეგაც სტუმართა მეკარემ თავისი გუნდი გოლისგან ძლივს იხსნა.

მახაჩყალის „ანჟი“ „სატურნს“ ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგო იყო, **დავით კვირკველიამ** (5,5) შეუცვლელად ითამაშა, თავიდანვე იყო მოედანზე ახალგაზრდა **გიორგი ილურიძეც** (პირველი სტარტი კარიერაში), მაგრამ მეტად პასიურობდა და პოზიციურადაც მოისუსტებდა. **გაჯიევმა** ის შესვენებისას შეცვალა. „ანჟი“ 16 ქულით მე-12 ადგილზეა.

სამკვირიანი პაუზის შემდეგ განახლდა მარათონი რუსეთის პირველ დივიზიონშიც. ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ“ „როტორი“ სტუმრად გაანადგურა - 4:1. კვლავ შესანიშნავ ფორმაშია **ოთარ მარცვალაძე**, რომელმაც ანგარიში უკვე მე-7 წუთზე გახსნა, მე-14 წუთზე კი **ტურსუნოვს** საგოლე პასი გადააწოდა. ქართველი ფორვარდი, რომელსაც ჩემპიონატში უკვე 10 გოლი და 4 საგოლე პასი დაუგროვდა (19 თამაშში), 90-ე წუთზე შეცვალეს. **ომარ თეთრაძეს** სხვა ქართველები არ გამოუყვანია.

საფრანგეთში ლიგის თასის მატჩები გაიმართა. „ლე მანი“ „ლე ავრს“ ეწვია და 1:2 დამარცხდა. სტუმართა ქართველები - მცველი **ამირან სანაია** და მეკარე **გიორგი მაკარიძე** განაცხადშიც არ ყოფილან. „ლე მანის“ კარს თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე **დიდიე ოვონო** იცავდა, თან უკვე კაპიტნის სამკლაურით. თავისთავად, ეს ფაქტი ბევრზე მეტყველებს, მაკარიძეს კი ამ სეზონშიც არ ექნება სათამაშო პრაქტიკა...

უკრაინაში **ვასილ გიგიაძის** „ტავრია“ სტუმრად „ვორსკლას“ დაუზავდა - 0:0. ქართველმა ფორვარდმა ამ მოსაწყენი მატჩის მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დავით კვირკველია (მარჯვნივ)

ფეხბურთი და [illegible]

# ჰუმელის ქართველი წარმომადგენელი ადიდასში გადავიდა

**გიორგი გოგოლაძე საქართველოში „ჰუმელის“ წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ დანიურ კომპანიასთან თანამშრომლობაზე საკუთარი სურვილით თქვა უარი და ცნობილი გერმანული ბრენდის, „ადიდასის“ პარტნიორი გახდა. საინტერესოა, რა გახდა ამ ერთგვარი სკანდალის მიზეზი? თუმცა ჩვენი საუბარი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა. გოგოლაძემ ილაპარაკა გულშემატკივრის როლზე ქართულ ფეხბურთსა და საფეხბურთო ბიზნესში...**

**- საქართველოში ხომ იყო ამ კომპანიის წარმომადგენლობა?**

- დიდი ხანია, წარმომადგენლობა აღარ მოქმედებს. ჩვენთან ოფიციალურად მხოლოდ „პუმაა“ წარმოდგენილი. „ადიდასთან“ რეკომენდაცია გერმანელმა მეგობრებმა გაგვიწიეს და პარტნიორობა გადაწყვიტეს.

**- თქვენ ხომ „ჰუმელის“ წარმომადგენელი იყავით?**

- „ჰუმელზე“ თავად ვთქვი უარი, რადგან ჩემდა გასაკვირად, დანიელები არაპროფესიულად მოიქცნენ და საქართველოში პრობლემები შემიქმნეს.

**- „ოლიმპთან“ და „სამტრედიასთან“ შექმნილ პრობლემებს გულისხმობთ? როგორც გვახსოვს, მაშინ გუნდები „ჰუმელის“ ფორმას უშედეგოდ ელოდნენ.**

- დიახ, ამას ვგულისხმობ და მაგრად მანერვიულეს, რადგან ფორმები ძალიან დამიგვიანეს. დანიელების გამო, ორ გუნდთან კონტრაქტი ჩაიშალა. მე ამაზე მეტად ის მადარდებს, რომ პასუხიმგებლობას ვგრძნობდი, „ჰუმელმა“ კი უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო. ამის შემდეგ მათთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი. სხვათა შორის, „ადიდასის“ გარდა, „ნაიკთანაც“ ვთანამშრომლობ. მაგალითად, ორჯერ შევმოსეთ „ზესტაფონი“ და ამერიკელებს პროდუქციის მოწოდება წამითაც არ დაუგვიანებიათ. „ნაიკის“ ბურთები ახლა „ტორპედოს“ ჩამოვუტანეთ. „ჰუმელმა“ კი ეკიპირება მთელი ორთვენახევრით დამიგვიანა. 9 აგვისტოს თბილისში „ადიდასის“ წარმომადგენლობა გვესტუმრება და ჩვენი პარტნიორობის საკითხებს განვიხილავთ, თანამშრომლობაზე კი რამდენიმე გუნდს ველაპარაკებით.

**- საინტერესოა, საქართველოში შემოტანილი „ადიდასი“ სად მზადდება? ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენთან იაფფასიანი პროდუქცია საღდება...**

- ვერ გეტყვით, ვინ ასაღებს იაფფასიან საქონელს. ალბათ, ასეთი შემთხვევები არის, მაგრამ „ადიდასის“ ოფიციალური წარმომადგენლობა უხარისხო პროდუქციას ვერ შემოიტანს. „ადიდასი“ მხოლოდ ერთ ადგილზე არ მზადდება, წარმოება ბევრ ქვეყანაში აქვს - ბურთი პაკისტანში იკერება, ფეხსაცმელი ინდონეზიაში, მაისურა ინგლისიდან მოგვდის, კომპლექტი კი გერმანული საწყობიდან. მოსკოვში ჩვენი პოსტსაბჭოეთის ძირითადი ოფისია. მართალია, ჩვენ აღარ ვართ ამ გაერთიანების წევრები, მაგრამ ასეთ რეგიონალურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა გერმანელებისთვის უფრო ადვილია და ჩვენთვისაც.

**- ხარისხს ვინ ჩივის, ბევრი კლუბი იაფფასიან ეკიპირებაზეც თანახმაა, რადგან ცნობილი ბრენდების პროდუქცია ძვირია.**

- დარწმუნებული ვარ, ჩვენ არავის დავაფრთხობთ. ბრენდი ყაჩაღობას არ ნიშნავს. აქვე ერთ მნიშვნელოვან თემასაც უნდა შევეხო, როგორც ბიზნესმენი და როგორც ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი: ბოლო დროს ბევრს ვწუწუნებთ, რომ გულშემატკივარი სტადიონზე არ დადის. საინტერესოა, რას აკეთებენ გუნდები საიმისოდ, ეს პრობლემა რომ მოგვარდეს, გულშემატკივრებთან ურთიერთობაზე ვინმე ფიქრობს? ამიტომაა, გუნდსა და მაყურებელს შორის დიდი კედელია აღმართული. ეს სპორტული პროდუციის შემომტანებსაც პრობლემას გვიქმნის, რადგან მეტი გულშემატკივარი, კლუბის მეტი მაისურის გასაღების წყარო უნდა იყოს. არ იყიდება საკლუბო ეკიპირება, რაც ყველგან კლუბის შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთი გამამართლებელი ფორმაა. გუნდსა და გულშემატკივარს შორის არ მყარდება ის კავშირი, რომლის შედეგადაც ფეხბურთელს პასუხისმგებლობა უყალიბდება, გულშემატკივარს კი იმის განცდა, რომ გუნდი და ფეხბურთელი მისია. ასეთი კავშირის გარეშე, გულშემატკივარი სტადიონს არ დაუბრუნდება. უცხოეთში გუნდები გულშემატკივარს სეზონის დაწყებამდე და შემდეგ აუცილებლად ხვდებიან. ისინი ცალცალკე არ არიან, ერთმანეთის ტკივილსა და პრობლემებს იცნობენ და იზიარებენ. ბევრგან გულშემატკივრის აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ზოგჯერ ეს აზრი გადამწყვეტიცაა. მაგალითად, პრეზიდენტად ამ ხალხისთვის არასასურველ პიროვნებას ვერ აირჩევენ და ა.შ. ან თუნდაც, „ბარსელონა“, სადაც პრეზიდენტს გულშემატკივარი ირჩევს... იმედია, ეს პროცესები ადრე თუ გვიან ჩვენთანაც დაიწყება. დამაიმედებელი ისაა, რომ გულშემატკივრებთან მუშაობა რამდენიმე გუნდში მიმდინარეობს და მათ გულშემატკივარი ჰყავს კიდეც - „ზესტაფონს“, „სამტრედიასა“ და ქუთაისის „ტორპედოს“. ელემენტარული ამბავია, გუნდი გულშემატკივარს სეზონამდე უნდა შეხვდეს და გეგმები გააცნოს, სეზონის შემდეგ კი მიღწეულის, ან მიუღწევლის მიზეზებზე ანგარიში ჩააბაროს. ეს სირცხვილი კი არაა, სავალდებულოა, თუკი გულშემატკივარს პატივს სცემ. ჩემი აზრით, ურთიერთობები ამით არ უნდა შემოიფარგლოს, გუნდებმა უნდა ჩაატარონ მასტერკლასები საფეხბურთო სკოლებსა და სკოლებში, სოციალურად უფრო უნდა იაქტიურონ და ა.შ. როდესაც კლუბი პირველ ნაბიჯს გადადგამს, გულშემატკივარი გაცილებით გააქტიურდება და ეჭვი არ მეპარება, ტრიბუნები ახლანდელივით ცარიელი არ დარჩება. სხვაგვარად, ბილეთის ფასი თუნდაც ლარი გახდეს, ფეხბურთით არ დაინტერესდებიან. ადამიანს კლუბის სამზარეულოში მონაწილეობა თუ თანამეონაწილეობა სურს და ჩვენ ამას თითქმის არ ვითვალისწინებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# მეშვიდე გერმანელი რეალში

გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **სამი ხედირა** „რეალელია", ოღონდ ეს ცნობა „სამეფო კლუბმა" კი არა, არამედ ხედირას აწ უკვე ყოფილმა გუნდმა, „შტუტგარტმა" დაადასტურა პირველმა. „ბილდი" ტრანსფერის თანხასაც ასახელებს - „ბლანკოსი" ხედირაში 14 მილიონ ევროს იხდის. სხვათა შორის, ესპანური მედია წერდა, რომ „რეალი" გერმანულ კლუბს 10 მილიონ ევროს სთავაზობდა. თავად ბუნდესლიგურ კლუბს კი სატრანსფერო თანხაზე არაფერი განუცხადებია. 23 წლის ფეხბურთელმა პერსონალური კონტრაქტი „რეალთან" ოთხშაბათს შეათანხმა, ასე რომ, კონტრაქტს წყალი აღარ გაუვა - ხედირა სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და „სამეფო კლუბს" ხუთი წლით დაუკავშირებს კარიერას. *„სამი ხედირა ნამდვილი ლიდერია მოედანზე და ის „შტუტგარტისთვის" ზედგამოჭრილი ფეხბურთელია. ძალიან ძნელია მასთან განშორება. მეორე მხრივ, ჩვენ არ შეგვეძლო სამის ოცნებისთვის ხელის შეშლა, მას ხომ ძალიან სურდა „რეალში" თამაში. კლუბი სამის ყოველივე საუკეთესოს უსურვებს მომავალ კარიერაში"*, - განაცხადა „შტუტგარტის" გენერალურმა მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა**.

ხედირამ „რეალის" ხელმძღვანელობა მუნდიალზე ბრწყინვალე თამაშით დააინტერესა. მან ბუნდესნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მუნდიალის დასრულების შემდეგ გერმანელი ფეხბურთელი მადრიდში ჩავიდა და „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეხვდა „რეალის" ბოსებს. მას შემდეგ ცხადი იყო, რომ „რეალი" პერსპექტიულ ახალგაზრდას ხელიდან აღარ გაუშვებდა.

*„შტუტგარტმა" უკვე ოფიციალურად გამოაცხადა ჩემი მომავალი ტრანსფერის შესახებ. ამ დღეებში ჩავალ მადრიდში და ყველაფერს მოვაგვარებ. მადრიდის „რეალი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბია, ხოლო ჟოზე მოურინიო კი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი. ყოველთვის მომწონდა მოურინიოს გაწვრთნილი გუნდების სათამაშო სტილი"*, - განუცხადა „ბილდს" „რეალის" მომავალმა წევრმა.

„მარკამ" უკვე მოაწყო საკუთარ ვებსაიტზე გამოკითხვა, რომელშიც ჯერჯერობით 40 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა: „გამოიცნო თუ არა „რეალმა" ხედირას ტრანსფერით" - გამოკითხულთა 53,4% მიიჩნევს, რომ გამოიცნო. ტუნისური წარმოშობის ხედირა მე-7 გერმანელია „რეალში" **გიუნტერ ნეტცერის, პაულ ბრაიტნერის, ბერნდ შუსტერის, ული შტილიკეს, ბოდო ილგნერისა** და **კრისტოფ მეტცელდერის** შემდეგ.

### ლეგენდა წავიდა, შეტევა მის შვიდიანზე

**რაულ გონსალესი** ჯერ ოფიციალურად არ იყო „რეალიდან" წასული, როცა **კრიშტიანო რონალდომ** პრეტენზია გამოთქვა ლეგენდის მიერ გათავისუფლებულ შვიდნომრიან მაისურაზე. კრიშტიანო რონალდოს განცხადებამ, ცოტა არ იყოს, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია საზოგადოებაში. თითქოს ყველა ლოგიკით 7-იანი პორტუგალიელ ვარსკვლავს ეკუთვნის, ის გუნდის ლიდერია, თავადაც 7 ნომრით არის შეჩვეული თამაშს („მანჩესტერ იუნაიტედსა" და ეროვნულ ნაკრებში). თუმცა სულ უფრო ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ რაულის 7-იანის ადგილი მოედანზე აღარ არის, ის „რეალის" მუზეუმში უნდა ჩამოიკიდოს სამუდამოდ, ხოლო ამიერიდან „რეალის" არც ერთმა ფეხბურთელმა არ ითამაშოს ამ ნომრით. ამერიკაში მყოფმა რონალდომ კვლავ გამოაცხადა, რომ სურს შვიდი ნომრით თამაში: *„ძალიან მიყვარს 7 ნომრით თამაში, „მანჩესტერ იუნაიტედშიც" 7-იანი მქონდა არჩეული. რაც მთავარია, თავად რაული მოხარული იქნება, რომ მის ნომერს მე ავირჩევ, რადგან გარკვეულწილად ჩემში ხედავს მემკვიდრეს"*, - მემკვიდრეობაში მან ალბათ გუნდის ლიდერობა იგულისხმა. მოკლედ, **რაიმონ კოპა**, **ამარო ამანსიო**, **ხუან გონსალეს გომესი (ხუანიტო)**, **ემილიო ბუტრაგენიო**, **ხუან ესნაიდერი**, **რაულ გონსალეს ბლანკო**... გახდება კრიშტიანო რონალდო „რეალის" მორიგი დიდი შვიდიანი?

### რეალი-პენიაროლი 50 წლის შემდეგ

წლეულს 30-ედ გაიმართება სანტიაგო ბერნაბეუს ტროფეი, 24 აგვისტოს მადრიდის „რეალი" მონტევიდეოს „პენიაროლს" დაუპირისპირდება. ზუსტად 50 წლის წინათ, ეს ორი გუნდი საკონტინენტთაშორისო თასის პირველ გათამაშებაში შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ პირველი ტიტული „სამეფო კლუბმა" მოიგო. მადრიდელებმა ურუგვაელები 1960 წლის 4 სექტემბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე" 5:1 გაანადგურეს. მაშინ ორი გოლი **პუშკაშმა**, გაიტანა, თითო **დი სტეფანომ, ერერამ** და **ხენტომ**. და აი, 50 წლის შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ისევ ვიხილავთ ამ წყვილს, ამჯერად სანტიაგო ბერნაბეუს ტროფეისთვის ბრძოლაში. ამ მატჩისთვის ბილეთების გაყიდვა 2 აგვისტოს დაიწყება, თუმცა ჯერ მხოლოდ კლუბის წევრებს ექნებათ ბილეთების შეძენის საშუალება. სალაროებში ბილეთები 11 აგვისტოდან გამოვა. მადრიდში ვარაუდობენ, რომ „პენიაროლთან" დაპირისპირება გაავსებს „ბერნაბეუს" ტრიბუნებს.




ბარსელონა



# ვალერენგას ექსპერიმენტებით მოუგეს

ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამ" პირველი საკონტროლო მატჩი გამართა, ოსლოში ნორვეგიული „ვალერენგა" 4:2 დაამარცხა. მატჩი სულ რალაც 12 წუთის დაწყებული იყო, როცა **ვიქტორ სანჩესმა ჯონათანთან** კედელი გაითამაშა საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. „ვალერენგამ" სწრაფი კონტრშეტევის წყალობით გაათანაბრა, მეტოქის ფორვარდი **გაბრიელ მილიტომ** საჯარიმოში წააქცია. პენალტი მასპინძელთა თინეიჯერმა **ჰარმეეტ სინგჰმა** გაუტანა პინტოს. თამაში, თითქოს, გათანაბრდა, მაგრამ ტაიმის მიწურულს **მაქსველმა** საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან „ვალერენგას" კარის „ცხრიანში" ჩასვა ბურთი. ამის შემდეგ **ბოიან კრკიჩმა** ბურთი ძელს მოარტყა.

შესვენების შემდეგ „ბარსელონა" სულ სხვა შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე. ის კი არადა **პეპმა** ცხოვრებაში პირველად უღალატა ტაქტიკურ სქემას და 4-3-3-ის ნაცვლად მისმა გუნდმა მეორე ტაიმში 4-2-3-1-ით ითამაშა. სულ რალაც 4 წუთი იყო გასული, როცა მცველების შეცდომით „ბარსელონა B"-ს ფორვარდმა **ბენჟამ** ისარგებლა და მაღალ კუთხეში გაიტანა. „ბარსას" მეოთხე გოლი კუთხურის გათამაშებას მოჰყვა, **სეიდუ კეიტამ** ახლო მანძილიდან თავით გაიტანა - 4:1. ამის შემდეგ ნორვეგიელებმა კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხეს, **ბოიან ჟაჯიჩმა** ძალიან იოლად აჯობა „ბარსელონას" მცველებს და შორიდან დაარტყა, შეცდა მეკარე **მინოც** - 4:2.

როგორც მატჩის აღწერილობიდანაც მიხვდებოდით, „ბარსელონამ" უმთავრესად სარეზერვო გუნდით ითამაშა, **გვარდიოლას** სხვა გზა არც ჰქონდა, მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ბირთვი ჯერ კიდევ შვებულებაშია. მეორე ტაიმში „ბარსელონაში" უნივერსალი **ადრიანო კორეიას** დებიუტი ვიხილეთ... ფორვარდის პოზიციაზე. სასტარტო შემადგენლობაში პირველი გუნდის 5 ფეხბურთელი ვიხილეთ: პინტო, მილიტო, მაქსველი, ვიქტორ სანჩესი და ბოიანი. სხვათა შორის, ბოიანმა კაპიტნის სამკლავური გაიკეთა, ის მარცხენა ფლანგიდან უტევდა „ვალერენგას" კარს.

თამაშის მერე პეპ გვარდიოლა აღფრთოვანებას ვერ ფარავდა მეტოქე გუნდის 24 წლის ფორვარდის, **ლუტონ შელტონის** თამაშის გამო: *„ის იამაიკიდანაა, თანაც ძალიან სწრაფია, უსაინ ბოლტის შვილი ხომ არ არის"*, - იხუმრა პეპმა პრესკონფერენციაზეა. *„მეტოქე მართლა მოგვეწონა, მას ძალიან კარგი შუახაზი ჰყავს, თუმცა ჩვენ ეს გუნდი კარგად გვყავდა შესწავლილი და ვიცოდით, რას წარმოადგენდნენ მოჰამედ ფელა და ჰარმეეტ სინგჰი. გვეგონა, ნორვეგიული კლუბი ფონს გრძელი პასებით გავიდოდა, მაგრამ შევცდით"*.

კვირიდან „ბარსელონა" აზიაში კომერციულ კვირეულს გეგმავს, გუნდი ინტენსიურად ივარჯიშებს, სარეკლამო კლიპში მიიღებს მონაწილეობას და ორ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს.

U 19

ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი 2010

# ევროპა მამლაყინწებისაა

**საფრანგეთი-ესპანეთი 2:1**

**საფრანგეთი:** დიალო, ნეგო, მავინგა, ფაური, კაკუტა, ფოფანა, სუნუ (69. ლაკაზეტი), გრიზმანი (46. ტაფერი), კოკელინი, კოლოძიეიჩაკი, ბაკამბუ.

**ესპანეთი:** ალექსი, მონტოია, პლანასი, ბარტრა, პულიდო (87. კალვენტე), რომეო, კეკო (64. მუნიაინი), ალკანტარა, როდრიგო (73. როჩინა), კანალესი, პაჩეკო.

**გოლები:** 0:1 როდრიგო (18), 1:1 სუნუ (49), 2:1 ლაკაზეტი (85)

საფრანგეთის ჩრდილოეთში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელ ფეხბურთელთა შორის. პირველობა ტრიუმფით დაასრულა მასპინძელთა ნაკრებმა, რომელმაც ფინალში ტურნირის აშკარა ფავორიტი ესპანეთი 2:1 დაამარცხა. 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი მეცხრედ გაიმართა. ფინალს კი ქალაქმა კაენმა უმასპინძლა. გასულ წელს ეს პირველობა უკრაინის ნაკრებმა მოიგო უკრაინაში, ახლაც მასპინძლებმა იპირველეს. **ფრანსუა სმერეცკის** გუნდი ფინალს აგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში თამაშის ბედის შემოტრიალება შეძლო.

სხვათა შორის, ეს ორი გუნდი ერთმანეთს ორი წლის წინათაც შეხვდა ერთმანეთს, 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში, მაშინ „როხიტამ" 4:0 გადაუგბინა მეტოქეს. ანთალიური ფინალის 22 მონაწილიდან 11-მა დაიწყო ეს მატჩიც, თითქოს, ესპანელთა უპირატესობა ახლაც აშკარა იყო. მე-18 წუთზე „ლივერპულელმა" **დანი** პაჩეკომ ბრწყინვალე პასი გაუქრა მარცხენა ფლანგიდან როდრიგოს, რომელმაც ერთი შეხებით კარგად დაარტყა და ანგარიშიც გაიხსნა. პირველი ტაიმი ასე, ესპანელთა უპირატესობაში გაილია.

მეორე ტაიმში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, ფრანგებმა შეუტიეს და უკვე მე-4 წუთზე გაათანაბრეს, **სუნუმ ალექსს** ბურთი თავზე გადაუგდო. არადა წამებით ადრე **სერხიო კანალესი** ვალდებულიც კი იყო ანგარიში 2:0 გაეხადა. უკვე ყველას რომ ეგონა, მატჩი დამატებით დროში გადადიოდა, 85-ე წუთზე ფრანგებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს, შეცვლაზე შემოსულმა **ალექსანდრ ლაკაზეტმა** გაიტანა **გაელ კაკუტას** პასით და ევროპის ჩემპიონის ტიტული გუნდს მოუპოვა.

ტურნირის ბომბარდირი 4 გოლით დანი პაჩეკო გახდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## დელ ბოსკე სალამანკამ დააფასა

სალამანკას ამიერიდან **ვისენტე დელ ბოსკეს** სახელობის ქუჩა ექნება. ქალაქის მუნიციპალიტეტში ეს საკითხი ფარულ კენჭისყრაზე გაირკვა, სადაც ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის ამ პატივის მინიჭება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყდა. ცნობისათვის, დელ ბოსკე სწორედ სალამანკაშია დაბადებულ-გაზრდილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ანელკა ეკიპს უჩივის

**ნიკოლა ანელკა** ფრანგულ „ეკიპს" ცილისწამებისთვის სასამართლოში უჩივის. შეგახსენებთ, სწორედ ამ გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა მუნდიალზე მექსიკასთან მატჩის შესვენებისას ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რაიმონ დომენეკს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ანელკა ამ ფაქტს არ უარყოფს, მაგრამ აცხადებს, რომ „ეკიპის" მოგონილია ის სიტყვები, რომლითაც მან თითქოსდა დომენეკი „შეამკო".

**ლევან ჯანეზაშვილი**

## კეიროშს დათხოვნა ემუქრება

უკვე გაცნობეთ, რომ პორტუგალიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა ამავე ქვეყნის ანტიდოპინგური კომიტეტის წარმომადგენლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ეს მაშინ მოხდა, როცა აღნიშნულმა ორგანიზაციამ ფეხბურთელთათვის დოპინგტესტის ჩასატარებლად ნაკრების ვარჯიში შეაფერხა.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია ამ ინციდენტს განიხილავს და სულაც არაა გამორიცხული, ეს საქციელი **კარლუშ კეიროშს** თანამდებობის დაკარგვად დაუჯდეს.

შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, კეიროში პოსტზე მაინც დატოვეს. მას პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ორი წლის შემდეგ ეწურება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ანრი ნაკრებში არ დაბრუნდება

**ტიერი ანრიმ** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. *„ნაკრებში დაბრუნებას აღარ ვაპირებ, დროა, საკლუბო კარიერაზე გადავერთო"*, - ამბობს „ბარსელონადან" ამერიკულ „ნიუ იორკ რედ ბულში" სულ ახლახან გადასული 32 წლის ანრი.

„სამფეროვნებთან" ერთად მან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ანრიმ 123 მატჩი ჩაატარა და 51 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჯეიმსი ბრისტოლში გადავიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, **დევიდ ჯეიმსი** „პორტსმუთიდან" წამოვიდა. ლონდონურ კლუბთან მას ხელშეკრულება ამოეწურა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო.

ვეტერანი მეკარე, რომელსაც 1 აგვისტოს 40 წელი შეუსრულდება, კარიერას ჩემპიონშიპის ბინადარ „ბრისტოლ სიტიში" გააგრძელებს. ჯეიმსმა ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და „ბრისტოლთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ამხანაგური ნეიტრალურ მოედანზე

10 აგვისტოს ლონდონში იტალიისა და კოტ დივუარის ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი გაიმართება. თამაში „ვესტ ჰემის" „აპტონ პარკზე" ჩატარდება. ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს **დიდიე დროგბა**, რომელიც საზარდულის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ბალაკს პირველივე ტური სურს

მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაშავებული **მიხაელ ბალაკი** იმედოვნებს, რომ 21 აგვისტომდე სრულად გამოჯანმრთელებას მოასწრებს. ამ დღეს მისი ძველ-ახალი კლუბი „" ბუნდესლიგის პირველ ტურში დორტმუნდის „ბორუსიას" დაუპირისპირდება.

*„ჩემი რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, კოჭი უკვე წესრიგში მაქვს. „ბორუსიას" წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდა და ვფიქრობ, ამას შევძლებ კიდეც. მთავარია, ბუნდესლიგის სტარტს სრულ ფიზიკურ მზადყოფნაში შევხვდე"*, - ამბობს ბალაკი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## რობინიო სიტიში დაბრუნდება

„მანჩესტერ სიტის" თავკაც **რობერტო მანჩინის** თქმით, მის გუნდს რობინიო დაუბრუნდება. შეგახსენებთ, ბრაზილიელმა ბოლო თვეები სამშობლოში გაატარა, სადაც იჯარით მშობლიური „სანტოსის" ღირსებას იცავდა.

*„რობინიოს არენდის ვადა დასრულდა. იგი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში აშშ-ის წინააღმდეგ ითამაშებს და ინგლისში ამის შემდეგ ჩამოვა"*, - ამბობს მანჩინი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დე მული ისევ იჯარით გაუშვეს

„სევილიამ" დაადასტურა, რომ ბელგიელი ვინგერი **ტომ დე მული** იჯარით სამშობლოში გაუშვა, ის სეზონს ლიეჟის „სტანდარდში" გაატარებს. „სტანდარდმა" შარშანდელი ჩემპიონატი მხოლოდ მე-9 ადგილზე დაასრულა და კლუბი გაძლიერებას აპირებს ახალი სეზონისთვის. ყოფილი „აიაქსელი" დე მული კი შესაფერისი კანდიდატია. 24 წლის დე მული „სევილიაში" 2007 წელს გადავიდა ჰოლანდიიდან, მაგრამ ანდალუსიაში ფეხი ვერაფრით მოიკიდა. შარშანდელი სეზონი დე მულმა იჯარით „გენკში" გაატარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მალიორკას არაო...

უეფამ „მალიორკას" საჩივარი არ დააკმაყოფილა, გუნდს არ აღუდგინა ლიცენზია, რომლის წყალობითაც ის 2010/11 წლების სეზონში ევროპის ლიგაში ითამაშებს. ასე რომ, „მალიორკას" ნაცვლად ევროთასებზე „ვილიარეალი" ითამაშებს. თუმცა ბალეარელებს ერთი ინსტანცია კიდევ რჩებათ გასასაჩივრებლად - სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ანალიზი

# ტალანტების გუნდი ჭკვიანი მწვრთნელით

### ის, რაც გერმანიის ნაკრებში მიხაელ ბალაკის ტრავმის შემდეგ მოხდა და რაც ხალხმა რევოლუციად აღიქვა, დორტმუნდის ბორუსიაში უკვე ორი წელია ხდება

**დორტმუნდის „ბორუსიას" გასულ სეზონში სასწაული არ მოუხდენია, მაგრამ მეხუთე ადგილი და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება დიდ წარმატებად ჩაეთვალა. BVB-ს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ისევე, როგორც გერმანიის ნაკრებს. აღმოვაჩინეთ, რომ ბუნდესგუნდიცა და „დორტმუნდიც" ერთნაირი პრინციპებით მოქმედებენ. „ბორუსიას" საშუალო ასაკი 23.8 წელია და ამით, კლუბი ძალიან ჰგავს ბუნდესნაკრებს. ამ სტატიით გვინდა, დორტმუნდულ კლუბსა და გერმანიის ნაკრებს შორის პარალელები გავავლოთ.**

გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას ძალიან ახალგაზრდა კოლექტივით მიაღწია. ბუნდესგუნდი ახალგაზრდული უპრობლემობის, კოლექტიური კრეატიულობისა და რბილი იერარქიის ნაზავი იყო. გერმანელი გულშემატკივრები მიღწეულით კმაყოფილები დარჩნენ - მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. რაც უნდა იყოს, გერმანიამ ისეთი ფავორიტები გაანადგურა, როგორებიც ინგლისი და არგენტინა იყვნენ.

მაგრამ არა მარტო **სამი ხედირა, მესუთ იოზილი, თომას მიულერი** და კომპანია ალაფრთოვანებენ თავიანთ ქომაგებს მსუბუქი, შემტევი და სახალისო ფეხბურთით. მოკლედ რომ ვთქვათ, ის, რაც გერმანიის ნაკრებში **მიხაელ ბალაკის** ტრავმის შემდეგ მოხდა და რაც ხალხმა რევოლუციად აღიქვა, დორტმუნდის „ბორუსიაში" უკვე ორი წელია ხდება.

გასული სეზონის 34-ე ტურში „ბორუსიას" ქომაგები მეხუთე ადგილზე გასვლას ზეიმობდნენ და მერე რა, რომ ამ კლუბს უდიდესი ისტორია აქვს და წარსულში ამაზე გაცილებით მეტისთვის მიუღწევია - BVB წელს, 2002/03 წლების სეზონის შემდეგ, პირველად გავიდა ევროტურნირზე. სეზონის მიწურულს „ბორუსიას" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსიც კი ჰქონდა, მაგრამ ფანები მეხუთე ადგილით და ისეთი კლუბების უკან მოტოვებითაც კმაყოფილები დარჩნენ, როგორებიც არიან „შტუტგარტი", „ჰამბურგი", ექსჩემპიონი „ვოლფსბურგი" და „ჰოფენჰაიმი". ეს კლუბები კი ტყუილად არ ჩამოგვითვლია: ოთხივე ზემოთ ხსენებულ გუნდს „ბორუსიაზე" გაცილებით უკეთესი ფინანსური მდგომარეობა აქვს. დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „ბორუსია" ფეხბურთელებში მილიონებს ისროდა და ამ მხრივ რეკორდს რეკორდზე ამყარებდა. ისიც გეხსომებათ, რომ ასეთმა მიდგომამ კლუბი ფინანსურ კოლაფსამდე მიიყვანა და რომ არა აქციონერთა კეთილი ნება, კლუბი გაკოტრდებოდა. მას მერე, კლუბის ახალმა ხელმძღვანელებმა პოლიტიკა რადიკალურად შეცვალეს.

თემას დავუბრუნდეთ: იმ დროს, როცა „დორტმუნდმა" ბოლო სამ წელიწადში მხოლოდ 16 მილიონი ევრო დახარჯა (ნაყიდ ფეხბურთელებში გადახდილ ფულს გამოკლებული ის თანხა, რაც გუნდმა გაყიდული მოთამაშეებიდან აიღო), „ჰოფენჰაიმს" 43 მილიონი აქვს დახარჯული, „ვოლფსბურგს" კი სულაც 77 მილიონი ევრო.

### ვიგებთ კოლექტიურად

წარმატების რეცეპტი, ისევე, როგორც გერმანიის ნაკრებში, საქმისადმი კოლექტიური მიდგომაა. ზემოთაც ვთქვით, რომ „დორტმუნდში" ძვირადღირებული ფეხბურთელები დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს - ისეთებზე, ვისაც სირბილი არ ეზარება, ვინც მოედანზე თავდაუზოგავად იბრძვის. ამასთან, გუნდში მუდმივად ძალიან კარგი და საბრძოლო განწყობაა.

*„ერთმანეთს ყველანი ძალიან კარგად ვუგებთ, რადგან ერთი ასაკის ფეხბურთელები ვართ,"* - ამბობს 22 წლის მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი**.

ვარჯიშის დროს ყველა ხუმრობს და იცინის, რადგან თვითონ კლოპიც ყოველთვის ხუმრობის ხასიათზეა. 21 წლის ცენტრალური მცველები, **მატს ჰუმელსი** და **ნევენ სუბოტიჩი** მუდმივად ყურადღების ცენტრში არიან. სუბოტიჩით არაერთი გრანდია დაინტერესებული. „მანჩესტერ სიტი" მზადაა, მასში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს და როცა სერბი მცველი ვარჯიშზე შეცდომას უშვებს, თანაგუნდელებისგან მაშინვე ასეთი წინადადების მოსმენა უწევს: *„ნეტა რომელი სულელი იხდის შენში 20 მილიონს?"*

„ბორუსია" ყველა მნიშვნელოვან პოზიციაზე ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ჰუმელსი და სუბოტიჩი მაღალი, ორთაბრძოლების მოყვარული და ამავე დროს, ისეთი მცველები არიან, რომლებსაც გოლების გატანაც შეუძლიათ. მაგალითად სუბოტიჩმა, რომელიც კლოპმა „დორტმუნდში" ორი წლის წინ, „მაინციდან" წაიყვანა, გასულ სეზონში ყველა მატჩში პირველად ბოლო წუთამდე (!) იასპარეზა და საბოლოო ჯამში, 67 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა, რაც ცენტრალური მცველისთვის შესანიშნავი შედეგია. ჰუმელსმა კი, რომელიც კლოპმა ჯერ „ბაიერნიდან" ინათხოვრა, 2009 წელს კი სრულად გამოისყიდა, 55 მატჩში 6 გოლის გატანა შეძლო და დღემდე გამოცანად რჩება, რატომ არ წაიყვანა გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** მატსი მსოფლიოს ჩემპიონატზე.



ლუკას ბარიოსი, კევინ გროსკროიტცი და ნური შაჰინი

გერმანიის ნაკრებთან პარალელების გავლება გვსურდა და პირველ რიგში ის უნდა ვთქვათ, რომ „ბორუსიაც" და ბუნდესგუნდიც 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობენ. თანაც, კლოპი BVB-ს ამ სქემით გაცილებით ადრე ათამაშებდა, ვიდრე ლიოვი გერმანიის პირველ გუნდს. დაგვეთანხმებით, ასეთ სქემაში უმთავრესი როლი აქვთ საყრდენ ნახევარმცველებს და „დორტმუნდს" ამ პოზიციაზეც ძალიან ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავს: **ნური შაჰინი** და **სვენ ბენდერი** - ორივე 21 წლისაა. „შავ-ყვითლების" 30 წლის კაპიტანი **სებასტიან კელი** მუდმივად ტრავმირებულია და ის ბენდერმა იდეალურად შეცვალა. აღსანიშნავია, რომ „დორტმუნდს" შაჰინსა და ბენდერში ერთი ცენტიც კი არ გადაუხდია. თურქი „ბორუსიას" აღზრდილია, ხოლო ბენდერი კი, კლოპმა „მიუნხენ 1860-ს" მარჯვენა მცველ **ანტონიო რუკავინაში** გაუცვალა.

### დამალული გამთამაშებელი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შაჰინი „ბორუსიას" გულია. გასულ სეზონში მან ბუნდესლიგაში 32 მატჩში შეუცვლელად ჩაატარა და 4 გოლთან ერთად, 8 საგოლე პასი მიითვალა, რითაც, გერმანიის ჩემპიონატში მოასპარეზე საყრდენი ნახევარმცველებიდან, გოლს პლუს პასის რეიტინგში, ჰამბურგელ **ზე რობერტოსთან** ერთად საუკეთესო იყო. 4-2-3-1 სქემაში, საყრდენი ნახევარმცველებიდან ერთ-ერთი ტიპური ჩამშლელი უნდა იყოს, ერთი კი ფლეიმეიქერი და შაჰინი სწორედ მოაზროვნე, კრეატიული საყრდენია, რომელიც თამაშის ტემპს არეგულირებს, ბურთს ანაწილებს და თანაგუნდელებს აზრიანი პასებით ამარაგებს. ანუ, თურქი „დამალული" გამთამაშებელია. თვითონ ფეხბურთელი თავმდაბლობს და ამბობს, რაც გინდათ ის თქვით, მე კი მიმაჩნია, რომ უბრალოდ გუნდური მოთამაშე ვარ და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არისო. კლოპის გუნდში საკუთარ თავზე ზედმეტად დიდი წარმოდგენა არავის აქვს. ასე იყო „მაინცში" და ასეა „ბორუსიაშიც".

ჰუმელსის, სუბოტიჩისა და შაჰინის შემდეგ, გუნდის მეოთხე საკვანძო ფიგურა 25 წლის თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსია**. გოლეადორმა გასულ სეზონში 19 გოლის გატანა შეძლო, რითაც „დორტმუნდის" წარმატებაში ლომის წვლილი დაიდო.

არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აქვთ სხვა ფეხბურთელებსაც: მეკარე **რომან ვაიდენველერს**, ფლანგის მცველებს შმელცერსა და **ოვომოიელას**, რომლებიც მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე მშვენივრად კომბინირებენ, შესაბამისად, 21 ელის **კევინ გროსკროიტცთან** და **იაკუბ ბლაშჩიკოვსკისთან**. იმ დროს, როცა ბარიოსს გოლები გააქვს, მის უკან გამწესებული, სწრაფი და ტექნიკური **მოჰამედ ზიდანი** მცველებს იტყუებს, სვენ ბენდერი კი თითოეულ ნახევარმცველს აზღვევს და ამით, შაჰინსაც მეტ თავისუფლებას სძენს. მოკლედ, დორტმუნდში მთავარი არა რომელიმე ფეხბურთელი ცალკე, არამედ მთელი გუნდია - ისევე, როგორც გერმანიის ნაკრებში.

>> მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიზი



დორტმუნდის ბორუსიას მთავარი მწვრთნელი, მუდამ კარგ ხასიათზე მყოფი იურგენ კლოპი

« მე-6 გვერდიდან

### ფარსკვლავების ნაცვლად, პერსპექტიული ფეხბურთელები

„ბორუსიას“ სპორტულ დირექტორ **მიხაელ ცორკს** შარშანაც კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა და შარშანწინაც. შარშან იმ დროს, როცა „ბორუსიამ“ მოსისხლე მტერ „შალკესთან“ წააგო და მე-15 ადგილამდე დაეშვა. ფანების აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ ამ ამბავს წინ უძღოდა გუნდის ლიდერის, შვეიცარიელი **ალექსანდერ ფრაის** გაყიდვა. არადა, ამ უკანასკნელმა თვითონ მოინდომა მშობლიურ „ბაზელში“ დაბრუნება და ცორკიც არჩევანის წინაშე იდგა: ან გაუშვებდა და 4 მილიონს აიღებდა, ანაც ძალით დატოვებდა და ერთი წლის შემდეგ, ანუ წელს, ფრაის უფასოდ დაკარგავდა. მანამდე, ანუ, ორი წლის წინ, ცორკმა **მლადენ პეტრიჩიც** გაყიდა და ამისთვისაც მაგრად აკრიტიკებდნენ, თუმცა ასე შორს ნუ წავალთ და შარშანდელს დავუბრუნდეთ: ფრაის ნაცვლად ნაყიდმა ბარიოსმა ბუნდესლიგის პირველ 9 ტურში ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლო. ამიტომაც იყო, რომ დღის წესრიგში ცორკის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა (კლოპის გათავისუფლებაზე მე-15 ადგილამდე დაშვების დროსაც არავინ ფიქრობდა, რადგან იურგენი BVB-ს ქომაგებს არანორმალურად უყვართ). მაგრამ როგორც გაირკვა, ბარიოსს ბუნდესლიგასთან შესაგუებლად მხოლოდ დრო სჭირდებოდა.

*„მას მერე, რაც გუნდი გაკოტრებას გადაურჩა, პოლიტიკა რადიკალურად შევცვალეთ და აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც ფულს მხოლოდ პერსპექტიულ ფეხბურთელებში ვიხდით. დღეს უკვე ჩანს, რომ ასეთმა მიდგომამ გაამართლა,“* - ამბობს ცორკი.

გადავხედოთ ბოლო წლებში ნაყიდ ფეხბურთელებს: ჰუმელსი, სუბოტიჩი, **ფელიპე სანტანა**, ბენდერი, **გროსკროიტცი, ბლაშჩიკოვსკი** - „ბორუსიას“ 4.5 მილიონზე მეტი არც ერთ მათგანში არ გადაუხდია. დღეს კი, ყოველი მათგანი გაცილებით მეტი ღირს. იგივე ითქმის ლუკას ბარიოსსზეც, რომელიც „დორტმუნდს“ 5 მილიონი დაუჯდა, დღეს კი, ტრანსფერიდან ერთი წლის შემდეგ, მინიმუმ 15 მილიონი ღირს. შედარებისთვის: 2001 წელს „ბორუსიას“ ძველმა ბოსებმა ბრაზილიელ **მარსიო ამოროზოში** 50 მილიონი მარკა გადაიხადეს და ის 18 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 5 მილიონად შეძენილი ბარი[illegible]სის ანგარიშზე კი, პირველ სეზონში [illegible] გოლია.

მოკლედ: ბოლო ორ წელიწადში „ბორუსიას“ მიერ ნაყიდი ყველა ფეხბურთელის ფასი რომ შევაჯამოთ, იმაზე ნაკლებს მივიღებთ, რაც შარშან მიუნხენის „ბაიერნმა“ **მარიო გომესში** გადაიხადა...

### ოთხი ახალი და ერთი განსაკუთრებული ტალანტი

პოლიტიკა კი უცვლელად გრძელდება: ამ ზაფხულს „დორტმუნდმა“ 21 წლის მეკარე **მიტჩელ ლანგერაკის** სახით პერსპექტიული მეკარე შეიძინა, 21 წლის იაპონელი გამთამაშებლის, **შინჯი კაგავას** სახით კი, უაღრესად ნიჭიერი „დირიჟორი“, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. 25 წლის **ლუკაშ პიშჩეკი** მარჯვენა მცველ პატრიკ ოვომოიელას კონკურენტი იქნება და ეს უკანასკნელი თავს ისე არხეინად ველარ იგრძნობს, როგორც შარშან გრძნობდა. ყველაზე მთავარი კი პოლონელი თავდამსხმელის, **რობერტ ლევანდოვსკიც** ტრანსფერია, რომლის შეძენაც კლოპს ძალიან დიდი ხნის მანძილზე უნდოდა. ლევანდოვსკიც მხოლოდ 5 მილიონი დაჯდა.

ამათ ემატება დორტმუნდის მიერ აღზრდილი ტალანტი: 18 წლის გამთამაშებელი **მარიო გიოტცე**, რომელიც პირადად კლოპის ფავორიტია და რომელსაც ასევე გრანდიოზულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. გიოტცე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებულია.

BVB-ს მხოლოდ სამი „გამოცდილი“ ცენტრალური მცველი ჰყავს: სუბოტიჩი, ჰუმელსი და სანტანა, რაც საკმაოდ ცოტაა გუნდისთვის, რომელმაც მომავალ სეზონში სამ ფრონტზე უნდა იბრძოლოს. თუმცა კლოპი მშვიდადაა და ამბობს, მე მყავს 19 წლის **ლასე ზობიხი** და ასევე 19 წლის **მარკ ჰორნშუ**, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჰუმელსის, სუბოტიჩისა და სანტანას შეცვლაო.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ესაა გუნდი, რომელსაც პროგრესის უდიდესი პოტენციალი აქვს. თუ „დორტმუნდის“ შეფები შეძლებენ და ახალგაზრდა ფეხბურთელების დიდ ნაწილს შეინარჩუნებენ, განვითარება და წარმატებები გარანტირებული ჩანს, რადგან გერმანიაში არც ერთ სხვა გუნდს არ ჰყავს იმდენი და ისეთი ხარისხის ტალანტები, რამდენიც „ბორუსიას“.

ბაიერნი

# ვან გაალი: ვიყიდოთ? ჯერ გავყიდოთ!

## ლუისს გელზენკირხენში 12 ფეხბურთელი მიჰყავს

„ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** ოფიციალურად უარყო მოარული ხმები იმის შესახებ, თითქოს „ბაიერნი“ „ვოლფსბურგის“ თავდამსხმელის, **ედინ ჯეკოს** ყიდვას აპირებდეს. გუშინდელ ნომერში, „კიკერისა“ და სხვა გერმანული გამოცემების ინფორმაციაზე დაყრდნობით ვწერდით, რომ ჯეკოსთვის ბრძოლაში „ბაიერნიც“ ჩაერთო. ვან გაალის თქმით, მას ახალი თავდამსხმელი კი არ სჭირდება, პირიქით, გუნდში ერთით მეტი ფორვარდი ჰყავს. ამ უქმეებზე გელზენკირხენში „ლიგა ტოტალის თასის“ მატჩები გაიმართება, სადაც „ბაიერნმაც“ უნდა მიიღოს მონაწილეობა და ვან გაალმა თქვა, რომ გელზენკირხენში მხოლოდ 12 ფეხბურთელი მიჰყავს. დიდი შანსია, რომ მოთამაშეების ნაკლებობის გამო, „ბაიერნში“ ფიტნესმწვრთნელმა ითამაშოს.


ბაიერნის მწვრთნელი ლუის ვან გაალი

რაც შეეხება ჯეკოს საკითხს: „კიკერი“ წერდა, რომ რეკორდმაისტერი „ვოლფსბურგს“ ბოსნიელი თავდამსხმელის სანაცვლოდ, **მარიო გომესს** და **ანატოლი ტიმოშჩუკს** შესთავაზებდა. *„ჩვენ ახალ ფეხბურთელებს არ ვიყიდით. ეს წელი, სავარაუდოდ, პირველი იქნება „ბაიერნის“ ისტორიაში, როცა კლუბი ზაფხულში არავის შეიძენს,* - თქვა ვან გაალმა და იქვე დასძინა, - *მართალია, ჯეკო ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და მას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა, მაგრამ არა მგონია, ჯეკო ჩვენს კონცეფციაში ჯდებოდეს მაშინ, როცა გუნდში ისედაც სამი ცენტრფორვარდი გვყავს.“*

ჰოლანდიელი სპეციალისტის თქმით, მას მხოლოდ ორი ცენტრფორვარდი სჭირდება. ლუისი: *„აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელმა მითხრა, რომ „ბაიერნში“ დარჩენა სურთ და რომ მე ძალიან კარგი მწვრთნელი ვარ, მაგრამ თუ რომელიმე თავდამსხმელს წასვლა მოუნდება, უკეთესიცაა, რომ წავიდეს.“* ამჟამად „ბაიერნის“ განაცხადში 25 ფეხბურთელია და როგორც იცით, ვან გაალს უნდა, რომ 22-ზე მეტი მოთამაშე არ ჰყავდეს. ამიტომაც ამბობს, ყიდვა კი არა, ჯერ უნდა გავყიდოთო.

„ლიგა ტოტალის თასზე“ კი, ვან გაალს 12 ფეხბურთელი იმიტომ მიჰყავს, რომ გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრების გუნდების წევრები ჯერ კიდევ შვებულებაში არიან. სწორედ ფეხბურთელების ნაკლებობის გამოა ის, რომ ახალგაზრდა **დავიდ ალაბა** შაბათს მოყვარულთა გუნდში იასპარეზებს, მერე კი გელზენკირხენში გაემგზავრება. ლუისი გელზენკირხენში მცველ **დანიელ ვან ბუიტენს** ვერ წაიყვანს, რომელიც შვილის დაბადებას ელოდება და ამის გამო „ბაიერნის“ მეორე გუნდში (მესამე ბუნდესლიგა) ითამაშებს, რის შემდეგაც მიუნხენში დარჩება. 12 ფეხბურთელი მატჩის ჩასატარებლად ძალიან ცოტაა, რის გამოც ვან გაალი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ განაცხადში ფიტნეს-მწვრთნელი **მარსელო მარტინსი** შეიყვანოს. ეს უკანასკნელი ვან გაალმა „ტრენტინოსთან“ ამხანაგურ მატჩშიც ათამაშა, რომელიც ბავარიელებმა 5:1 მოიგეს.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ჰილდებრანდს სელტიკმა დაუძახა


ტიმო ჰილდებრანდი ჯერჯერობით უკლუბოდაა

„ჰოფენჰაიმმა“ **ტიმო ჰილდებრანდს** კონტრაქტი არ გაუგრძელა, რადგან კლუბის მეპატრონე **დიტმარ ჰოპი** ფულს ზოგავს, ჰილდებრანდი კი მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო. გერმანიის ნაკრების ყოფილ მეკარეს ახალი გუნდის პოვნა რომ არ გაუჭირდებოდა, ცხადი იყო. 31 წლის ტიმო კარიერას, სავარაუდოდ, გლაზგოს „სელტიკში“ გააგრძელებს.

ჰილდებრანდმა „ბილდს“ დაუდასტურა, რომ შოტლანდიურ გრანდში მართლაც ეპატიჟებიან და აღნიშნა, „სელტიკში“ გადასვლა მინდაო. მოგეხსენებათ, „სელტიკი“ გამოცდილმა მეკარემ, **არტურ ბორუცმა** დატოვა („ფიორენტინაში“ გადავიდა) და გლაზგოურ კლუბს ახალი მაღალი დონის კიპერი სჭირდება. „სელტიკის“ კარს ახლა პოლონელი **ლუკაშ ზალუშკა** იცავს და გლაზგოელებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პორტუგალიურ „ბრაგასთან“ სამარცხვინო მარცხი (0:3) განიცადეს.

# რაულის მერე გომესი?

„ბილდის“ ცნობით, „შალკეს“ მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი რაულის** ტრანსფერის შემდეგ კიდევ ერთ ხმაურიან გარიგებას გეგმავს. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ გელზენკირხენული კლუბის ახალმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მაგათთან ერთად, „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების 25 წლის ფორვარდ **მარიო გომესის** გადაბირებაზე დაიწყო ზრუნვა. ამას წინათაც ვწერდით, რომ მიუნხენური კლუბის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** სულაც არ არის წინააღმდეგი, რომ გომესი და **მიროსლავ კლოზე** გაუშვას.

მარიომ, რომელიც ბავარიელებმა ერთი წლის წინ „შტუტგარტიდან“ იყიდეს, მიუნხენში იმედები ვერ გაამართლა. მაგათი გომესს ძალიან კარგად იცნობს, რადგან 2003 წელს ეს თავდამსხმელი „შტუტგარტში“ სწორედ „დესპოტმა ფელიქსმა“ აღმოაჩინა - იმ დროს მაგათი შვაბური კლუბის თავკაცი იყო. ფელიქსი გომესით დაინტერესებას არ ადასტურებს, მაგრამ არც იმას მალავს, რომ რაულთან ერთად, კიდევ ერთი მაღალი კლასის გოლეადორის ყიდვა უნდა. „ბილდის“ ცნობით, „ბაიერნი“ მზადაა, შარშან 30 მილიონ ევროდ ნაყიდი გომესი, წელს 20 მილიონად დათმოს. მაგათი გომესზე მას მერე ფიქრობს, რაც პსჟ-სგან **გიიომ ოარაუს** თაობაზე უარი მიიღო.


მარიო გომესი, შეიძლება, შალკეში გადავიდეს

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონის წინ



მარკ შვარცერი

# ზოგი უზერავს, რადგან...

ავსტრალიელი მეკარე **მარკ შვარცერი** ძალიან მონადინებულია „ფულჰემი“ დატოვოს და „არსენალში“ გადავიდეს. იმას, რომ „ფულჰემს“ ახალ სეზონში ცნობილი **მარკ ჰიუზი** გაწვრთნის, შვარცერისთვის მნიშვნელობა არ აქვს. ცნობისათვის: ჰიუზის ამბავი „კრეივენ კოტეჯზე“ ხუთშაბათსვე დაადასტურეს. უელსის ნაკრების, „ბლექბერნისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი თავკაცი დღეს, შაბათს, „პორტსმუთთან“ ამხანაგურ შეხვედრას ტრიბუნიდან ნახავს, სამშაბათს კი დასავლეთლონდონელებთან ოფიციალურ კონტრაქტს გააფორმებს და საქმესაც შეუდგება. უელსელი სპეციალისტი წელიწადში 2 მილიონ ფუნტს მიიღებს, თუმცა ეს მარტო ხელფასია. დანარჩენი შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

გარდა ამისა, გადაწყდა ის პრობლემაც, რომლის შესახებაც „ლელოს“ მკითხველს გუშინ ვაუწყეთ: „ფულჰემი“ ჰიუზს ასისტენტებად მისთვის სასურველი ხალხის მიყვანაზე დაყაბულდა. ასე და ამგვარად, ცნობილია, რომ ევროლიგის ფინალისტთა მწვრთნელის თანაშემწეები იქნებიან **მარკ ბოუენი, ედი ნიედვეცკი** და **კევინ ჰიჩკოკი**. თავის მხრივ, კლუბმაც უერთგულა თავის კაცს **რეი ლევინგტონს**, რომელიც **როი ჰოჯსონის** მარჯვენა ხელი გახლდათ - ლევინგტონიც მწვრთნელად რჩება. გამოდის, რომ „ფულჰემს“ ერთი ხელფასით მეტის გადახდა მოუწევს.

თუმცა, ჩვენი წერილი შვარცერით დავიწყეთ, რომლისთვისაც ჰიუზის დანიშვნამ „ფულჰემში“ დასარჩენად არგუმენტად არ ივარგა. 37 წლის მეკარეს ლონდონშივე, „არსენალში“ უნდა გადასვლა, სადაც ძელებს შორის ადგილი თავისუფლდება - დიდი შანსია, ესპანელი **მანუელ ალმუნია** თავის პირველ გუნდში „ოსასუნაში“ დაბრუნდეს. ალმუნიამ იცის, რომ „მეთოფეთა“ თავკაცი **არსენ ვენგერი** გუნდის მთავარ გოლკიპერად აღარ დატოვებს. ლაპარაკი იყო მის „ატლეტიკოში“ გადასვლაზეც.

რაც შეეხება „ფულჰემს“, თუ შვარცერის გაშვება მოუხდა, „ვესტ ჰემიდან“ **რობერტ გრინის** ყიდვას აპირებს - ახალი მეკარის საძებნელად ლონდონიდან გასვლა, როგორც ჩანს, არც ჰიუზს ეპიტნავება. და მაინც, პირველი, რასაც „ფულჰემი“ იზამს, შვარცერთან დალაპარაკებაა. კლუბმა „არსენალს“ საწყის წინადადებაზე უკვე შეუთვალა ოფიციალური უარი - „მეთოფეები“ შვარცერის სანაცვლოდ 2 მილიონ ფუნტს იხდიდნენ. თუმცა, როგორც ინგლისური პრესა წერს, სავარაუდოდ, გუნდებს ორივე მხარისთვის მისაღებ თანხაზე შეთანხმება მოუწევთ. გრინს კი „ვესტ ჰემი“ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშვებული შეცდომის მიუხედავად, 6 მილიონ ფუნტად აფასებს.

„ფულჰემში“ ჰიუზს კიდევ ერთი სატრანსფერო საკითხი დახვდება: იყიდოს თუ არა „ასტონ ვილასგან“ 27 წლის ნახევარმცველი **სტივ სიდუელი**. ლონდონელები ამ ფეხბურთელის თაობაზე ბირმინგემელებთან ვაჭრობდნენ, მაგრამ შემდეგ ახალი მწვრთნელის შერჩევის საკითხმა ისე გაიტაცათ, რომ ვაჭრობა შეაჩერეს.

და, რასაკვირველია, ჰიუზს თავისი სიაც აქვს გამზადებული, რომელშიც, პირველ ნომრად თანამემამულე **კრეიგ ბელამი** უწერია. ამავე ქაღალდზე წერია **სტივენ აირლენდის** და **როკე სანტა კრუსის** გვარებიც - ეს მოთამაშეებთან უელსელი მწვრთნელი „მანჩესტერ სიტიში“ თანამშრომლობდა, სადაც ისინი **რობერტო მანჩინის** აღარ სჭირდება. ადრეც მოგახსენებდით, რომ ისტლენდერებს დღეისათვის განაცხადში 30 ფეხბურთელზე მეტი ჰყავთ, პრემიერლიგის ახალი წესის თანახმად კი 1 სექტემბრისთვის თითოეულ გუნდს 25 ფეხბურთელზე მეტი არ უნდა ეწეროს. ერთი სიტყვით „სიტი“ ხალხს ჰყიდის, მაგრამ მათი ყიდვა განა მარტო „ფულჰემს“ უნდა? ბელამის შესაძენად, მაგალითად, „ტოტენჰემმა“ უკვე გადადგა ნაბიჯი - 4 მილიონ ფუნტს იხდის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გუნდს, რომელიც ბელამის იყიდის, მარტო სატრანსფერო თანხის კი არა, მისთვის ჩვეული ხელფასის გადახდის შნოც უნდა ჰქონდეს - უელსელის ჯამაგირი „სიტიში“ 95 ათასი ფუნტია.

ამ ისტორიაში კიდევ საინტერესო რა არის იცით? ის, რომ თავად ბელამი მანჩინის ელაპარაკა და უთხრა ისტლენდზე დარჩენა მინდაო. მოგეხსენებათ, ამ ორ ადამიანს რთული ურთიერთობა აქვს, გასულ სეზონში მათ რამდენჯერმე კონფლიქტი მოუვიდათ. არ არის გამორიცხული, „სიტიმ“ დატოვების სანაცვლოდ ხელფასის შემცირება მოსთხოვოს... ერთი სიტყვით, საქმე ჩახლართულია და გახსნას ელის.

აირლენდის ამბავი ასეა: მას ჰიუზთან ჩინებული ურთიერთობა აქვს და ეს „ფულჰემის“ შანსებს ზრდის, თუმცა „სიტი“ ფეხბურთელს 10 მილიონად აფასებს და თან, მისი შეძენა სხვებსაც უნდათ. ერთი სიტყვით ირლანდიელი ფეხბურთელის ყიდვას კარგი ვაჭრობა დასჭირდება. ხოლო სანტა კრუსის ხელფასი და სატრანსფერო ღირებულება ერთადერთ ვარიანტს ტოვებს - ჰიუზმა ის უნდა იქიროს.

სამართალი

# ქინგმა ჭკუა ისწავლა



მარლონ კინგი

**მარლონ კინგი** ციხიდან გამოვიდა და გუნდს ეძებს - ეს ცნობა მისმა აგენტმა გაავრცელა. გეხსომებათ, რომ „უიგანისა“ და „უოტფორდის“ ყოფილმა თავდამსხმელმა 18 თვე საპატიმროში სექსუალური აგრესიისა და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო გაატარა. ბედის ირონია ის გახლავთ, რომ ფეხბურთელმა 20 წლის ქალს ხელი იმ წვეულებაზე გაარტყა, რომელზეც თავისი ცოლის ფეხმძიმობას ზეიმობდა... იმხანად „უიგანს“ იგი „ჰალში“ ჰყავდა გაქირავებული. დანაშაული კინგმა 2008 წლის დეკემბერში ჩაიდინა, განაჩენი კი 2009 წლის ოქტომბერში გამოუტანეს.

აგენტი **ტონი ფინეგანი:** *„ისევე როგორც ყველას, ჩვენს დემოკრატიულ ქვეყანაში მასაც აქვს მუშაობის უფლება. მარლონ კინგმა სასჯელი უკვე მოიხადა, ხოლო როდესაც ადამიანი დანაშაულის ადეკვატურ სასჯელს მოიხდის, მერე რაღა უფლება გაქვს ცხოვრება შეუზღუდო? რა ქნას კინგმა, ციხეში შებრუნდეს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ხალხი ამბობს, ეგ გამოსაშვები არც იყოო? მე მარლონ კინგის აგენტი ვარ, მას დიდი ხანია ვიცნობ და მასთან თანამშრომლობას ვაგრძელებ. კინგს ბრიტანული სამართლის ვალი აღარ აქვს და სრული უფლება აქვს, სადმე მოეწყოს. უპირველეს ყოვლისა იმ კლუბებს დავივლი, რომელთაც ადრე უნდოდათ ჩემი კლიენტის შეძენა“.*

ზემოთ აგენტმა ახსენა ხალხი, რომელიც ამბობს, რომ კინგს ფეხბურთის თამაში სამუდამოდ უნდა აუკრძალო. ერთ-ერთი პირველი, ვინც ასეთი რამ თქვა „უიგანის“ ყოფილი მეპატრონე **დეივ უილანი** გახლდათ, თუმცა ახლა, როდესაც ფეხბურთელმა სასჯელი მოიხადა, უილანი როგორც ჩანს მოლბა:

*„მაშინ ძალიან გაბრაზებული ვიყავი. დღეს კინგი ციხიდან გამოვიდა და ვიმედოვნებ, რომ თავისი საქციელი გააანალიზა. ჩემი მხრივ მისთვის ყველაფერი მიპატიებია და ფეხბურთში წარმატებით დაბრუნებასაც ვუსურვებ“.*

მოსაზრება

# საზიზღარი და ნიჭიერი

„ჩელსის“ მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** თქვა, რომ თუ „მანჩესტერ სიტი“ მართლა დაიმატებს „არანორმალურად ნიჭიერ“ **მარიო ბალოტელის**, პრემიერლიგის ტიტულისთვის სერიოზულად იბრძოლებს. მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტის“ თავკაცი **რობერტო მანჩინია**, ასე რომ, გამოდის, ინგლისში მომუშავე ერთმა იტალიელმა მეორეს მესამე იტალიელთან თანამშრომლობის სურვილი მოუწონა. ცნობილია, რომ „ჩელსის“ თავკაცი 25 მილიონ ფუნტად (30 მილიონი ევრო) შეფასებული ახალგაზრდა თავდამსხმელის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელია და სწამს, რომ იგი პრემიერლიგაში დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს. დღეისათვის „სიტი“ ბალოტელის კლუბ „ინტერთან“ ვაჭრობის რთულ საფეხურზეა, თუმცა საბოლოოდ, ალბათ, ყველაფერი ტრანსფერით დამთავრდება - ფეხბურთელის აგენტი **მინო რაიოლა** მანჩესტერში



მარიო ბალოტელი

კლიენტის ხელფასისა და სხვა პირადი საკითხების მოსალაპარაკებლად ჩავიდა.

ანჩელოტიმ ასე თქვა: *„თუ „მანჩესტერ სიტი“ ბალოტელისაც დაიმატებს, უკვე მეოთხე ადგილისთვის კი არა, ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს. ამ ფეხბურთელისთვის პრემიერლიგა იდეალური ადგილია. მარიო არანორმალურად ნიჭიერი ყმაწვილი გახლავთ“.*

იტალიაში ბალოტელის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ერთი მხრივ მისი ოსტატობა უნახავთ და მოსწონთ, მეორე მხრივ კი საქვეყნოდაა ცნობილი „ინტერის“ ყოფილ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოსთან** და თანაგუნდელებთან არაერთი კონფლიქტის ამბავი.

გარდა ამისა, 19 წლის ფეხბურთელს მოწინააღმდეგე გუნდის ფანები მუდამ წონასწორობიდან გამოჰყავს - მას გამარჯვებისთვის ათასი ეშმაკობისა და უკადრებლის მოფიქრება ეხერხება, თუმცა ანჩელოტი სხვანაირად ხედავს. ის ამტკიცებს, რომ ბალოტელიმ კი არ გამოიწვია ფანების ასეთი დამოკიდებულება, ფანებმა აქციეს იგი ასეთად. როგორც ჩანს, საბოლოოდ მაინც რასიზმთან მივდივართ. გაზეთ „ლა სტამპასთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ჩელსის“ თავკაცმა ბრძანა:

*„იტალიაში ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დიდი ზეწოლაა, მაგრამ იტალიისგან განსხვავებით ინგლისში რასიზმის პრობლემა არ არის“.*

ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ ანჩელოტის ასე მოსწონს ბალოტელი, თავისთვის რატომ არ იყიდის მას? საქმე ის გახლავთ, რომ „ჩელსის“ მწვრთნელმა ერთიხანობა მართლაც გადადგა ნაბიჯები მის გადასაბირებლად, მაგრამ მერე სხვა პრიორიტეტები გამოიკვეთა. დღეს, ინგლისის ჩემპიონი „ბენფიკადან“ ბრაზილიელების **რამირესისა** და **დავიდ ლუისის** გადაყვანით არის დაკავებული. სხვათა შორის ლუისი „სიტისაც“ აინტერესებს.

„ჩელსის“ რუს მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** იმედი ჰქონდა, რომ რამირესის ამბავს 20 მილიონ ფუნტად (24 მილიონი ევრო) ამ კვირაშივე მოაგვარებდა, მაგრამ წინააღმდეგობებს წააწყდა. საინტერესოა, რომ ფეხბურთელი თავადაც ეხვეწება პორტუგალიის ჩემპიონს, გამიშვითო. რამირესმა თქვა:

*„ჩემი შეძენით „ჩელსი“ გახლავთ დაინტერესებული. ლონდონელებმა „ბენფიკაში“ ოფიციალური წერილიც გამოაგზავნეს. პრემიერლიგის საუკეთესო გუნდში თამაში, რასაკვირველია, ჩემი ოცნებაა. ლისაბონში ფანტასტიკური წელიწადი გავატარე, მაგრამ ახლა ჩემი არგაშვება ცუდ სიზმარს დაემსგავსება“.*

სასამართლო

# საეჭვო ამბები პრემიერლიგაში

„ფულჰემმა“ ყველა გააკვირვა: პრემიერლიგის თავმჯდომარეს სერ **დეივ რიჩარდსს** სასამართლოში უჩივლა. დასავლეთ ლონდონის კლუბი საფეხბურთო დიდმოხელეს ბრალს სდებს, რომ ის **პიტერ კრაუჩის** „პორტსმუთიდან“ „ტოტენჰემში“ გადასვლის საქმეში ჩაერია. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი 2009 წლის ივლისში 9 მილიონ ფუნტად გაიყიდა.

რამდენადაც გაზეთ „სანისთვის“ გახდა ცნობილი, პრემიერლიგამ თავადაც ჩაატარა გამოძიება და დაადგინა, რომ მის შეფს ცუდი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ „ფულჰემი“ ვერაფრით შეგუებია კრაუჩის ცხვირწინ აწაპვნის ფაქტს და სასამართლოში ჩივის. ლონდონელები ამტკიცებენ, რომ ისინი „პორტსმუთთან“ უკვე იყვნენ 11 მილიონად გარიგებული, თუმცა, მერე საქმეში რიჩარდსი ჩაერია და ტრანსფერის ამბავიც ყირაზე დააყენა. „ფულჰემისა“ და პრემიერლიგის დაპირისპირებამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა **რიჩარდ სკუდემორმა** ოცივე გუნდს დაურეკა და თავიანთი წილი ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. საქმეში ჩახედულმა წყარომ „სანს“ ეს უამბო:

*„ფულჰემში“ ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ კრაუჩი უკვე მათი ფეხბურთელი იყო. როდესაც გაიგეს, რომ თავდამსხმელი ორი მილიონით იაფად „ტოტენჰემში“ გაიყიდა, თვალებს არ უჯერებდნენ“.*

„კრეივენ კოტეჯზე“ ეჭვი არ ეპარებათ, რომ „პორტსმუთმა“, რომელიც ამ ამბიდან დაახლოებით ნახევარ წელიწადში გაკოტრდა და მართვაში ადმინისტრატორებს გადაეცა, 2 მილიონზე უარი დეივ რიჩარდსის ჩარევის გამო თქვა. თუმცა, შეიძლება საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ: განა გამორიცხულია, რომ „პორტსმუთს“ ფული სასწრაფოდ სჭირდებოდა და „ფულჰემის“ ნაწილ-ნაწილ ჩარიცხულს „ტოტენჰემის“ ერთბაშად გადახდილი ამჯობინა?

მაგრამ დასავლეთ ლონდონში ამტკიცებენ, ეს ასე არ იყო, რადგან გასული წლის ივლისში „პორტსმუთი“ არაბ ბიზნესმენ **სულეიმან ალ ფაჰიმს** ახალი ნაყიდი ჰქონდა. „ფულჰემი“ მრავალმნიშვნელოვნად იმასაც ამტკიცებს, რომ სწორედ იმ დღეებში რიჩარდსი ალ ფაჰიმს პირადად შეხვდა და პრემიერლიგის კლუბის მეპატრონეთათვის სავალდებულო წესები გააცნო. ამ ბრალდებებზე პრემიერლიგის პრესმდივანმა განაცხადა: *„ვინაიდან საკითხი სასამართლომ უნდა გაარჩიოს, ჩვენ მეტ კომენტარს ველარ გავაკეთებთ“.*



სერ დეივ რიჩარდსი

დამატებითი კომენტარისგან თავი „ფულჰემმაც“ შეიკავა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ფიორენტინა

# მიხაილოვიჩი ოთხეულს უმიზნებს

„ფიორენტინას" გარშემო უამრავი ჭორი ვრცელდება - დღე არ გავა, რომ ჟურნალისტებმა გუნდის ესა თუ ის ფეხბურთელი სხვაგან არ გადაიყვანონ. არადა, კლუბის სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** მუდმივად იმას აცხადებს, რომ წამყვან ფეხბურთელებთან განშორებას არ აპირებს და პირიქით, აგვისტოსში რამდენიმე მაღალკვალიფიციური ფეხბურთელის დამატება სურს. როგორც ჩანს, კორვინოს სიტყვები ჟურნალისტებისთვის საკმარისი არ არის და საქმეში **სინიშა მიხაილოვიჩი** ჩაერთო:

„არც მონტოლივოს ვყიდით, არც ჯილარდინოს და არც იოვეტიჩს. კარგი იქნება, თუ ერთხელ და სამუდამოდ მორჩება ამაზე ლაპარაკი. ვერ ვხვდები საიდან ჩნდება ასეთი აბსურდული ინფორმაციები. მესმის, რომ გაზეთში რამე უნდა დაიწეროს, მაგრამ რაღაც წინაპირობა ხომ უნდა არსებობდეს ინფორმაციის გასავრცელებლად? - არც ერთი ჩემი შეგირდი წასვლას არ აპირებს. ისინი ახალ სეზონს დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან. პირიქით, რამდენიმე ფეხბურთელის დამატება გვსურს, რათა მომავალ სეზონს ყოველმხრივ მომზადებულნი შევხვდეთ".

მიხაილოვიჩმა დასახულ გეგმებზეც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: „საერთოდ, მაქსიმალისტი ვარ და ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ვისახავ. არაფერს არ გამოვრიცხავ, მათ შორის არც იმას, რომ გუნდმა სკუდეტოსთვის იბრძოლოს. თუმცა, თუ უფრო რეალისტები ვიქნებით, ჩვენი ამოცანა ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ჩემს ხელთ საკმაოდ დიდი რესურსია, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, მიზნის მიღწევა წესით არ უნდა გაგვიჭირდეს. კონკურენცია დიდია, მაგრამ არ მაშინებს, არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს".

პრესასთან საუბარში ოპტიმისტური განცხადებები გააკეთა **რიკარდო მონტოლივომ**. „ფიორენტინას" კაპიტანი კმაყოფილია როგორც გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობით, ისე **ჩეზარე პრანდელის** ეროვნულ ნაკრებში დანიშვნით. აი, რას ამბობს რიკარდო:

„ახალი ხელშეკრულება „ფიორენტინასთან" ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შემექმნება. დავჯდებით, დავილაპარაკებთ და კონტრაქტს მოვაწერთ ხელს, ეს ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. მიხაილოვიჩი ძალიან კარგი მწვრთნელი ჩანს და მჯერა, რომ მის ხელში დიდ წარმატებებს მივაღწევთ. დიდი იტალიური ოთხეული ძალიან ძლიერია, მაგრამ თუ რომელიმე მათგანს პრობლემა შეექმნა, ამას აუცილებლად გამოვიყენებთ. მიზანი ოთხეულში მოხვედრაა, რისთვისაც ყველანი თავგამოდებით ვიბრძოლებთ. გასული სეზონი წარუმატებელი გამოდგა და ეს მიუხედავად იმისა, რომ პირველი წრე შესანიშნავად გავიარეთ. ორ ფრონტზე საბრძოლველად ძალა არ გვეყო და სამომავლოდ ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ამჯერად მხოლოდ სერია A-ზე ვიქნებით კონცენტრირებულნი, რაც მიზნის მიღწევას გაგვიადვილებს. რაც შეეხება პრანდელის ეროვნულ ნაკრებში დანიშვნას, ბუნებრივია, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩეზარეს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მის ხელში „სკუადრა აძურა" წარმატებებს მიაღწევს. თავის მხრივ, პრანდელიც კარგად მიცნობს, იცის ჩემი შესაძლებლობები და იმედია, ნაკრებშიც ვითანამშრომლებთ. ბევრს ჰგონია, რომ ეროვნულ გუნდში გარანტირებული მაქვს ადგილი, თუმცა ასე ნამდვილად არ არის - როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩეზარეს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ის მხოლოდ დამსახურების მიხედვით შეარჩევს შემადგენლობას".



სინიშა მიხაილოვიჩი

მილანი



რონალდინიო

# რონალდინიო გადარჩა

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ვარჯიშისას **რონალდინიომ** ტრავმა მიიღო და ლაზარეთში გადაინაცვლა. ისიც გამცნეთ, რომ ექიმთა პირველადი დასკვნის შედეგად, გაუჩოს ერთი თვით მოუწევდა უქმობა. ანუ, უნდა გამოეტოვებინა მთელი მოსამზადებელი ეტაპი და ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის პაექრობა. თუმცა, უნდა დავამშვიდოთ „როსონერის" გულშემატკივრები და ვაცნობოთ მათ, რომ გაუჩოს ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც ამას ექიმები ვარაუდობდნენ. როგორც დეტალურმა გამოკვლევამ აჩვენა, კუნთის მსუბუქ დაჭიმვასთან გვაქვს საქმე, რომლის მკურნალობასაც შვიდიდან ათ დღემდე სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელი ვირტუოზი მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ნაწილს კლუბთან ერთად გაატარებს და ჩემპიონატის პირველ ტურს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

აღნიშნულმა ამბავმა თურმე ძალიან გაახარა **მასიმილიანო ალეგრი**, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში გაუჩო ქებით ცაში აიყვანა. როგორც ჩანს, „მილანის" თავკაცი რონიზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებს და თამაშსაც დიდწილად მასზე ააწყობს. შესაბამისად, გაუჩოს ტრავმამ ერთობ ააღელვა და აანერვიულა.

ამასობაში, პრესასთან კომენტარი რონალდინიოს პირადმა აგენტმა **რობერტო დე ასისმა** გააკეთა და შემდეგი განაცხადა: „გაუჩოს ხელშეკრულებას ვადა ერთი წლის შემდეგ გასდის, ამასთან, შეუძლია თავისი ნებით იანვარშივე გაწყვიტოს. სწორედ ეს პუნქტი გახდა მიზეზი იმისა, რომ უამრავი ჭორი გავრცელდა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ უახლოეს მომავალში რონი ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს „როსონერისთან", რომელიც 2014 წლამდე იქნება გათვლილი. შეთანხმება უკვე მიღწეულია და შესაბამისად, პირობები გარკვეული. დასამალი არაფერია, ახალი კონტრაქტის მიხედვით ჩემი ძმა სეზონში ორი მილიონით ნაკლებს აილებს".

ცნობისთვის, მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, რონალდინიო სეზონში ექვს მილიონ ევროს ილებს, გამოდის, რომ 2011/12 წლების სეზონიდან მისი ჯამაგირი წლიურად ოთხი მილიონი ევრო იქნება.

სიმბოლოები სიმბოლოზე

# რაულის ტრანსფერის გამო...

**რაულის** „რეალიდან" წასვლის შესახებ კომენტარი გააკეთა **ფრანჩესკო ტოტიმ** და პარალელები საკუთარ თავთან გაავლო. რაული ისეთივე სიმბოლო გახლდათ თავისი კლუბის, როგორიც ტოტია „რომასთვის" და მანაც საჭიროდ ჩათვალა, აღნიშნულ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი გაეკეთებინა:

„ძალიან გამიკვირდა, როდესაც რაულის „შალკეში" გადასვლის ამბავი გავიგე, რადგან ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. ის ლეგენდარული ფეხბურთელია და კარიერის ბოლომდე აუცილებლად მადრიდში უნდა დარჩენილიყო. ჩემი აზრით, რაული არა მარტო გუნდის სიმბოლო და ლიდერი, არამედ სული და გული გახლდათ. საოცარია, რომ ასეთ ფეხბურთელს ოქროს ბურთი არ აქვს აღებული. ალბათ სწორად მოიქცა, როდესაც „შალკეში" გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო, რადგან „რეალში" მის ადგილს ველარ ხედავდა. თუმცა, როდესაც საკუთარი თავი წარმოვიდგინე ანალოგიურ სიტუაციაში, მივხვდი რომ სხვა გუნდში გადასვლას ისევ კარიერის დასრულება მირჩევნია. წარმატებები მინდა ვუსურვო ახალ გუნდში და იმედია, კვლავ გაგვახარებს შესანიშნავი თამაშით".

იტალიელი ჟურნალისტები **პაოლო მალდინისაც** შეეხმიანენ და კომენტარი მასაც სთხოვეს. ამ შემთხვევაშიც ყველაფერი მარტივია, პაოლო თავისი გუნდის სიმბოლო გახლდათ და რაულისგან განსხვავებით, კარიერა მშობლიურ კლუბში დაასრულა. მოვუსმინოთ პაოლოს:

„ძალიან სამწუხარო და ცოტა უჩვეულოა, რომ ასე მოხდა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია თანამედროვე ფეხბურთი. რაულის ადგილი „რეალში" უბრალოდ აღარ იყო და ჩემი აზრით, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ან უნდა დაესრულებინა კარიერა, ან სხვაგან წასულიყო და ასეც მოიქცა. მე მოვახერხე და კარიერის ბოლომდე „მილანში" ვიასპარეზე, მაგრამ ეს უფრო ჩემი ამპლუის დამსახურება გახლდათ. მცველისთვის გაცილებით იოლია შენი ადგილი მონახო და გუნდს სარგებელი მოუტანო, აი, თავდამსხმელი კი გაცილებით უფრო დიდ კონკურენციაშია. რაულით აღფრთოვანებული ვარ, „რეალის" მაისურით 741 თამაში აქვს ჩატარებული და მიუხედავად ამისა, გამონახა ძალა ახალი გამოწვევა მიელო. ამასთან, ჩემი ახლო მეგობარია და უდიდეს წარმატებებს ვუსურვებ".



მალდინი და ტოტი რაულის გადაწყვეტილებას მიესალმებიან

პოზიცია



ჯამპიერო გასპერინი

# გასპერინიმ ლეგიონერებზე გაილაშქრა

„ჯენოას" მთავარმა მწვრთნელმა **ჯამპიერო გასპერინიმ** იტალიურ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და „სკუადრა აძურას" სამხრეთაფრიკულ ფიასკოზე გაამახვილა ყურადღება. გასპერინის თქმით, აპენინური ფეხბურთის მთავარი პრობლემა სერია A-ს კლუბებში ლეგიონერთა განუსაზღვრელი რაოდენობაა. მოვუსმინოთ „ჯენოას" მთავარ მწვრთნელს:

„იტალიის ნაკრების ფიასკოზე ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა, თუმცა ჩემი აზრით, მთავარზე არ ვლაპარაკობთ. სერია A-სა და გნებავთ, სერია B-ს გუნდებში ძალიან ბევრი ლეგიონერია, რომელთა უმეტესობა აბსოლუტურად უსარგებლოა. ეგ კი არა, ბავშვთა აკედიმიის გუნდებშიც ბევრი უცხოელი ირიცხება, რომლებიც არაფრით აღემატებიან იტალიელ თანატოლებს. ვერაფრით ვხვდები, რატომ გვაქვს არჩეული ასეთი პოლიტიკა. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, ჩვენს ეროვნულ გუნდს კიდევ უფრო უარესი შედეგი ექნება. პერსპექტიული ახალგაზრდა იტალიელი ფეხბურთელები იჩაგრებიან და ეს ყველას დავიწყებული გვაქვს. არ არის აუცილებელი ლეგიონერებზე ლიმიტი დააწესო, ეს ბუნებრივად უნდა მოხდეს, ჩვენვე უნდა გამოვიჩინოთ უფრო მეტი ინტერესი ადგილობრივი ფეხბურთელების მიმართ. ჩეზარე პრანდელის დიდი იმედი მაქვს, ის აუცილებლად დააყენებს ამ საკითხს დღის წესრიგში და იმედია, ყველანი ერთად ვიზრუნებთ მდგომარეობის გამოსწორებაზე".

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავისუფალი ჭიდაობა | ინტერვიუ დავით ხუციშვილთან

# დუბლი და მესიჯი ლონდონისკენ

თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ხუციშვილმა (74) ივნის-ივლისის მიჯნაზე, სულ რაღაც სამკვირიან მონაკვეთში ორი დიდი გამარჯვება იზეიმა - ჯერ ბულგარულ სამოკოვოში თანატოლებში ევროპის ჩემპიონი გახდა, მერე კი ბუდაპეშტში - მსოფლიოსი და ამ სეზონში დუბლი შეასრულა. სადღეისოდ ის ახალგაზრდებში უდავოდ ყველაზე წარმატებული სპორტსმენია. ამ წარმატებამდე მას ათწლიანი ვარჯიში და მთელი 24 კილოგრამის მომატება დასჭირდა - ჭიდაობაში ვარჯიში 2000 წელს დაიწყო 10 წლისამ საგარეჯოში, რამაზ ასაბაშვილთან, როცა 50 კილოგრამს იწონიდა. პირველ სერიოზულ გამარჯვებასაც ამ წონაში მიაღწია 2006 წელს - საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკებში. ანალოგიური წარმატება მომდევნო სეზონში უკვე 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაიმეორა და ისევ წავიდა ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე. წინა მცდელობისგან განსხვავებით, ხელმეორე ცდა იღბლიანი გამოდგა და საგარეჯოში ვერცხლის მედლით დაბრუნდა. ამასობაში ნაკრებიც გამოიცვალა, წონითი კატეგორიაც, საცხოვრებელ-სავარჯიშო ადგილიც და მწვრთნელიც - ახალგაზრდებში გადავიდა და 74 კილოგრამში გადაბარგდა. მის წინაშე უკვე ახალი მოთხოვნები დადგა, რასაც სხვა, ბევრად უფრო დიდი ასპარეზი სჭირდებოდა. ამიტომ რამაზ ასაბაშვილმა მოჰკიდა ხელი და ფალავანთა კლუბში ალექსანდრე კახნიაშვილს მიუყვანა. მას შემდეგ ხუციშვილი კახნიაშვილთან ვარჯიშობს და ამ დუბლსაც მას უმადლის, თუმცა ასეთი რადიკალური ცვლილებები



იოლად არ ხდება და 2008 წლის სეზონი ადაპტაციას მოანდომა. სამაგიეროდ, 2009-ში ისევ გაგვახსენა თავი - თბილისში გამართულ ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატში ბრინჯაო მოიპოვა, წლეულს კი დუბლით გაგვახარა და თამამად შეიძლება ითქვას - ლონდონის ოლიმპიადასაც გაუგზავნა მესიჯი. იქამდე კიდევ ორი წელიწადია დარჩენილი, მაგრამ ლამის ყველა დარწმუნებულია - ხუციშვილი იქ იჭიდავებს. სჯერათ იმისაც, რომ ის ანალოგიურ გამარჯვებებს უფროსებშიც მოიპოვებს და ძნელია, არ გაიზიარო ეს ოპტიმიზმი. მთავარია, თვითონ სპორტსმენმა არ იფიქროს, რომ წარმატებებს იოლად მიაღწევს, ამ ჯილდოებმა არ გააყოყოჩოს, კვლავაც ადრინდელივით მუყაით, გამრჯე და დისციპლინიან ათლეტად დარჩეს და მედლები ნამდვილად იქნება.

ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მისი გამოსვლა ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს და არა მხოლოდ იმით, რომ ორივეგან ჩემპიონი გახდა! ბულგარეთშიც და უნგრეთშიც მან ფინალში ერთი და იგივე ფალავანი - თურქი სონერ დემირტასი დაამარცხა; აქაც და იქაც ნახევარფინალში რუსები არ გაახარა (თანაც სხვადასხვა ფალავანი) და ორივეგან დამაჯერებელი, ლამაზი ჭიდაობა უჩვენა სპეციალისტებს.

**- ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ თქვით, რომ ჩემპიონობა სულ სხვა შეგრძნებააო. ახლა როგორი იყო ეს გრძნობა - ისეთივე უცხო და ამაღლებული, თუ უკვე ნაცნობი და შეჩვეული?**

- არა, ამჯერადაც განსხვავებული გრძნობა იყო. სიტყვებით ვერ გადმოსცემ, ისეთი განცდაა. კაცს მუდმივად გინდა, ასეთი რამ განიცადო.

**- შარშან ევროპის პრიზიორი გახდით, მაგრამ წლეულს განსაკუთრებით კარგ სეზონს ატარებთ. ამის მიზეზად რა მიგაჩნიათ - გამოცდილება დაგიგროვდათ, ტექნიკურად მოუმატეთ თუ რა მოხდა?**

- ამაში დიდია მწვრთნელთა წვლილი, რომლებმაც ყველანაირად შემიწყვეს ხელი.

**- შარშანს მერე რა გააკეთეს ასეთი მწვრთნელებმა, უფრო რა ასპექტებში მოუმატეთ?**

- ფიზიკურადაც მოვუმატე და ტექნიკურადაც. თანაც ორივეში თანაბრად ძლიერად მოვემზადე და შედეგიც მივიღეთ.

**- ალბათ, სეზონის დასაწყისში დუბლის გაკეთებაზე კი ოცნებობდით, მაგრამ მიგაჩნდათ მაშინ ეს რეალურად?**

- სიმართლე გითხრათ, თავიდან ეს რეალური არ მეგონა, მაგრამ სურვილი კი ნამდვილად იყო. თუმცა ყველა შეხვედრას იმ რწმენით ვჭიდაობ, რომ უნდა მოვიგო და საამისოდ ყველაფერს ვაკეთებ. საბოლოოდ მართლაც ასე გამომივიდა. აი, ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ კი მსოფლიოზე გამარჯვებაც რეალური მეჩვენებოდა, ოღონდ ვიცოდი - ეს ძალიან გამიჭირდებოდა.

**- ევროპაზეც და მსოფლიოზეც ფინალში თურქი სონერ დემირტასი შეგხვდათ. ბუდაპეშტშიც ის გინდოდათ მეტოქედ თუ სხვა გერჩივნათ?**

- ბუდაპეშტში მე უფრო ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდი - რუსი არსენ შალაევი და ირანელი რეზა ალირეზა აფზალიპაემამიც ჩემს მხარეს იყვნენ, დემირტასს კი ძლიერი მხოლოდ აზერბაიჯანელი იბრაჰიმ იუსიფოვი ჰყავდა. რაკი იმათ მოვუგე, მერე სულ ერთი იყო, ვინ შემხვდებოდა ფინალში. თურქი ძალისმიერი სტილის მოჭიდავეა - ცდილობს, ფიზიკური ძალით მოგიგოს. ამდენად, მისი ჭიდაობის სტილიც კარგად ვიცოდი.

**- წლეულს ამ ორი დიდი ტურნირის ნახევარფინალში რუსები დაამარცხეთ. თანაც - სხვადასხვანი. არადა, სუსტი სპორტსმენები არ უნდა იყვნენ - თქვენთან წაგების შემდეგ ორივემ ბრინჯაო მოიპოვა...**

- შალაევმა წლეულს რიგის საერთაშორისო ტურნირის ფინალში მომიგო, ევროპაზე შენახვედრ ზაურ მაკიევს კი არ ვიცნობდი. რიგაში შალაევმა სამ პერიოდში მომიგო, საკმაოდ თავისუფლად, მაგრამ მას შემდეგ მოვემზადე და უკვე მე ვაჯობე ასევე იოლად. მასთან ჭიდაობაც უფრო ძნელი იყო, რადგან წაგებული მქონდა, მაკიევისა კი არაფერი ვიცოდი, რას აკეთებდა და როგორ. მასთან შევეცადე, ჩემს სტილში მეჭიდავა, არ დამეთმო ინიციატივა და დასახული გეგმა კიდეც შევასრულე. შალაევთან ჭიდაობა იმიტომაც იყო უფრო ძნელი, რომ ასაკითაც გადაზრდილია. მოგეხსენებათ, რუსებს ძირითადად ასეთი ფალავნები ჰყავთ, თუმცა მაკიევზე ვერ ვიტყვი ამას - არ ჰგავდა უფროსს.

**- თავიდან რატომ აირჩიეთ ჭიდაობა და არა სპორტის სხვა სახეობა, როცა საგარეჯოში არჩევანი გქონდათ - ოჯახური ტრადიციაა?**

- სხვათა შორის, ჯერ ძიუდოზე მივედი, მაგრამ, ასაკით პატარა ხარო და არ მიმიღეს. ამიტომ „თავისუფალზე" მივედი, სადაც თავისუფლად მიმიღეს.

**- ჭიდაობაში კერპი თუ გყავთ?**

- ჩემთვის სამაგალითო სპორტსმენი რევაზ მინდორაშვილია თავისი შეუპოვარი ხასიათის გამო. გახსოვთ, რომ ოლიმპიადამდე რამდენჯერმე წააგო რუსეთის ნაკრების წევრ გიორგი კეტოევთან, მაგრამ რა დამაჯერებლად აჯობა მას პეკინში!

**- როგორც ვიცი, წონის პრობლემა არ გაქვთ, ანუ ეროვნულ ნაკრებშიც ამ წონაში დარჩებით.**

- მხოლოდ ორიოდ კილოგრამს ვიკლებ და არც ეროვნულში ვაპირებ წონითი კატეგორიის შეცვლას. იქაც 74-ში დავრჩები.

**- როგორ ფიქრობთ, ეროვნულ ნაკრებში წლეულსვე შეძლებთ დამკვიდრებას და მსოფლიოს პირველობაზე მოხვედრას?**

- არ ვიცი, ამაზე ჯერ არ ვფიქრობ, ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. თუმცა ნაკრებთან ერთად კი გავაგრძელებ მზადებას - 9 აგვისტოს მათთან ერთად წავალ შეკრებაზე, დანარჩენი კი მწვრთნელებმა იციან. წლის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატი იქნება, სადაც აუცილებლად ვიჭიდავებ და ვნახოთ.

**- მაგრამ ფსიქოლოგიურად რამდენად ხართ მზად ეროვნული ნაკრების კონკურენციაში ჩასართავად, სადაც ბევრად დიდი დატვირთვაა?**

- განწყობა ჩინებულია - მინდა ვიბრძოლო. წლეულს უკვე ვიჭიდავე საქართველოს ჩემპიონატი უფროსებში და მესამეზეც გავედი. იმედია, მომავალში ყველაფერი კიდევ უფრო უკეთ იქნება.

**- მოდი, მაშინ პირდაპირ გკითხავთ, რის გამოც წინა კითხვა დაგისვით - ახალგაზრდებში გაკეთებული დუბლი დათვურ სამსახურს ხომ არ გაგიწევთ და „ვარსკვლავური ავადმყოფობა" ხომ არ შეგეყრებათ იმის მიუხედავად, რომ რეჟიმს მკაცრად იცავთ და საკუთარ თავზეც ბევრს მუშაობთ?**

- არა. გპირდებით, რომ ეს არ მოხდება. მშვენივრად ვიცი, რომ ოდნავ მოდუნებასაც არავინ გაპატიებს და მაშინვე მოგიგებენ. მზად ვარ, უფროსებშიც ჩავერთო კონკურენციაში და ვიბრძოლო ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არც დამრჩენია.

**- ასეთ წარმატებულ ახალგაზრდებზე ნადირობენ უცხოელები. თქვენთვისაც ხომ არ შემოუთავაზებიათ სხვაგან გადასვლა ან ახლა, ან - ადრე?**

- არა, ასეთი არაფერი ყოფილა არც ახლა და არც ადრე.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა



გიორგი გოგშელიძე (მარცხნივ) და ლუკა კურტანიძე

# ლუკა კურტანიძეც ემზადება

თვეზე ცოტა მეტი რჩება თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატებამდე, მოსკოვში რომ გაიმართება. საქართველოს ნაკრებები ასპარეზობისთვის დუშეთის ახალ სპორტულ კომპლექსში ემზადებიან.

ბოლო საწვრთნელი შეკრება საქართველოს თავისუფალი სტილის ახალგაზრდულმა ნაკრებმაც დუშეთში გაიარა და შინ უნგრეთიდან, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა, ორი ოქროს, ორი ბრინჯაოსა და ერთი ვერცხლის მედალით დაბრუნდა.

დუშეთის ოლიმპიურმა ბაზამ ძალიან მალე მოიპოვა აღიარება ჩვენს მოჭიდავეებს შორის. აქ ყველა პირობაა შექმნილი, ეგაა, სასტუმრო რაიონულ ცენტრშია. როგორც გვითხრეს, მალე დაიწყება ახალი სასტუმროს მშენებლობაც კომპლექსთან ახლოს.

დუშეთში შევხვდით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს **ლუკა კურტანიძესაც**, რომელიც „პლაჟის ჭიდაობაში" მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატისთვის ემზადება. ასპარეზობა ჩერნოგორიაში ჩატარდება 26-30 აგვისტოს. გასული წლის ფინალისტი (+84 კგ), 37 წლის ლუკა კურტანიძე ამბობს, რომ ახლა უკეთ არის მომზადებული და ჩემპიონატის ოქროს მედალს უმიზნებს იმავე წონაში, თუ, რა თქმა უნდა, დააფინანსებენ. დავძენთ, რომ ჩემპიონატი მხოლოდ 84 და +84 კგ წონით კატეგორიებში იმართება.

**გაბრიელ ბარჯაძე**
**დუშეთი**
**ავტორის ფოტოები**



სასკოლო სპორტული თამაშები

# როგორც იქნა...

მეტი რომ არ ვთქვათ, ერთმა თაობამ ისე დატოვა სკოლის კედლები, ერთხელაც არ ღირსებიათ კომპლექსურ სასკოლო შეჯიბრებებში მონაწილეობა. ახლა საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარის **ლევან კიკალიშვილის**, სპორტის ექსპერტ-კონსულტანტის **თამაზ თევზაძის**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის **გია გალდავას**, საქართველოს პარლამენტის სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის **ვაჟა შუბლაძის** ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა „საქართველოს I სასკოლო სპორტული თამაშების" პროექტი, რომელიც გუშინ პარლამენტის ხსენებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განიხილეს.



პროექტი, რომელიც მოსწავლეთა ფიზიკური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდება, ლევან კიკალიშვილმა წარმოადგინა. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს კონკრეტული შენიშვნები, მათი წინადადებების გათვალისწინებით დოკუმენტი დაიხვეწება და თამაშებიც მეტ ეფექტურობას შეიძენს.

სასკოლო, სარაიონო-საქალაქო, რეგიონულ და ბოლოს ფინალურ თამაშებში 2011 წლის მარტიდან 100 ათასამდე 13-14-15 წლის მოსწავლე იასპარეზებს სპორტის ათ სახეობაში (მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, რაგბი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი). თამაშების ჩატარებაში აქტიურად ჩაერთვებიან სპორტული ფედერაციები.

სხდომის შედეგები ვაჟა შუბლაძემ შეაჯამა.

**თენგიზ თომაშვილი**

## მილოცვა

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სახელოვან ვეტერან ფალავანს, ყოფილი სსრ კავშირის სამბისტთა და ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის წევრს, საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს **ზურაბ პეტრიაშვილს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

# საქართველო აუტსაიდერია

## ქომაგმა კალათბურთელებს ბიძგი უნდა მისცეს

**საქართველოს ნაკრების ვარჯიშისას გამთამაშებლის ტანის ერთი ახალგაზრდა უმეტესად ფარზეა მიყუდებული და დაკვირვებით ადევნებს თვალს მოედანზე მიმდინარე მოვლენებს. მისი ხმამაღალი სიტყვა არ გაგვიგონია. ეს იმის ნიშანია, რომ იგორ კოკოშკოვმა კალათბურთელთა შორის ნდობაც მოიპოვა, პატივისცემაც და მწვრთნელ-მოთამაშეებს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით.**

**იგი ჟურნალისტებთანაც წყნარად საუბრობდა და ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა.**

**თავდაპირველად 2009 წელს საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად აღიარება მივულოცეთ.**

- ეს ჩემთვის დიდი პატივია. თუმცა, მწვრთნელი ვერას გახდება, თუ მოთამაშეები არ უწყობენ ხელს. ჩემი აღიარება უმთავრესად ქართველი კალათბურთელების დამსახურებაა.

**- გასული სეზონის შემდეგ ვლადიმერ ბოისა გამოგაკლდათ. მის ადგილს წლეულს ვინ შეავსებს?**

- ბოისა დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. იგი ძალიან დაგვაკლდება. ძნელია მისი შემცვლელის მოძებნა, თუმცა მძიმე ფორვარდის პოზიციაზე არაერთი კალათბურთელი მოვსინჯეთ - მეოთხე ნომრად ვათამაშეთ ნიკა მეტრეველი, თორნიკე შენგელია... ნიკა ცქიტიშვილი დიდი გამოცდილების პატრონია. ასე რომ, მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ვლადიმერ ბოისას არყოფნის გამო, პრობლემები ნაკლებად უნდა შეგვექმნას.

**- აგვისტოს მატჩებში ტაირონ ელისიც არ გვეყოლება...**

- ელისიც სასარგებლო კალათბურთელია. იგი დაცვაშიც დამაჯერებელი იყო და შეტევაშიც გამოირჩეოდა. მის ნაცვლად ტორინ გრინი ჩამოვიყვანეთ, რომელსაც შეუძლია როგორც პასების ჩამორიგება, ასევე შორი და ახლო დისტანციებიდან ზუსტად სროლა. ვფიქრობ, გრინი ელისს ღირსეულად შეცვლის.

**- ქუინტონ ჰოსლი, როგორც ჩანს, ჯერ ბოლომდე ვერ გაიხსნა.**

- ვიდრე ამა თუ იმ კალათბურთელს ნაკრებში თამაშზე შევუთანხმდებოდით, მისი მონაცემები ბოლომდე შევისწავლეთ. ჰოსლი ძლიერი, უნივერსალური კალათბურთელია, რომლის გამოყენება შეიძლება როგორც მსუბუქ, ასევე მძიმე ფორვარდად. კარგი იქნებოდა, განაცხადში ორი ნატურალიზებულის შეყვანა რომ შეიძლებოდეს...

**- ნაკრების ყველა კალათბურთელი ჯანმრთელადაა?**

- იყო მცირე ტრავმები, თუმცა საბედნიეროდ ამჟამად ყველა მწყობრშია. აქტიურად ვემზადებით პოლონეთთან მატჩისთვის.

**- თბილისურ ტურნირზე ყველა მატჩი მოიგეთ, თუმცა მეოთხე პერიოდში ყოველთვის პრობლემები შეგექმნათ...**

- მენტალური პრობლემა იყო. მეოთხე პერიოდამდე კალათბურთელები გარკვეულ უპირატესობას აღწევდნენ. სწორედ მაშინ, როცა საქმე მოთავებული ეგონათ, მოწინააღმდეგე თამაშის გამოსწორებას ცდილობდა და სიტუაციაც იძაბებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საკონტროლო მატჩებისას ხდებოდა. დარწმუნებული ვარ, პოლონეთთან და ბულგარეთთან იგივე აღარ განმეორდება, იმ მატჩებს კალათბურთელები მაქსიმალურად მობილიზებულები შეხვდებიან.

**- პოლონეთთან მოახლოებულ მატჩზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- საქმე ძლიერ მეტოქესთან გვაქვს. შესაბამისად, 2 აგვისტოს ურთულესი შეხვედრა გველის. საქართველო - აუტსაიდერია, პოლონეთი - ფავორიტი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ბოლო წლებია ქვედა ლიგაში ვთამაშობთ, A დივიზიონის გუნდებთან მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს თუ ვატარებთ. პოლონელებს კი ელიტარულ გუნდებთან თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე მეორე ეტაპზე გავიდნენ. ასევე საყურადღებოა, რომ პოლონური „პროკომი" ევროლიგაზე რეგულარულად ასპარეზობს და გასულ სეზონში ტოპ-16 გუნდს შორის მოხვდა.

**- მეტოქის მატჩების ვიდეოფირები თუ მოიპოვეთ?**

- რამდენიმე წლევანდელი შეხვედრა ვნახეთ. თუმცა, სლოვაკეთთან ორი მატჩის ჩანაწერის მოპოვება ვერ მოვახერხეთ, არადა სწორედ ამ ორ შეხვედრაში იასპარეზა მარცინ გორტატმა. მანამდე იგი გუნდთან ერთად არ იყო.

**- რა შთაბეჭდილება დატოვა პოლონეთის ნაკრებმა?**

- თანაბრად დაბალანსებული გუნდია. არაერთი კარგი მეფარე ჰყავს, რის გამოც თამაშს წინა ხაზზე აწყობს, თუმცა პოლონელები პერიმეტრიდანაც კარგად ესვრიან. ასე რომ, მათ შესაჩერებლად დიდი შრომა დაგვჭირდება. ვაფასებთ მათ პოტენციალს, მაგრამ მოედანზე საბრძოლველად გავალთ.

**- პროგნოზის გაკეთებასაც გთხოვთ...**

- როგორც ყველა მწვრთნელს, გუნდი მოედანზე მეც მოსაგებად გამყავს. მნიშვნელობა არ აქვს, რა ძალის მეტოქეს ვეთამაშებით. არც 2 აგვისტოს მატჩი იქნება გამონაკლისი.

**- მაინც რა მიგაჩნიათ საქართველოს ნაკრების უპირატესობად?**

- სავსე ტრიბუნები. ასეთ ატმოსფეროში თამაში ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გაუჭირდება. ქომაგმა თავისი მხურვალე მხარდაჭერით კალათბურთელებს ბიძგი უნდა მისცეს.


იგორ კოკოშკოვი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ღია ვარჯიში

## მზად ვართ!

ეროვნული გუნდის მწვრთნელად **იგორ კოკოშკოვის** დანიშვნის შემდეგ ტრადიციად დამკვიდრდა - ყოველი ოფიციალური მატჩის წინ ნაკრები ღია ვარჯიშს მართავს. გუნდის პირველი ოფიციალური შეხვედრა 2 აგვისტოსაა დაგეგმილი. მანამდე, ორი დღით ადრე მწვრთნელმა მედიელები სპორტის სასახლეში დაგვიბარა და პოლონეთთან მატჩისწინა ამბებზე გვესაუბრა. იგორ კოკოშკოვის ინტერვიუს ამავე გვერდზე შემოგთავაზებთ, აქ კი ზოგად შთაბეჭდილებას გაგაცნობთ.

ღია ვარჯიში 18 საათზე დაიწყო და მასში ყველა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ჩვეულად ვარჯიშობდა **გიორგი ცინცაძე**, რომელსაც თბილისური ტურნირის პირველ დღეს ფეხი გადაუბრუნდა, ხოლო უკრაინასთან მატჩში სახეში ხელი მოხვდა და ექიმების დახმარება დასჭირდა...

*- თავს კარგად ვგრძნობ, კოჭი თითქმის აღარ მაწუხებს, უკრაინასთან მიღებული ტრავმაც უკვე წარსულს ჩაბარდა. პოლონეთთან მატჩისთვის მონდომებით ვემზადებით, მეტოქეს ისეთი შემადგენლობა არ ჰყავს, რომლის ძლევა არ შეიძლებოდეს. ამისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო, - აღნიშნა გიორგი ცინცაძემ.*

იგორ კოკოშკოვმა დაგვამშვიდა - ყველა კალათბურთელი ჯანმრთელადაა და პოლონეთთან მატჩისთვის მზად არიანო.

ნაკრების ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** დასძინა, რომ გუნდი დღითი დღე უმატებს და აგვისტოს დასაწყისისთვის ნორმალურ ფორმაში იქნება:

*- ცხადია, რომ ივლისის დასაწყისიდან დღემდე გუნდმა საგრძნობი პროგრესი განიცადა. გარდა იმისა, რომ ფორმაში შევდივართ, შეთამაშების მხრივაც კარგი შედეგები გვაქვს. ამ საქმეში თბილისის ტურნირიც ძალიან დაგვეხმარა. 2 აგვისტოს მაქსიმალურად მობილიზებულები ვხვდებით. პოლონეთთან მნიშვნელოვანი მატჩი გველის.*

ამის შემდეგ იგორ კოკოშკოვს ველაპარაკეთ, ნახევარ საათში კი მედიელთათვის ვარჯიში დაიხურა და კალათბურთელები კომბინაციების დამუშავებას შეუდგნენ...

საქართველოს ნაკრების მეტოქე — ბულგარეთი

# ბარჩოვსკი: ნაგების დრო აღარ არის

პოლონეთისა და პორტუგალიის მსგავსად საკონტროლო მატჩები მოისტუმრა ბულგარეთის ეროვნულმა გუნდმა. ამჟამად ბულგარელები სოფიაში ვარჯიშობენ და პირველი ოფიციალური შეხვედრისთვის ემზადებიან. ისინი სადებიუტო მატჩს (2 აგვისტოს) პორტუგალიაში ითამაშებენ. ამხანაგური შეხვედრების შემდეგ გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მიეცა როგორც ბულგარელთა მთავარ მწვრთნელ **როსენ ბარჩოვსკის**, ასევე - ჩვენ... ჯერ ბატონ როსენს მოვუსმინოთ:

*- ბოლო მატჩი ჩეხეთის ნაკრებთან იმიტომ ჩავატარეთ, რომ ეს გუნდი თამაშის სტილით ჩვენს მომავალ მეტოქე პორტუგალიას ჰგავს. ხისტ კალათბურთს თამაშობენ, კლასითაც თანაბარი კალათბურთელები ჰყავთ, მხოლოდ სიმაღლეშია სხვაობა - ჩეხეთის ნაკრები პორტუგალიაზე ოდნავ მაღალია. ვფიქრობ, კარგი სპარინგ-მატჩი გამოგვივიდა. დავასვენეთ ძმები ივანოვები, რომლებსაც მცირე ტრავმები აქვთ. ექიმები გვაიმედებენ, რომ ისინი 2 აგვისტოსთვის მწყობრში იქნებიან...*

მწვრთნელმა კმაყოფილება გამოთქვა **ერლ კალუეის** დამატებასთან დაკავშირებით - მაღალი დონის კალათბურთელი შევიმატეთო. ბოლოს კი დასძინა:

*- საკონტროლო მატჩების უმეტესობა მოვიგეთ, თუმცა ორი ნაგება გამოვურიეთ. ოფიციალური ტურნირი იწყება და ნაგების დრო აღარ არის. ჩეხეთის ნაკრები ჩვენზე ენერგიულად გამოიყურებოდა. ვეცდებით, 9 ამხანაგური მატჩის შემდეგ კალათბურთელები კარგად დავასვენოთ, რათა აგვისტოს შეხვედრებს ენერგიულად შეხვდნენ.*

9 შეხვედრის მიხედვით რამდენიმე დასკვნის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია. სევილიელი გამთამაშებლის ერლ კალუეის შეჩერება 14 აგვისტოს ქართველთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, რადგან იგი ქულებსაც უხვად აგროვებს და პასებსაც ანაწილებს.

*- მოხარული ვარ, რომ ბულგარეთის ნაკრებში თამაშის შანსი მომეცა. აქ ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი, მწვრთნელიც კარგი გვყავს და ჯგუფიდან გასვლაც რეალურია. გუნდს უკვე შევეჩვიე. ოფიციალურ მატჩებს მოუთმენლად ველი, - განაცხადა კალუეიმ,* რომელიც „კახასოლში" **ტაირონ ელისის** თანაგუნდელია.

წინა ხაზში სამი გამოკვეთილი ლიდერია: ძმები **ივანოვები** და **ფილიპ ვიდენოვი**. მათ ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატებში თამაშის გამოცდილება აქვთ.

ბულგარეთის ნაკრების მინუსი მაღალი დონის ნომინალური ცენტრის არყოფნაა. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ბულგარელებმა საბერძნეთში მოთამაშე ამერიკელი ცენტრი **ჯარედ ჰოუმენი** დაიმატეს, თუმცა კალუეი იმდენად ეფექტურად ასპარეზობს, რომ დღესვე შეგვიძლია ვთქვათ - ოფიციალური მატჩების განაცხადში ჰოუმენს ვერ ვიხილავთ (თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა).

ბოლოს დავძენთ, რომ საქართველოს ნაკრები ბულგარეთთან პირველ შეხვედრას სოფიაში 14 აგვისტოს ჩაატარებს, ხოლო თბილისში 29 აგვისტოს უმასპინძლებს.

### სოფიის ტურნირი (26-27 ივლისი)

**ბულგარეთი-ჩეხეთი 87:91**

21:17, 13:23, 23:16, 19:20, 11:15

ბულგარეთი: მარინოვი (6 წთ, 2 ქ), კოსტოვი (35 წთ, 13 ქ, 2 მ, 3 ჩ), ვიდენოვი (28 წთ, 15 ქ, 8 მ, 2 პ), კალუეი (31 წთ, 25 ქ, 3 მ, 7 პ, 4 ჩ), ს. გეორგიევი (30 წთ, 10 ქ, 7 მ), ველიკოვი (7 წთ, 2 ქ), ზ. გეორგიევი (29 წთ, 4 ქ, 2 პ, 3 ჩ), ლილოვი (9 წთ), ვარბანოვი (23 წთ, 7 ქ, 12 მ), რადევი (15 წთ, 5 ქ), ჰოუმენი (12 წთ, 4 ქ, 2 მ)

**ბულგარეთი-კვიპროსი 96:51**

26:13, 20:16, 23:15, 27:7

ბულგარეთი: კოსტოვი (34 წთ, 18 ქ), ზ. გეორგიევი (28 წთ, 8 ქ, 4 მ, 4 პ), ვიდენოვი (25 წთ, 8 ქ, 6 მ, 9 პ), კ. ივანოვი (20 წთ, 3 ქ, 5 მ, 3 პ), ვრბანოვი (20 წთ, 10 ქ, 2 პ, 2 დ), ველიკოვი (22 წთ, 8 ქ, 2 მ, 4 პ), ს. გეორგიევი (16 წთ, 10 ქ, 6 მ, 4 პ), დ. ივანოვი (14 წთ, 17 ქ, 4 მ), ლილოვი (11 წთ, 7 ქ, 3 მ), ჰოუმენი (10 წთ, 7 ქ, 4 მ, 2 დ)

| | |
|---|---|
| **ფლორენციის ტურნირი (16-18 ივლისი)** | |
| ბულგარეთი-პოლონეთი | 68:62 |
| ბულგარეთი-მაკედონია | 79:74 |
| იტალია-ბულგარეთი | 83:84 |
| **მინსკის ტურნირი (9-11 ივლისი)** | |
| ბულგარეთი-უკრაინა | 65:60 |
| ბულგარეთი-ბელარუსი | 76:64 |
| ბულგარეთი-ისრაელი | 69:72 |
| **სოფია (2-3 ივლისი)** | |
| ბულგარეთი-რუმინეთი | 96:73 |
| ბულგარეთი-რუმინეთი | 89:73 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში

# მსოფლიო თბილისში რჩება

გადაწყდა - ჭაბუკებისა და ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობას თბილისი უმასპინძლებს. ამის შესახებ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **გია გალდავამ** გვაცნობა, ის კი, თავის მხრივ, ეროვნული ნაკრების თავკაც **ოლეგ იაძის** სიტყვებს ეყრდნობა. ეს საკითხი საბოლოოდ გუშინ გაირკვა მოსკოვში, სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც საქართველოდან სწორედ იაძე ესწრებოდა.

ჩემპიონატის თბილისისთვის ჩამორთმევის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა მონაწილეობა არ მიიღო მოსკოვში გუშინ დასრულებულ „პრეზიდენტის თასის" საერთაშორისო ტურნირში. ესაა გუნდური შეჯიბრება, სადაც ევროპის რვა საუკეთესო გუნდია მიწვეული, რუსებმა კი ჩვენი ფედერაციის დასჯა პრესტიჟული ტურნირის ჩამორთმევით გადაწყვიტეს. იქაური სამბოს მესვეურნი არც მალავდნენ, რომ ამის შესახებ პოლიტიკური დაკვეთა მიიღეს მათი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისგან, მაგრამ სამართალმა ამ რუსულ სპორტის სახეობაშიც კი იზეიმა. საბედნიეროდ, პრეზიდიუმზე ნეიტრალური ქვეყნების უმეტესობამ იაძის პოზიცია გაიზიარა და რუსებს უსამართლო სურვილი არ გაატანინეს.

მსოფლიოს პირველობა თბილისის სპორტის სასახლეში კვლავაც ძველ ვადებში - 7-11 ოქტომბერს გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფათავა ფინალშია

21 წლის **სოფიო შაფათავა** (292) ალმათის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) ფინალშია. შაფათავა წლეულს მეორედ გადის ერთეულთა თანრიგის ფინალში, პირველად მან ამ წარმატებას ტაშკენტში მიაღწია. მოკლედ, ორივე შემთხვევაში სოფიომ წარმატებით შუა აზიაში იასპარეზა და ორივეჯერ გზიდან რუსი **დარია კუჩმინა** (405) ჩამოიცილა. ისევე, როგორც ივნისის დასაწყისში, სოფიოს ახლაც გვარიანად გაუჭირდა რუსის დამარცხება, თუმცა ეს სამ სეტში შეძლო - 6:4, 3:6, 7:6 (4). ალმათურ ფინალში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე 18 წლის ჰოლანდიელი **რიჩელ ჰოგენკამპი** (346) იქნება, რომელმაც მოულოდნელად ნახევარფინალში 16 წლის ყაზახ **ზარინა დიასს** (273) მოუგო - 1:6, 6:1, 6:3. შაფათავამ უკვე გაინაღდა 34 სარეიტინგო ქულა, თუკი ფინალში იმარჯვებს, ის 50 ქულით გაიუმჯობესებს რეიტინგს და დაახლოებით 50 ადგილით დაწინაურდება მსოფლიო კლასიფიკაციაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფიო შაფათავა

სპორტული მედიცინა

# სემინარი დუშეთში

ამ დღეებში დუშეთი არა მხოლოდ მოჭიდავეებისა და ტანმოვარჯიშეების შეკრების ადგილია – აქ სპორტული მედიცინის ორდღიანი სემინარიც ჩატარდა. იგი „ოლიმპიური სოლიდარობის" ფარგლებში საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციამ ჩაატარა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით. თემატიკა საკმაოდ ფართო იყო - სწორი და ჯანსაღი კვება, ცხოვრების სწორი წესი, ფარმაკოლოგია, ეკოლოგია, წონის კლება... ერთი სიტყვით, ძალზე ფართო სპექტრი, რაც ასე ახლო კავშირშია სპორტსმენთა ყოველდღიურობასთან. სემინარის მიზანი პრობლემების ათლეტებამდე და მწვრთნელებამდე მიტანა იყო - ამ ყველაფერს ისინი დღენიადაგ ეხებიან და რაც უფრო მეტი ეცოდინებათ, საკუთარი თავის მოვლასაც მით უფრო იოლად შეძლებენ და სხვისი საპატრონო აღარ იქნებიან. მაგალითად, ყველას აწუხებს სწორი კვების პრობლემა, მაგრამ ხშირად ამ რეჟიმს იმ მარტივი მიზეზის გამო არღვევენ, რომ არ იციან, რა სახის საკვებია მავნებელი და რა - სასარგებლო, საჭირო... რატომაა ერთი ტიპის საკვები მისაღები ძალისმიერი სპორტის სახეობების მიმდევართათვის და შეუფერებელი - შედარებით ნაკლები ფიზიკური დატვირთვის სპორტის სახეობებისთვის. ან როგორ უნდა დაიკლონ წონაში თავისით, სხვათა დაუხმარებლად, რათა წონა არა მარტო შეკრებებზე აკონტროლონ, არამედ - მის გარეთაც, თუნდაც საკუთარ დარბაზში, ნაკრების ექიმების გარეშე ვარჯიშისას. ზაფხულია და ყველას იზიდავს აუზი, პლაჟი, მაგრამ როგორ უნდა დაიცვან თავი მზის ჭარბი სხივებისგან ან რა ზიანის მომტანია მზეზე ხანგრძლივად ყოფნა და როგორ უნდა აიცილონ თავიდან მისი უარყოფითი გავლენა, საამისოდ დღის რა მონაკვეთშია მიზანშეწონილი პლაჟზე გასვლა?

ასეთი, ერთი შეხედვით, წვრილმანი საკითხი უამრავია სპორტსმენთა ცხოვრებაში. სპორტსმენის ორგანიზმი რთული მექანიზმია, რადგან შეუდარებლად დიდი დატვირთვა აქვს. პრობლემები კი იქ ბევრად მწვავეა, ვიდრე - რიგით ადამიანებთან. ამიტომ ესწრებოდნენ სემინარს სპორტსმენებიც, მწვრთნელებიც და იმ სასტუმროს მზარეულებიც კი. არადა, მათ თუ ზუსტად ეცოდინებათ, რომელი უფრო კალორიულია - ზეთი, კარაქი თუ ერბო, ბევრად გაუადვილდებათ მუშაობა და არც სპორტსმენებს გაუჩნდებათ პრეტენზიები.

ცალკე საკითხია და, ტრადიციულად, მტკივნეულიც, ფარმაკოლოგია და მედიკამენტები - ათლეტმა ძალაუნებურად შეიძლება მიიღოს დოპინგის სიაში შემავალი პრეპარატი, რადგან ის ფართო მოხმარებისაა, ყველასათვის ხელმისაწვდომია და სულაც არაა დამალულ-აკრძალული, ვინაიდან სავსებით დასაშვებია რიგითი ადამიანებისთვის... საჭიროა, სპორტსმენმა თავად იცოდეს ასეთი წამლები. ამასთან, არსებობს საშიშროება, ბუნებრივი სტიმულატორი შემთხვევით მიიღოს რაიმე სახის საკვების ან სულაც - ხილისგან. ასევე საჭიროა იცოდეს, სად ემალება ასეთი საფრთხე. სემინარზე იყო ლაპარაკი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზეც - სად შეიძლება მათი შეძენა, თუმცა ეს იმდენად გლობალური და გადაუჭრელი პრობლემაა, ვეჭვობთ, მსმენელებს ამ მხრივ რამე დადებითი ინფორმაცია მიელოთ. ერთი სიტყვით, პრობლემათა სპექტრი ფართოა და ძალზე მტკივნეულიც. ამიტომ სემინარმა მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და არც სპორტსმენები შემოფარგლულან პასიური დამსწრეების როლით - საკმაოდ ბევრი კითხვაც დასვეს. სემინარში თბილისიდან საგანგებოდ ჩასული ექიმებიც მონაწილეობდნენ და დიეტოლოგიასაც დიდი ადგილი დაეთმო. ჯერჯერობით ეს ადგილობრივი მნიშვნელობის სემინარი იყო, გაისად კი საერთაშორისო მასშტაბისას უმიზნებენ ისევ „ოლიმპიური სოლიდარობის" ფარგლებში.

**ირაკლი თავაძე**



შაბათის სტუმარი

ვლადიმერ გოიაშვილი

# ნაჩუქარ მეორე სიცოცხლეს სდარაჯობს

საქართველოში თითო-ოროლა ადამიანი თუ შემოგვრჩა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საყვარელ საქმეს ემსახურებოდეს. ერთ-ერთი გახლავთ საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს" დირექტორი **ვლადიმერ გოიაშვილი,** წყალბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო ჩემპიონატების მესამე და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი...

ოთახში სამნი დამხვდნენ: ვლადიმერ გოიაშვილი, **ბორის მეგედი და გივი ცქიტიშვილი.** რომ შეიტყვეს, ბატონი ვლადიმერისგან ინტერვიუს აღებას ვაპირებდი, სიტყვას მეც შემოგაწევთო, მითხრა მეგედმა.

— მე და ვოვა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიცნობთ ერთმანეთს. მაშინ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის უკან, ფიზკულტურელთა პარკი იყო სასპორტო დარბაზებითა და სამი საცურაო აუზით დამშვენებული. შემდეგ ისინი გზის მშენებლობამ შეიწირა. მთელი თბილისი იქ იყრიდა თავს. ჩვენც „ლიაგუშატნიკსა" და „ბეგემოტნიკს" (ასე ერქვა აუზებს) მივაშურეთ ცურვის შესასწავლად. ჯერ **ვალენტინ ნოსკოვი** გვავარჯიშებდა, შემდეგ — **გიორგი დათაძე.** ვოვა მალე გაიწაფა ცურვაში და **ლუკა იოაკიმიდიმ** იგი წყალბურთელთა სექციაში გადაიყვანა. იქიდან თბილისის „დინამოში" მოხვდა, რომელიც მაშინ საკავშირო ჩემპიონატის ბ კლასში გამოდიოდა. სამმა ადამიანმა — ვლადიმერ გოიაშვილმა, **კოკა დარახველიძემ** და **კონსტანტინე ჭიჭინაძემ** — ყველაფერი გააკეთა მობილური გუნდის ჩამოსაყალიბებლად. 1954 წელს თბილისში გაიმართა ა კლასში გადასასვლელი თამაშები. მხოლოდ მოსკოვის „ტორპედოსთან" დავამთავრეთ მატჩი ფრედ, დანარჩენი შეხვედრები მოვიგეთ და ავტოქარხნელებთან ერთად უმაღლეს ეშელონში გადავედით. მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ, 1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე კი მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დავთმეთ მოსკოვის გუნდთან. ამ წარმატებებში ვოვას ლომის წილი უდევს, რადგან ჩვენი კარის დარაჯი იყო...

— ორმოცდაათიანი წლების მიწურულს „დინამოში" ახალგაზრდა მეკარე **ლერი გოგოლაძე** დაწინაურდა, რომელსაც მთელ საბჭოეთში ტოლი არ ჰყავდა, — საუბარში ვლადიმერ გოიაშვილი ჩაგვერთო. — იგი საკავშირო ნაკრებშიც მიიწვიეს და 1960 წელს რომის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავა. აბა, გოგოლაძისთვის კონკურენციის გაწევა სად შემეძლო, ამიტომ „დინამოში" უქმად ჯდომას „ქარიშხალაში" გადასვლა ვამჯობინე. მე და **გიორგი დარახველიძემ** ყველაფერი გავაკეთეთ სტუდენტთა გუნდის უმაღლეს ლიგაში გადმოსაყვანად...

სამოციანი წლების დასაწყისში ვლადიმერ გოიაშვილმა აქტიურ სპორტს თავი დაანება და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავა: იყო თბილისის „დინამოს" მწვრთნელი, ვაკის საცურაო აუზის სასწავლო ნაწილის გამგე, სახელმწიფო მწვრთნელიც, მერე რესპუბლიკის სპორტკომიტეტში განყოფილების ხელმძღვანელად დააწინაურეს და საწყლოსნო სახეობების კურირება დაავალეს. ამ პერიოდს დაემთხვა მტკვრის სანაპიროზე დაკონსერვებული საცურაო კომპლექსის მშენებლობის განახლება. ზედამხედველად ბატონი ვლადიმერი დანიშნეს. მუხლჩაუხრელ შრომასა და უძილო ღამეებში გაირბინა ორმა წელიწადმა. 1978 წლის 13 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა ვერე", რომლის დირექტორადაც ვლადიმერ გოიაშვილი დანიშნეს. აუზის ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით მასპინძელმა ერთი კურიოზიც გაიხსენა: „გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო ირანმა საბჭოთა კავშირს გაზის მიწოდება შეუწყვიტა. წყალს ვერ ვათბობდით და ახალგახსნილი აუზი უმოქმედოდ რჩებოდა. სხვა გამოსავალი არ იყო — ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ანსამბლ „ივერიის" კონცერტები გავმართეთ. მორებისგან შეკრულ ტივზე ჩვენს მომღერლებს ეგზოტიკური სალამოები გამოუვიდათ, მაყურებლებიც არ მოჰკლებიათ. მერე პოლიტიკური ვნებათაღელვა ჩაცხრა, გაზის მოწოდება აღიგვიდგინეს და აუზიც ამუშავდა"...

ოცდათორმეტი წელიწადია, „ლაგუნა ვერე" გულღიად ხვდება მომხმარებელს. ამ ხნის განმავლობაში კომპლექსი 10 მილიონზე მეტ ადამიანს მოემსახურა. მილიონზე მეტმა მოზარდმა აქ ისწავლა ცურვა, სახელმწიფო ბიუჯეტში 10 მილიონ ლარზე მეტი შეიტანა.

— წლების განმავლობაში უანგაროდ ვემსახურებით ხელმოკლე ოჯახების წევრებს; აფხაზეთის ომის შემდეგ 300-მდე დევნილ ყმაწვილს აუზში უფასოდ ვუშვებდით საცურაოდ, რაც მათთვის ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოსვლის კარგი შემწე გამოდგა, — დასძინა დირექტორმა.

**— თქვენ თბილისში დარჩენილი გოგო-ბიჭებისთვის წინა წლებში შეღავათები გქონდათ დაწესებული. ამჯერად რას სთავაზობთ მოზარდებს?**

— ტრადიციას არც წლეულს დავარღვევთ: საწყლოსნო კომპლექსის ხელმძღვანელობის კეთილი ნებითა და აღმასრულებელი დირექტორის ვეფხვია ხუნძაგიშვილის მხარდაჭერით 2 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე მოზარდებისთვის 50-პროცენტიანი ფასდაკლება გვექნება, რითაც ბავშვებს აქტიურად დასვენებისა და ცურვის უკეთ შესწავლის სტიმულს მივცემთ.

**— მთელ მსოფლიოში საცურაო აუზების შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ამოვიკითხეთ, რომ აუზები „თითქმის არსად არის მომგებიანი". ალბათ, არც თქვენ გილხინთ...**

— ზემოთაც აღვნიშნე, რომ აუზი ხშირად აწყობს საქველმოქმედო აქციებს, მეომრებსაც კი ვასწავლეთ ცურვა უანგაროდ. სხვადასხვა სახეობის ნაკრები გუნდებისგან შემოსავალი მეტად მწირია. გაზის, წყლის და ელექტროენერგიის გადასახადების ოდენობა თავადაც მოგეხსენებათ. ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობ, მოსალხენად არ უნდა გვქონდეს საქმე.

**— ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა უბედური შემთხვევები წყალზე. ძირითადი მიზეზი, ცხადია, ცურვის უცოდინარობაა. ამ პრობლემას თუ მოევლება ოდესმე?**

— უწინ საქართველოში სეზონურად 147 საცურაო აუზი მუშაობდა. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ან გაუქმებული, ან გაპარტახებულია. ორგანიზებულად არ ვიყენებთ ბუნებრივ შესაძლებლობებს — მდინარეებს, ტბებს, წყალსაცავებსა და ზღვას. არადა, ბავშვებს ბანაობას ვერ აუკრძალავ. მეტი კონტროლია საჭირო. მშობლებმაც მეტი უნდა იზრუნონ შვილებისთვის ცურვის შესასწავლად. სახელმწიფომაც უნდა იფიქროს ამ პრობლემის მოგვარებაზე. ევროპის უმრავლესი ქვეყნის დაწყებით სკოლებში ფიზიკური განათლების პროგრამის ნაწილში ცურვის უფასო გაკვეთილები შეიტანეს. საფრანგეთის მთავრობაც მხარს უჭერს 16 წლამდე ყველა მოზარდისთვის ცურვის აუცილებელ შესწავლას. საქართველოშიც ასე მკაცრად უნდა დადგეს ცურვის სწავლების საკითხი. თბილისში 19 კერძო კოლეჯის ხელმძღვანელებმა გაკვეთილების ცხრილში ცურვის გაკვეთილები ჩასვეს. ამ წამოწყებას სხვებიც უნდა გამოეხმაურონ. ძველი ბერძნები ამბობდნენ, საცოდავია ის ადამიანი, ვინც ცურვა და წერა-კითხვა არ იცის. ცურვა ადამიანისთვის ნაჩუქარი მეორე სიცოცხლეა. ვინც ცურვა იცის, არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვასაც იხსნის დაღუპვისაგანო.

**— ბატონო ვლადიმერ, პროფესიონალი წყალბურთელი იყავით, წვრთნიდით თბილისის „დინამოს". თქვენი ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით შეიქმნა თბილისის წყალბურთელი ქალთა გუნდი „ივერია", რომელიც 1991 წელს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი გახდა. დიდი ხანია, ამ სფეროში ტრიალებთ. როგორ ფიქრობთ, ცურვის გვერდის ავლით თუ შეიძლება გახდე კარგი წყალბურთელი?**

— მეც მსმენია, კარგი წყალბურთელობისთვის ცურვა რა აუცილებელიაო. რამდენიმე ფაქტს დაგისახელებთ. კაკო მშვენიერაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი იყო ცურვაში, ნოდარ გვახარიამ რამდენჯერმე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და ქვეყნის რეკორდებიც დაამყარა გულაღმა ცურვაში, პეტრე ბრეუსი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონ და რეკორდსმენიც, ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონები და ნაკრების წევრები იყვნენ რევაზ ჩომახიძე, ვლადიმერ ისელიძე, ალექსანდრე ბითაძე. მე ქართული წყალბურთის ვარსკვლავები ჩამოგითვალეთ, რომლებიც ცურვიდან მოვიდნენ წყალბურთში. დანარჩენი თავად მკითხველმა განსაჯოს.

**— თქვენი თაობის ათლეტები დღესაც თუ არიან სპორტში აქტიურად შემორჩენილი?**

— რამდენიც გნებავთ: ბორის მეგედი წყალბურთელთა კლუბ „ივერიის" მთავარი მწვრთნელია, გივი ცქიტიშვილი საწყლოსნო კომპლექს „ტონუსის" დირექტორის მოადგილეა, 82 წლის ზურაბ ჩაჩავა — მინიწყალბურთის ფუძემდებელი — ახლა ქართული წყალბურთის ისტორიას წერს და აუზის ხშირი სტუმარია, კოტე ჭიჭინაძე, რომელიც თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა წლების განმავლობაში, ამჟამად მოსკოვში ბავშვთა და ჭაბუკ წყალბურთელთა წამყვანი მწვრთნელია. სხვებიც არიან. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩვენ სპორტი და სპორტის სიყვარული გვასულდგმულებს.

**ვაჟა დანელია**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# საქა-რთველო მეშვიდეა

ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა შეჯიბრებაში, ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** მეშვიდე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ საქა-რთველო ასე შორს არასდროს წასულა. ჩვენი ფრენბურთელები მერვედფინალში რუსულ წყვილ **ბრატკოვა-უკოლოვას** ნახევარ საათში გაუსწორდნენ - 2:0 (21:14, 21:12), მეოთხედფინალში კი თითქმის ერთსაათიან ბრძოლაში წააგეს **ვივიან-ლიმას** ბრაზილიურ დუეტთან - 1:2 (21:14, 18:21, 7:15)

საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, საქა-რთველომ კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა და რეიტინგში 480 ქულა მიითვალა.

მსოფლიო ტურის მომდევნო ეტაპი 2-8 აგვისტოს პოლონეთის ქალაქ სტარე იაბლონკიში გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი

# ბრძოლაში მიდის ყველა: მწვრთნელები, მოთამაშეები და... ფოტოგრაფები



როკი ელსომო და რიჩი მაქქოუ ბლედისლოუს თასით

დღეს მელბურნში, სამი ერის მორიგ მატჩში ავსტრალიის ნაკრები ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. შარშანდლისგან განსხვავებით, „ოლ ბლექსმა" წლევანდელი შეჯიბრება წარმატებით დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკის ნაკრების ზედიზედ ორჯერ ძლევა ხუმრობა საქმე როდია. „ბოკეს" გასულ უქმეებზე ავსტრალიამაც მოუგო და, შესაბამისად, მელბურნული დაპირისპირება გაარკვევს, ვინ არის სამი ერის წლევანდელი გათამაშების ნაღდი ფავორიტი.

რა სწრაფად იცვლება ვითარება... იმ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა სამხრეთ აფრიკის ნაკრებია, შარშან ახალი ზელანდიის გუნდი იყო. თუმცა, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც სექტემბერში ველინგტონში „ბოკესთან" წააგეს, ახალზელანდიელებმა ზედიზედ თერთმეტი შეხვედრა მოიგეს.

თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ავსტრალიელთათვის გასახარს ვერაფერს ვნახავთ. „ვოლაბებმა" ახალ ზელანდიასთან ბოლო თხუთმეტ მატჩში მხლოდ ორჯერ გაიმარჯვეს და მათთან ზედიზედ შვიდი თამაშია, არ მოუგიათ.

ავსტრალიელთა თავკაც **რობი დინსს** მიაჩნია, რომ ახალზელანდიელებთან მატჩის პირველ ნახევარში და განსაკუთრებით ბოლო ოც წუთში დიდი ყურადღებით უნდა იმოქმედონ. საქმე ისაა, რომ ბოლო შვიდი წაგებული შეხვედრიდან ავსტრალიელებმა ხუთში პირველი ტაიმი მოიგეს და საბოლოოდ მარცხი დასკვნით ოც წუთში მეტოქის მნიშვნელოვნად გააქტიურების შემდეგ წააგეს.

**ვილია გენიამ** სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში ლელო თამაშის ბოლო წუთებზე გაიტანა, რაც ავსტრალიელებს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. მით უფრო, რომ პირველ ხაზში **ბენ რობინსონისა** და **სტივენ მურის** დაბრუნების შემდეგ, ამ სათამაშო რგოლში არსებული პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა.

„ვოლაბების" რიგებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ის არის, რომ დისკვალიფიცირებული **ქუადე კუპერის** ადგილს მგეზავის პოზიციაზე ისევ **მეთ გიტო** დაიკავებს. შუამარბი კი **ბერიკ ბარნსი** იქნება. ამ დუეტს ერთად თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და დინსს მათი ძალიან ეიმედება.

გიტოს შანსი ეძლევა, დაამტკიცოს, რომ კუპერზე უკეთესი მგეზავია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალზელანდიელებთან ჩვიდმეტ მატჩში მას ერთი ლელოც არ გაუტანია. „ოლ ბლექსთან" დღევანდელი მატჩი შანსია ბარნსისთვისაც. ის შეეცდება, ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი.

მთელი კვირის განმავლობაში საინფორმაციო საშუალებები ფოტოგრაფ **სკოტ ბარბიერის** საქციელზე ბჭობდნენ. მან ახალი ზელანდიის ნაკრების დაცვაში თამაშის სქემების გადაღება და გამოქვეყნება შეძლო. ამ ფაქტს დიდი აურზაური მოჰყვა, თუმცა „ვოლაბების" თავკაცი ყოველივე ამას სკეპტიკურად უყურებს.

„ჩვენ არ ვაპირებთ, ეს სქემები გავარჩიოთ. მართალი გითხრათ, არ მჯერა მათი. ბარბიერი ახალზელანდიელია და აქ რაიმე მაქინაცია რომ არ იყოს, არ მგონია, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდი გეგმის მიხედვით განაგრძობს მზადებას და მსგავსი პროვოკაციებისთვის დროის დათმობას არ ვაპირებთ," - თქვა რობი დინსმა.

რადიკალურად განსხვავებული განწყობაა ამ ფაქტთან დაკავშირებით ახალზელანდიელთა ბანაკში. რადგან ინფორმაციამ გაჟონა, იძულებულნი ვართ, სათამაში სქემები შევცვალოთო, - წუწუნებენ „კივები".

არადა საწუწუნო რა აქვთ? ტრავმა მოიშუშა და უკვე მწყობრშია „ოლ ბლექსის" გარემარბი **ჯო როკოთოკო**, რომლისთვისაც ეს მატჩი 64-ე ტესტი იქნება. ამ მაჩვენებლით ის გაუსწრებს ლეგენდარულ ახალზელანდიელ გარემარბებს **ჯონ ქირვანსა** და **ჯონა ლომუს.**

კიდევ ერთი რეკორდსმენი ახალზელანდიელთა რიგებში შერკინების ბურჯი **ტონი ვუდკოქი** იქნება, რომელიც 66-ე კეპს მოიხვეჭს. აქამდე ახალზელანდიელ ბურჯთა შორის ყველზე მეტი მატჩი **გრეგ სომერვილს** უთამაშია.

„ოლ ბლექსში" ყველაზე გამოცდილები მესამეხაზელი **რიჩი მაკქოუ** და ფულბეკი **მალილი მულიაინა** არიან. თითოეულს 86 კეპი აქვს მოხვეჭილი. ამასთან, მულიაინა დღეს იუბილარია , მას 30 წელი შეუსრულდა. აბსოლუტური რეკორდი კი, 92 კეპი, ლეგენდარულ **შონ ფიცპატრიკს** ეკუთვნის.

ერთი სიტყვით, გამოცდილება ერთ-ერთი ყველაზე ბასრი იარაღია ახალზელანდიელთა ხელში ახალგაზრდა „ვოლაბების" წინააღმდეგ მატჩში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუნდები, ტრადიციულად, „ბლედისლოუს თასსაც" გაითამაშებენ.

Planetrugby-ს პროგნოზით, მინიმუმ ხუთი ქულით ახალი ზელანდიის ნაკრები მოიგებს.

### ავსტრალია-ახალი ზელანდია

ავსტრალია: **15. ადამ ეშლი-კუპერი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. რობ ჰორნი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დრიუ მიტჩელი, 10. მეთ გიტო, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. სტივენ მური, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარპი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი.**

*16. საია ფაინგაა, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. რობ საიმონსი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ენტონი ფაინგაა, 22. ქართლი ბეილი.*

ახალი ზალენდია: **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯო როკოთოკო, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრანქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

*16. კორი ფლინი, 17. ბენ ფრანქსი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. იზრაელ დაგი.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახ.ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +34 | 10 |
| 2. ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | +17 | 4 |
| 3. ს.აფრიკა | 3 | 0 | 0 | 3 | -51 | 0 |

**7 აგვისტო**
ახალი ზელანდია-ავსტრალია

**21 აგვისტო**
სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია

**28 აგვისტო**
სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

**4 სექტემბერი**
სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

**11 სექტემბერი**
ავსტრალია-ახალი ზელანდია



რობი დინსის იმედი მეთ გიტო (ბურთით) ვარჯიშისას

ქარის თასი



# ბლუ ბულზი შელახული რეპუტაციის აღდგენას ეცდება

„ქარის თასის" გათამაშება ნელ-ნელა ძალას იკრებს. სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ერთადერთი გუნდი, „ვესტერნ პროვანსი" ასპარეზობს. საინტერესოა, რომ შარშანდელმა გამარჯვებულმა „ბლუ ბულზმა" მესამე ტურში შინ წააგო ფინალისტ „ჩიტაზთან", რაც მიმდინარე გათამაშებაში მისი ზედიზედ მეორე მარცხი იყო.

მეოთხე ტურის წინ, როგორც უკვე ვთქვით, დაუმარცხებლად ლიდერობს „ვესტერნ პროვანსი", რომელიც შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „პუმასს" დაუპირისპირდება. ცხადია, დასავლელები ოთხი და მეტი ლელოს გატანას შეეცდებიან, რათა აქტივს კიდევ ერთი, პრემიალური ქულა შემატონ.

საგულისხმოა, რომ „ვესტერნ პროვანსს" სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრები **ხიო ეპლონი, იუან დე იონგი** და **ფრანსუა ლავი** დაუბრუნდნენ. ერთადერთი, რითაც „პუმასს" მეტოქესთან ტოლსწორად დაპირისპირება შეუძლია, პირველი ხაზია. თუმცა ეს სულაც არ არის იმის გარანტია, რომ „დასავლელები" დიდი ანგარიშით გამარჯვებას ვერ შეძლებენ

„ვესტერნ პროვანსს" კვალში უდგანან „ნატალ შარქსი" და „ჩიტაზი", რომლებიც დღეს ერთმანეთს ბლუმფონტეინში ეთამაშებიან. ჩიტაზელებმა, როგორც უკვე ვთქვით, ერთი გმირობა უკვე ჩაიდინეს, სტუმრად მძლეთამძლე „ბლუ ბულზს" მოუგეს. ამჯერადაც, მართალია, შინ, მაგრამ არანაკლებ მრისხანე მეტოქესთან მოუწევთ პაექრობა. მით უფრო, რომ დურბანელები საგრძნობლად გაძლიერებული შემადგენლობით ეწვევიან ბლუმფონტეინს.

„ნატალ შარქსს" დაემატნენ „ბოკეს" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები **რაიან კანკოვსკი, რუან პინარი** და **ტენდაი მთავარირა**, რომლებსაც მეტოქის მართლაც რომ ბრწყინვალედ მოთამაშე დაცვის ხაზის გასარღვევად დიდი ჯაფა დაადგებათ.

არანაკლებ საინტერესო დაპირისპირება ელით რაგბის ქომაგებს „ლაიონზსა" და „ბლუ ბულზს" შორის მატჩში. პრეტორიელებმა „ქარის თასზე" უკვე ორი მარცხი იგემეს და ყველაფერს ილონებენ შელახული ავტორიტეტის აღსადგენად. ეროვნული ნაკრებიდან „ლურჯმა ხარებმა" მხოლოდ **ჩილიბოი რელეპელე** და **დიუვალ პოთხიტერი** დაიმატეს.

„ლაიონზს" კი, რომელიც მეტოქეს სატურნირო ცხრილში მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება, დასაკარგი არაფერი აქვს და თავისი ძლიერი მხარის, ბრწყინვალე უკანა ხაზის მაქსიმალურად გამოყენებას შეეცდება. ცხადია, გასათვალისწინებელია საკუთარი მოედნის ფაქტორიც.

სავარაუდოდ, სტუმრად აუტსაიდერ „ლეოპარდსთან" მორიგ გამარჯვებას მოიპოვებს „გრიკასი", რომელმაც სამი თამაშიდან ორი მოიგო და 10 ქულით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა.

სატურნირო მდგომარეობა: **1. ვესტერნ პროვანსი -13 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 11, 3. გრიკასი -10, 4. ჩიტაზი - 9, 5. ბლუ ბულზი - 7, 6. ლაიონზი - 6, 7. პუმასი - 5, 8. ლეოპარდსი - 2**

**IV ტური**

30 ივლისი: **ლეოპარდსი-გრიკასი, ვესტერნ პროვანსი-პუმასი**

31 ივლისი: **ჩიტაზი-ნატალ შარქსი, ლაიონზი-ბლუ ბულზი.**

# პიტერ დე ფილიერსს სასჯელი ემუქრება

სამი ერის გათამაშების ორგანიზატორი SANZAR-ი აპირებს განაგრძოს გამოძიება სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **პიტერ დე ფილიერსის** მიერ გახმოვანებული შეთქმულების ვერსიასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ 21 ივლისს დე ფილიერსმა ერთ-ერთ ავსტრალიურ ტელეარხზე კომენტარის გაკეთებისას ახლი ზელანდიის ნაკრებთან ზედიზედ ორჯერ წაგებაში მსაჯები დაადანაშაულა. მისი თქმით, არბიტრები მიკერძოებულად ირჯებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა „ოლ ბლექსს" მოეგო. მათი მიზანი იყო საგაისო მსოფლიო თასზე (რომელიც ახალ ზელანდიაში გაიმართება) აჟიოტაჟის ხელოვნურად შექმნა.

SANZAR-ის ხელმძღვანელები ყურადღებით გაეცნენ დე ფილიერსის განცხადებებს და დაადგინეს, რომ მან SANZAR-ის ქცევის კოდექსი დაარღვია, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მის წინააღმდეგ საქმე აღიძრას.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირი კი დე ფილიერსს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

„მას ჩვენი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს. დე ფილიერსს ახლახან შევხდით, საკმაოდ ნაყოფიერი, საინტერესო საუბარი შედგა. მან ნაკრების შემდგომი განვითარების მისეული ხედვა წარმოგვიდგინა, რასაც სრულად ვეთანხმებით და მზად ვართ, მის განხორციელებაში დავეხმაროთ", - თქვა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ტექნიკური კომიტეტის ხელმძღვანელმა **ჯეიმზ შტოფბერხმა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა



# ანა ისევ კრიზისშია

გუშინ ამერიკის ქალაქ სტენფორდში სრულად დაკომპლექტდა მეოთხედფინალური წყვილები. დარჩენილი მერვედფინალებიდან ორში მონაწილეობას მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი იღებდა.

სერბი **ანა ივანოვიჩი**, რომელმაც წარმატებული სტარტი აიღო სტენფორდში (ორ სეტში გაანადგურა რუსი **ალისა კლეიბანოვა**), მოქმედ ჩემპიონს, ფრანგ **მარიონ ბარტოლის** ხვდებოდა. ამჯერად ანას არანაირი შანსი არ ჰქონია უიმბლდონის ყოფილი ფინალისტის წინააღმდეგ - ბარტოლი პირველ სეტში ორი ბრეიკით დაწინაურდა - 4:1. ივანოვიჩმა გაიბრძოლა და ერთი ბრეიკი დაიბრუნა, შემდეგ ბრეიკ-პოინტიც მიიღო და ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა, მაგრამ არ გაუმართლა და ბოლოს საკუთარი გეიმის წაგებით სეტიც დათმო - 3:6. მეორე პარტიის სტარტზე მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც საბოლოოდ უპირატესობა ფრანგის მხარეს გადავიდა. ივანოვიჩი ასე თუ ისე ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, ბრეიკ-პოინტებს იგერიებდა, მაგრამ მეათე გეიმში მატჩბოლს ვერაფერი მოუხერხა და მორიგი ტურნირი ადრეულ ეტაპზე დაასრულა.

რთული სათქმელია, კიდევ რამდენი ხანი დასჭირდება სერბს ძველი დონის დასაბრუნებლად. ისე ჩანს, რომ რომში წარმატებული გამოსვლა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. თუმცა ივანოვიჩს თავის განცხადებებში მეტად ოპტიმისტური განწყობა აქვს და ჯერ დანებებას არ აპირებს.

ივანოვიჩისგან განსხვავებით, **მარია შარაპოვა** თანდათან აგვარებს ხანგრძლივი უთამაშებლობით გამოწვეულ პრობლემებს. მან დაალაგა თამაში და კვლავ შემოიკრიბა გარშემო უამრავი გულშემატკივარი. რუსს პროგრესი ჯერ კიდევ უიმბლდონზე ეტყობოდა და იქ ადრეულ ეტაპზე ამერიკელ **სერენა უილიამსს** რომ არ შეხვედროდა, სატურნირო ბადეში აუცილებლად უფრო შორს წავიდოდა. სტენფორდში მარიას მორიგი მეტოქე ბელარუსი **ოლგა გოვორცოვა** იყო, რომელიც WTA-ის ტურის საშუალო დონეს განეკუთვნება.

ბელარუსმა წარმატებით დაიწყო შეხვედრა - სტარტზე ბრეიკი აიღო, თუმცა შარაპოვამ იქვე დაიბრუნა დაკარგული და ამის შემდეგ საკუთარი გეიმი აღარ დაუთმია, თუმცა პირველი მოწოდების სიზუსტის პროცენტული მაჩვენებელი (55) უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. გოვორცოვას კი საკუთარ მოწოდებაზე თამაში არ წაუვიდა. მან ორჯერ დათმო ბრეიკი, რაც პირველ სეტში ასეთ ანგარიშში გამოიხატა - 6:3 შარაპოვას სასარგებლოდ.

მეორე სეტი მარიამ კიდევ უფრო იოლად წარმართა. მის მოწოდებაზე ბრძოლა თითქმის არ ყოფილა - მთელი პარტიის განმავლობაში გოვორცოვამ მიღებაზე მხოლოდ ორი (!) ქულა აიღო. შარაპოვამ კი სტარტზევე ბრეიკი გაიფორმა, ბოლოს კი უფრო მოუმატა თამაშს და მეორედ იხეირა მეტოქის მოწოდებაზე - 6:3. მეოთხედფინალში შარაპოვას თანამემამულე **ელენა დემენტიევასთან** მოუწევს შეხვედრა, ამ მატჩის გამარჯვებული კი რუს **მარია კირილენკოსა** და პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** შორის მოგებულს შეხვდება.

არ გაუმართლა ადგილობრივი პუბლიკის მთავარ იმედს - **მელანი ოუდინს**. ამ ჩოგბურთელმა შარშან ჯერ უიმბლდონზე აჩვენა კარგი თამაში, შემდეგ კი ნამდვილი სენსაცია მოახდინა ამერიკის ღია პირველობაზე, როცა ზედიზედ ოთხი რუსი (**ანასტასია პავლიუჩენკოვა**, დემენტიევა, შარაპოვა და **ნადეჟდა პეტროვა**) დაამარცხა და მეოთხედფინალში გააღწია. მაგრამ იქედან მოყოლებული, თითქმის მთელი წელი ახალგაზრდა ჩოგბურთელს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია, მხოლოდ ფედერაციის თასზე გამოიჩინა თავი, რისი წყალობითაც ამერიკა ჯერაც შემორჩა მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატს. ოუდინი გუშინ ბელარუს **ვიქტორია აზარენკას** ხვდებოდა, რომელიც რეიტინგის საუკეთესო ათეულში დაბრუნებას ლამობს და როგორც ჩანს, კარგად არის მზად ამერიკული ტურნირებისთვის. ყოველ შემთხვევაში, იუდინთან მატჩში აზარენკამ მხოლოდ ოთხი გეიმი დათმო და დამაჯერებლად გაიმარჯვა - 6:3, 6:1.

*„დღეს ძალიან კარგად ვითამაშე. მატჩის დასაწყისი საკმაოდ რთული გამოვიდა, მაგრამ პრობლემა მალე მოვგვარდა და მოულოდნელად იოლად მოვიგე შეხვედრა. ყველა ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოდი, მიუხედავად იმისა, რა ანგარიში იყო გეიმში და სეტში. სწორედ ამის წყალობით შევძელი მოკლე დროში გამარჯვება“*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა შეხვედრას აზარენკამ.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 700 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 4)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 6:3, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:3, 6:1; **მარია კირილენკო (რუს)**-შაარ პეერი (ისრ, 6) 6:4, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:3, 6:3.

**1/4 ფინალი**

სამანტა სტოსური (1)-იანინა ვიკმაიერი (7); ელენა დემენტიევა (2)-მარია შარაპოვა (5); აგნიეშკა რადვანსკა (3)-მარია კირილენკო; მარიონ ბარტოლი (4)-ვიქტორია აზარენკა (8).

**II წრე**

**სამანტა სტოსური (ავსტრა, 1)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:1, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 2)**-კიმიკო დატე (იაპ) 3:6, 6:3, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 7:6(4), 6:2; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 7)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:4.

ველოსპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად წავა ალბერტო კონტადორი?

სეზონის მთავარი ველორბოლის დასრულებიდან სულ რაღაც სამი დღის შემდეგ, ტურ დე ფრანსის სამგზის ტრიუმფატორმა **ალბერტო კონტადორმა** ოფიციალურად გამოაცხადა გუნდის შეცვლის გადაწყვეტილება. სახელგანთქმულმა ესპანელმა ველომრბოლმა არ მოისურვა ყაზახურ „ასტანასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება და მომავალ სეზონში, სავარაუდოდ, დანიური Team Saxo Bank-ის შემადგენლობას გააძლიერებს. ბოლო ორი სეზონია სწორედ ეს გუნდია ასტანელთა მთავარი კონკურენტი. ახალ სამუშაო ადგილზე თანამედროვეობის საუკეთესო მრბოლელი დაიკმაყოფილებს ფინანსურ მოთხოვნილებებს და თან თავიდან მოიშორებს საორგანიზაციო პრობლემებს, რომელიც თან სდევდა ყაზახური დროშის ქვეშ გამოსვლას.

■ ■ ■

კონტადორის კონტრაქტს „ასტანასთან“ ამ წლის ბოლოს გასდის ვადა, მაგრამ ყაზახური გუნდი თავის ლიდერს მომავალი სეზონისთვის გადაწყვეტილების მიღებას აჩქარებდა. გასული წლის შემოდგომიდან აგორდა ჭორები იმის შესახებ, რომ ესპანელი სხვა გუნდებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ამიტომაც „ასტანა“ რაც შეიძლება მოკლე დროში აპირებდა სიტუაციის გარკვევას. ტურ დე ფრანსის დროს, ალბერტოს უფროსი ძმა და მენეჯერი - **ფრან კონტადორი** დაძაბულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ყაზახებთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რომელიც წელიწადში 4-5-მილიონიან ხელფასს ითვალისწინებდა. მაგრამ საბოლოოდ, გარიგება არ შედგა. *„მშვიდად განვიხილავ მომავალი სეზონის შესახებ ყველა წინადადებას. ახლა არ შეიძლება არანაირი ვარიანტის გამორიცხვა“*, - განაცხადა ველომრბოლმა მას შემდეგ, რაც „ასტანასთან“ დაშორება გამოაცხადა.

*„კონტადორის გადაწყვეტილება არანაირად არ არის დამოკიდებული ჩვენი გუნდის მოქმედებაზე - ის სხვა გუნდებისგან წამოსულ შეთავაზებებს უკავშირდება, - წერია „ასტანას“ ოფიციალურ განცხადებაში. - ჩვენ ვაფასებთ მის გადაწყვეტილებას და ალბერტოს წარმატებას ვუსურვებთ. სამი წლის განმავლობაში ყაზახური გუნდი ცდილობდა, მისთვის მაქსიმალური დახმარება გაეწია უმაღლესი შედეგების მისაღწევად. მასზე ზეწოლა არ ყოფილა. ჩვენი წინადადება გაცილებით აღემატებოდა მოქმედი კონტრაქტის პირობებს, მხოლოდ ვთხოვეთ მას, რაც შეიძლება სწრაფად მოეწერა ხელი ხელშეკრულებაზე“.*

■ ■ ■

ალბერტო კონტადორი „ასტანაში“ 2007 წლის ბოლოს გუნდ „დისქავერის“ დაშლის შემდეგ გადავიდა. სამი სეზონის განმავლობაში ყაზახური გუნდის მაისურით მან სამივე გრანდ-ტური მოიგო - თითოჯერ ჯირო დ'იტალია და ვუელტა და ორჯერ - ტურ დე ფრანსი. გასულ სეზონში „ასტანას“ მწვავე ფინანსური კრიზის ჰქონდა, რის შემდეგაც გუნდი დატოვა სახელგანთქმულმა მენეჯერმა **იოჰან ბრუნელმა** და თითქმის მთლიანმა შემადგენლობამ, რომელიც ხელფასის დაგვიანებით იყო უკმაყოფილო. მათ მიბაძვას აპირებდა კონტადორიც - მან რამდენიმე სარფიანი შეთავაზება მიიღო, მაგრამ კონტრაქტის გაწყვეტისთვის სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევდა. ალბერტოს პოტენციურმა დამქირავებლებმა ჯარიმის საკუთარ თავზე აღება არ მოისურვეს და ესპანელს კიდევ ერთი წელი მოუწია „ასტანაში“ დარჩენამ.



ესპანელმა პატიოსნად გამოიმუშავა საკუთარი მილიონები - მოიგო სეზონის მთავარი სტარტი. მაგრამ წლევანდელ ტურ დე ფრანსზე კონტადორს გუნდის მიმართ კიდევ უფრო მეტი პრეტენზია გაუჩნდა. განცალკევებითი რბოლის დროს ალბერტოს „ბრმად“ მუშაობა მოუხდა, რადგან პირველი შვიდი კილომეტრის შემდეგ მისი რადიო მწყობრიდან გამოვიდა. ასეთი რამ სეზონში ერთხელ ნებისმიერ მრბოლელს ემართება, მაგრამ წელს კონტადორს თითქმის ყველა განცალკევებით რბოლაში შეექმნა მსგავსი პრობლემა. საინფორმაციო უზრუნველყოფამ „ასტანას“ ერთ-ერთი პირენეული ეტაპის დროსაც ულალატა. გასაკვირი არ არის, რომ ესპანელმა უარი თქვა აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში საშინაო ვუელტაზე გამოსვლაზე. სავარაუდოდ, ის „ასტანას“ შემადგენლობაში რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვან რბოლაში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ საერთო ჯამში, კონტადორის ეპოქა ყაზახურ გუნდში დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა ყველა ექსპერტი ერთხმად აცხადებს, რომ ალბერტო Team Saxo Bank-ის წევრი გახდება. გარდა ამისა, კონტადორის მისაღებად მზად არის იოჰან ბრუნელი, რომელიც ამჟამად ლენს არმსტრონგის გუნდ RadioShack-ში მუშაობს. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ კონტადორი „ასტანადან“ თავისი ერთგული გრეგარების მთელი ჯგუფის წაყვანას აპირებს, ხოლო ამდენი ახალი კონტრაქტისთვის ამერიკულ საჯინიბოს ფული არ ეყოფა.

Team Saxo Bank-ის ფინანსური მდგომარეობა უფრო მყარია. სხვათა შორის, ამ გუნდს ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი, დანიელი **ბიარნე რიისი** უდგას სათავეში. ცნობილია, რომ ამ სეზონის შემდეგ დანიურ საჯინიბოს ტოვებენ მისი ამჟამინდელი ლიდერები - ძმები **ანდი** და **ფრენკ შლეკები**, რომლებსაც ახალ საჯინიბოში - ლუქსემბურგის SKY-ში სურთ ძალების მოსინჯვა. ასე რომ, Team Saxo Bank აქტიურად ეძებს ლუქსემბურგელების შემცვლელს. რიისეს კონტადორთან მოლაპარაკებებისკენ სპონსორი - ამერიკული კომპანია Specialized უბიძგებს, რომელიც Saxo Bank-თანაც თანამშრომლობს და კონტადორთანაც. ახლა ერთადერთი საკითხია - დათანხმდება თუ არა ალბერტო ხელფასის შემცირებას. საქმე ისაა, რომ „ასტანაში“ ესპანელის ჯამაგირი დღევანდელი საზომით ძალიან მაღალია და ევროპული გუნდები ამხელა თანხის გადახდას, ალბათ, ვერ შეძლებენ.

გამოკითხვა

# ყველაზე საძულველები

საინტერესო რეიტინგი შეადგინა ამერიკელმა სპორტულმა ჟურნალმა Sports Illustrated-მა. გამოკითხულ გულშემატკივრებს უნდა დაესახელებინათ „სპორტის ისტორიაში ყველაზე საძულველი“ გუნდი. საბოლოოდ, ჟურნალმა 25-გუნდიანი სია შეადგინა, რომლებიც ყველაზე მეტად არ მოსწონთ სპორტის მოყვარულებს.

პირველ ადგილზე აღმოჩნდა 1986 წელს მაიამის უნივერსიტეტის ამერიკული ფეხბურთის გუნდი. როგორც გამოცემა აღნიშნავს, მაიამელი მოთამაშეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ *„დაემცირებინათ და დაეშინებინათ მეტოქეები“*.

მეორე ადგილი ერგო NBA-ის კლუბ „დეტროიტ პისტონზს“, კერძოდ ამ გუნდის 1988-89 წლების შემადგენლობას. მესამეზე გავიდა ამერიკული ფეხბურთის კლუბის - „დალას კოვბოის“ 1992 წლის შემადგენლობა.

რეიტინგში ერთადერთი საფეხბურთო გუნდი აღმოჩნდა „მანჩესტერ იუნაიტედი“. 1998-99 წლებში ინგლისელებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიუნხენის „ბაიერნი“ მსაჯის მიერ დამატებულ დროში გატანილი ორი გოლით დაამარცხეს. „მანჩესტერს“ სიაში მე-10 ადგილი უკავია.

ჰოკეის გუნდებ[illegible]ყველაზე მაღლა რეიტინგში 1974-75 წლების „ფილად[illegible]აიერზი“ აღმოჩნდა. ეს გუნდი, ისევე როგორც ს[illegible] ნაწილი, კლასიფიკაციაში უხეში თამაშის გამო მო[illegible]ა. კერძოდ, Sports Illustrated აღნიშნავს, რომ „ფილადელფია“ პირველი კლუბია NHL-ში, რომელმაც ტაქტიკად მეტოქეთა დაშინება აირჩია.

აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრების მე-14 ადგილი. 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე საბჭოელებმა ფინალში ამერიკის ნაკრებს ბოლო წამზე **ბელოვის** ლეგენდარული ტყორცნის შემდეგ მოუგეს. მანამდე აშშ-ის არასოდეს წაეგო ოლიმპიადის ფინალში. Sports Illustrated წერს, რომ ამერიკელ ფანებს *„ეზიზღებოდათ ყველაფერი, რაც სსრკ-ს უკავშირდებოდა: მათი პოლიტიკა, წითელი ფორმა, თამაშის სტილი და მოღუშული სახეები“*.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კრივი

# ვიტალის ბრიგსი შეხვდება

**ვლადიმირ კლიჩკოს** შემდეგ მომავალი მეტოქის ვინაობა გაარკვია სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტულის მფლობელმა **ვიტალი კლიჩკომ**. მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **შენონ ბრიგსმა** განაცხადა, რომ ხელი მოაწერა უკრაინელთან საჩემპიონო ბრძოლის კონტრაქტს. ბრიგსის თქმით, ბრძოლა 16 ოქტომბერს გაიმართება, შეხვედრის მასპინძლობის უფლებას კი, სავარაუდოდ, გერმანიის ქალაქი ჰამბურგი მოიპოვებს. ჯერჯერობით უკრაინულ მხარეს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

38 წლის ბრიგსი გულშემატკივრებს უფროსი კლიჩკოს პენსიაში გაშვებას ჰპირდება. ამერიკელი საკუთარ თავს „ისტორიაში საუკეთესო მოკრივეს" უწოდებს და კლიჩკოს დამარცხების შემდეგ, WBA-ის ჩემპიონთან, ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** ჩხუბს აპირებს.

ამერიკელი ერთხელ უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი - 2006 წელს მან ბელარუსი **სერგეი ლიახოვიჩის** დამარცხების შემდეგ WBO-ის საჩემპიონო ქამარი მოიპოვა, 2007 წელს კი ტიტული რუს **სულთან იბრაჰიმოვს** დაუთმო.

ამჟამად ბრიგსი მერვე ადგილს იკავებს WBC-ის კლასიფიკაციაში. 2010 წელს მან უკვე სამი ბრძოლის გამართვა მოასწრო ნაკლებად ცნობილ მოკრივეებთან და სამივეში ნოკაუტით გაიმარჯვა. სულ პროფესიულ რინგზე 57 ბრძოლა ჩაატარა, 51 მოიგო (45 - ნოკაუტით), ხუთი წააგო და ერთი ფრედ დაასრულა.

რაც შეეხება კლიჩკოს, თავის დროზე მან განაცხადა, რომ მორიგ ბრძოლას ოქტომბერში გამართავს. ივლისის შუაში უკრაინელის მრჩეველმა **ბერნდ ბენტემ** კლიჩკოს სავარაუდო მეტოქეები დაასახელა - ბრიგსი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი**, პოლონელი **ტომაშ ადამეკი** და კუბელი **ოდლანიერ სოლისი**.



■ ■ ■

ვიტალიზე უფრო ადრე საჩემპიონო ბრძოლა უწევს ვლადიმირ კლიჩკოს, რომელიც გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ნიგერიელ **სამუელ პიტერს** უნდა შეხვდეს. თუმცა ამ ბრძოლის ჩატარებას კვლავ საფრთხე დაემუქრა. საქმე ისაა, რომ ფრანკფურტის საქალაქო საბჭოს დეპუტატები ეწინააღმდეგებიან აღნიშნული ჩხუბის გამართვას.

ბრძოლის აკრძალვის წინადადებით გამოვიდა საქალაქო საბჭოს ერთ-ერთი ფრაქცია. დეპუტატები ამტკიცებენ, რომ ეს სპორტული ღონისძიება ეწინააღმდეგება ქალაქის საბჭოს მიერ ერთხმად მიღებულ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც ფრანკფურტში იკრძალება ბრძოლა წესების გარეშე და სხვა მსგავსი შეჯიბრებები, სადაც ძალადობა წინა პლანზე გამოდის და საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას. აკრძალვის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ განსაზღვრებას სავსებით მიესადაგება პროფესიონალ მოკრივეთა ბრძოლები, რადგან აქაც ხშირია ტრავმიანობა.

არავის არ სჯერა, რომ დეპუტატები საჩემპიონო ბრძოლის ჩაშლას შეძლებენ. უფრო მეტიც, გუშინ კლიჩკოსა და პიტერის ჩხუბის ოფიციალური კონტრაქტი გაფორმდა და ნიგერიელმა უკრაინელის დამუქრებაც კი მოასწრო: *„ვლადიმირმა იცის, ვინც მოიგებს ამ ბრძოლას. ამჯერად მის ნოკაუტში გაგზავნას ვაპირებ. ჩხუბი დიდი ხანი არ გაგრძელდება. მე ნიგერიაში ვიზრდებოდი და სწორედ იქ ვისწავლე ძლიერი დარტყმა. როცა ასეთი იარაღი გაქვს, ბრძოლა, როგორც წესი, მალე სრულდება".*

მძლეოსნობა

ევროპის ჩემპიონატი

# გერმანელთა დღე




ბარსელონაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მესამე დღეს მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა. ეს საღამო განსაკუთრებით წარმატებული იყო გერმანელი ათლეტებისთვის, რომლებმაც ოქროს ორი მედლის მოპოვება შეძლეს, მათ შორის ერთი ოქრო დღის მთავარ სტარტზე - ქალებს შორის 100 მეტრზე. ფინალური გარბენი ძალიან დაძაბული გამოვიდა. გერმანელ **ფერენა ზაილერს** დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ფრანგმა სპრინტერებმა - **ვერონიკ მანგმა** და **მირიამ სუმარმა**. საბოლოოდ, ზაილერმა მეორე ადგილს ერთი მეასედი წამით აჯობა, მესამე ადგილს - რვა მეასედით. აღსანიშნავია, რომ სამივე სპრინტერმა ბარსელონის სარბენ ბილიკზე პირადი რეკორდი გააუმჯობესა. სხვათა შორის, მეოთხე ადგილზე გასულმა ნორვეგიელმა **ეზინ ოკპარაებომ** ეროვნული რეკორდის გაუმჯობესება შეძლო.

ზაილერამდე გერმანიას პირველი ოქრო შუბის მტყორცნელმა **ლინდა შტალმა** მოუტანა. ამ დისციპლინაში გერმანელებმა დუბლი შეასრულეს - ჩემპიონს მეტრითა და 23 სანტიმეტრით ჩამორჩა თანამემამულე **კრისტინა ობერგფიოლი**. არადა, გერმანულ დუეტს დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია ჩეხ **ბარბორა შპოტაკოვასთან** ბრძოლაში. ეს უკანასკნელი პირველი ოთხი ცდის შემდეგ ლიდერობდა, მაგრამ მეხუთე ცდაზე ყველაფერი შეიცვალა. შტალმა თავისი საჩემპიონო ტყორცნა სწორედ ამ ცდაზე შეასრულა და პირადი რეკორდიც გააუმჯობესა, ცოტა ხანში კი შპოტაკოვას ობერგფიოლმაც გაუსწრო.

საკმაოდ მოულოდნელად დასრულდა სამხტომში შეჯიბრი მამაკაცებს შორის. მას შემდეგ, რაც ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა **კრისტიან ოლსონმა** არ ისურვა სტარტზე გასვლა, ოქროს მთავარი პრეტენდენტები გახდნენ სეზონის ლიდერი, ფრანგი **ტედი ტამგო** (17.98) და მსოფლიოს ჩემპიონი, ბრიტანელი **ფილიპს აიდოვუ**.

მთავარი ფავორიტი ტამგო ნერვებს ვერ გაუმკლავდა, თუმცა თითქმის ყველა ნახტომი 17 მეტრზე შორს ჰქონდა. აიდოვუ კი, რომელიც წელს ჩრდილში მოექცა, ერთმანეთის მიყოლებით ბრწყინვალე ნახტომებს ასრულებდა - 17.46, 17.47, 17.40 და ბოლოს, ფანტასტიკური - 17.81 მეტრი! 32 წლის ბრიტანელისთვის ეს პირადი რეკორდი იყო. მისი გამარჯვებით განსაკუთრებით გახარებული ჩანდა ლეგენდარული ბრიტანელი **ჯონათან ედვარდსი**, რომელიც ტელევიზიით აკეთებდა კომენტარს.

ფრანგმა ტამგომ კი მეორე ადგილიც დაკარგა, რადგან მოულოდნელად მას რუმინელმა **მარიან ოპრიამ** მოუგო - მათ შორის სხვაობამ ექვსი სანტიმეტრი შეადგინა.

დიდი ბრძოლა გაიმართა ათჭიდში გამარჯვებისთვის. ბოლო სახეობის, 1500 მეტრზე სირბილის წინ ლიდერი - ფრანგი **რომენ ბარა** სულ რაღაც 29 ქულას უგებდა მეორე ფავორიტს - ბელარუს **ანდრეი კრავჩენკოს**. მათ შორის კი ახალგაზრდა ჰოლანდიელი **ელკო სინტინიკოლაასი** მოექცა, რომლის ჩამორჩენა ფრანგთან სულ რაღაც 5 ქულა იყო! ბარა ბოლო გარბენის ფავორიტად მიიჩნეოდა, რადგან 1500 მეტრზე სირბილში კონკურენტებზე უკეთესი პირადი რეკორდი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელმა დიდი ბრძოლა გაუმართა ფრანგს და პირველი ათასი მეტრი ისინი ერთად მიდიოდნენ. მხოლოდ ბოლო მოსახვევში შეძლო ბარამ მეტოქის ჩამოტოვება და ოქროს მედლის განაღდება. ჰოლანდიელს ვერცხლი ერგო, კრავჩენკოს - ბრინჯაო.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **სამხტომი** | |
| 1. ფილიპს აიდოვუ (ბრიტ) | 17,81 |
| 2. მარიან ოპრია (რუმ) | 17,51 |
| 3. ტედი ტამგო (საფ) | 17,45 |
| **სიმაღლეზე ხტომა** | |
| 1. ალექსანდრ შუსტოვი (რუს) | 2,33 |
| 2. ივან უხოვი (რუს) | 2,31 |
| 3. მარტინ ბერნარდი (ბრიტ) | 2,29 |
| **ათჭიდი** | |
| 1. რომენ ბარა (საფ) | 8453 |
| 2. ელკო სინტინიკოლაასი (ჰოლ) | 8436 |
| 3. ანდრეი კრავჩენკო (ბლრ) | 8370 |
| **ქალები** | |
| **შუბის ტყორცნა** | |
| 1. ლინდა შტალი (გერ) | 66,81 |
| 2. კრისტინა ობერგფიოლი (გერ) | 65,58 |
| 3. ბარბორა შპოტაკოვა (ჩეხ) | 65,36 |
| **100 მ** | |
| 1. ფერენა ზაილერი (გერ) | 11,10 |
| 2. ვერონიკ მანგი (საფ) | 11,11 |
| 3. მირიამ სუმარი (საფ) | 11,18 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2010** | |
| **Under 19. ფინალი** | |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 2:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კატანია-ირაკლისი | გადაიდო |
| შივასი-კამბური | 3:0 |
| ხემნიცი-კოტბუსი | 1:1 |
| სტ. პაული-რასინგი | 3:0 |
| ჰერენვეენი-მალიორკა | 4:0 |
| ბრენტფორდი-კრ. პალასი | 1:1 |
| ბენფიკა-ფეიენოორდი | 4:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| აიაჩო-ისტრი | 4:0 |
| ანჟერსი-ბასტია | 2:2 პენ. 2:4 |
| კლერმონი-მეცი | 3:1 |
| დიჟონი-ამიენი | 0:0 დ.დ. 1:2 |
| გრენობლი-გინგამი | 1:2 |
| ლავალი-შატორუ | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ჰავრი-ლე მანი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| სედანი-ნიმი | 0:0 პენ. 4:5 |
| სტრასბური-ევიანი | 2:2 პენ 4:5 |
| ტური-ვანი | 1:2 |
| ტრუა-რეიმსი | 1:1 პენ. 5:6 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ვარეგემი | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-სტ. პოლტენი | 4:0 |
| გრატკორნი-ადმირა | 0:3 |
| ჰარტბერგი-ლუშტენაუ | 1:2 |
| გრიოდიგი-სტ. ანდრე | 4:0 |
| ვენა-ალტახი | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 1:1 |
| დროგედა-ბრეი | 0:2 |
| უნივერსიტი-გალვეი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ფინ ჰარპსი-დერი | 1:1 |
| მონეგანი-მერვუ | 4:0 |
| შელბურნი-ლიმერიკი | 0:4 |
| უექსფორდი-ლონგფორდი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| უსტი-ლიბერეცი | 0:0 |

| | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| იულავა-სლოვანი | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| სატურნი-ანჟი | 1:0 |
| ნალჩიკი-ამკარი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| როტორი-ვოლგა | 1:4 |
| სალიუტი-ხიმკი | 1:2 |
| ჟემჩუჟინა-ბალტიკა | 1:2 |
| გაზპრომი-კამაზ | 0:1 |
| მორდოვია-ურალი | 1:1 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ირტიში | 2:1 |
| ავანგარდი-ყუბანი | 1:2 |
| კრასნოდარი-დინამო (ს-პ) | 0:0 |
| **ხორვატია** | |
| დრაგოვოლიაცი-ლოკომოტივა | 1:2 |
| ინტერი-სლავენი | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| ფერენცვაროში-პაკსი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| ოცელული-პანდური | 2:0 |
| ვასლუი-ტარგუ | 1:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. გშტაადი** | |
| ხიმენო ტრავერო-ანდრეევი | 6:2, 6:4 |
| იუჟნი-შჩუკინი | 4:6, 6:2, 5:7 |
| ალმაგრო-შარდი | 6:2, 7:6 |
| მონტანიესი-გასკე | 6:7, 4:6 |
| **ATP. ლოს ანჯელესი** | |
| კუერი-შუტლერი | 6:2, 3:6, 7:6 |
| **ATP. უმაგი** | |
| მელცერი-ჰაიეკი | 6:1, 6:0 |
| სტარაჩე-ფაუ | 6:4, 6:0 |
| სეპი-ო. როხუსი | 6:4, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-დოდიგი | 4:6, 6:4, 6:2 |
| მელცერი-სეპი | 6:1, 6:0 |
| დავიდენკო-ჩელა | 2:6, 1:6 |
| ფერერო-დოლგოპოლოვი | 6:1, 6:2 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| პავლიუჩენკოვა-კირსტეა | 6:4, 6:2 |
| ვესნინა-როდიონოვა | 7:5, 6:1 |
| დუშევინა-გროტი | 5:7, 2:6 |
| პეტკოვიჩი-ბალტაჩა | 6:4, 6:0 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| ა. რადვანსკა-კირილენკო | 7:5, 6:0 |

TV პროგრამა

**31 ივლისი. შაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-მანჩესტერ იუნ.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ლივერპული-ლილი.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** სასტვენი.
**13:10** ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი. უნირეა-ზენიტი.
**15:00** ახალი ამბები.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-ბარსელონა.
**17:20** საფრანგეთის სუპერთასი. მარსელი-პსჟ.
**19:10** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
**21:05** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**22:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-ინტერი.
**00:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**02:40** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ფულჰემი-იუვენტუსი.
**04:30** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.

**EUROSPORT**

**10:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. IV დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**12:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**14:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. IV დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**15:00** ავტოსპორტი. ფორმულა 2. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სტენფორდი. აშშ.
**17:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. IV დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**18:15** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**00:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღის მიმოხილვა.
**00:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სტენფორდი. აშშ.
**02:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**03:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღის მიმოხილვა.

**1 აგვისტო. კვირა**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-ცსკა.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. მარსელი-ბენფიკა.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ოსერი.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-ინტერი.
**16:10** ახალი ამბები.
**16:25** ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ლივერპული (LIVE).
**18:30** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ფულჰემი-იუვენტუსი.
**20:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**22:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვერდერი-ვალენსია.
**00:10** ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ლივერპული.
**02:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-არსენალი.
**04:00** საფეხბურთო პროგრამა.
**04:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.

**EUROSPORT**

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გასახურებელი წრე. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
**11:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**12:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მარათონი. კაცები. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**14:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრნო. ჩეხეთი.
**15:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
**16:00** სუპერსპორტი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. დონინგტონი (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ფინალი. გერმანია (LIVE).
**19:15** სუპერსპორტი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა. დონინგტონი.
**19:45** სუპერსპორტი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. დონინგტონი.
**20:30** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**20:45** მულტისპორტი.
**21:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. V დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**21:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. VI დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**00:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. VI დღის მიმოხილვა.
**01:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტენფორდი. აშშ.
**03:15** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.

ავტოსპორტი

# კიმი რაიკონენი რალისა და ფორმულას შორის

**დღეს** **კიმი რაიკონენი** ფორმულა 1-ის ყველაზე პოპულარული ყოფილი პილოტია. თითქოს სულ ახლახან გახდა ის მსოფლიოს ჩემპიონი, დღეს კი რალის გზებზე გვიწევს მისი ძებნა. ამ ზაფხულს აგორდა ჭორი რაიკონენის სამეფო რბოლებში სავარაუდო დაბრუნების შესახებ, მაგრამ უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფინელი პილოტი. დღეს განვიხილავთ რალიში მისი კარიერის მსვლელობას და შევეცდებით, გამოვიცნოთ, სად აღმოჩნდება კიმი მომავალი სეზონის დასაწყისში.

მისი ამჟამინდელი ისტორია გასული სეზონის ბოლოს დაიწყო - „ფერარიმ" გამოაცხადა, რომ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა **ფერნანდო ალონსოსთან**. ეს იმას ნიშნავდა, რომ კიმი რაიკონენისთვის კომპენსაციის გადახდა იყო საჭირო, რათა ფინელის მხრიდან არანაირ პრეტენზიას არ ჰქონოდა ადგილი. წარმოიდგინეთ - გუნდი მზად იყო ფულის სანაცვლოდ კონტრაქტი გაეწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონთან! ასეთი რამის წარმოდგენა რთულია, მაგრამ ამას ორი მიზეზი ჰქონდა.

ჯერ ერთი, ფინელი 2008 წელს სრული ძალით არ გამოდიოდა. დიახ, ის იმარჯვებდა, ქულებს აგროვებდა, მაგრამ მის თვალებში აღარ იყო ძველი ნაპერწკალი. შემდეგი სეზონი კიმისა და მისი გუნდისთვის სრული კრახით დასრულდა. ახალი ტექნიკური რეგლამენტი იმ მომენტში მიიღეს, როცა „ფერარი" **ჟან ტოდტის** გარეშე მუშაობას სწავლობდა. ეს ყველაფერი გაუგებარ ტაქტიკურ თამაშებში გადაიზარდა. წლის ბოლოს კიმი გუნდიდან წავიდა. ამ გადაწყვეტილებაზე სეზონის მიწურულს სპაზე გამარჯვებასაც არ უმოქმედია. როგორც ჩანს, ყველაფერი უფრო ადრე იყო გადაწყვეტილი - ჭორები მთელი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა...

მეორე მიზეზია ფული, რომელიც არა „ფერარიმ", არამედ ერთ-ერთმა ესპანურმა ბანკმა გადაიხადა. ესპანელი პილოტი და ესპანური ბანკი - მეტად მომგებიანი დუეტი იყო „ფერარისთვის" და აქ ტრიო არანაირად არ გამოდიოდა. მოკლედ, „ფერარის" ისტორია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ რა იყო შემდეგ?

კიმი შემოდგომაზე ამბობდა, რომ ფორმულა 1-სა და რალის ჩემპიონატს შორის გააკეთებდა არჩევანს. ერთი მხრივ, არსებობდა „მაკლარენში" გადასვლის ვარიანტი, მეორე მხრივ - სასურველი სიმშვიდე რალიში. რაიკონენი დიდი ხანი ვერ იღებდა ოფიციალურ გადაწყვეტილებას, მაგრამ ბოლოს რალიზე შეაჩერა არჩევანი.

მაშ ასე, კიმიმ რალის მსოფლიოს ჩემპიონატში კარიერა დაიწყო. უკვე ექვს თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ 2011 წლისთვის მისი მომავალი ჯერ კვლავ გაურკვეველია. შესაძლოა, ეს ინტერესის გასაღვივებლად კეთდება და არავის გაუკვირდება, თუ მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. სანამ ამ ინფორმაციას შევიტყობდეთ, შევეცდებით, განვიხილოთ ორი ფაქტორი: კიმის წარმატებები და პერსპექტივები რალიში და მისი სავარაუდო გუნდი ფორმულა 1-ში.

თავიდან გადავხედოთ კიმის სტატისტიკას რალიში:




- მონაწილეობა მიიღო შვიდიდან ექვს ეტაპში (ახალი ზელანდიის რალი გამოტოვა);
- ერთხელ ვერ დაასრულა ეტაპი (მექსიკა);
- სამ ეტაპზე მიიღო ქულები;
- მე-10 ადგილზეა ჩემპიონატში და 15 ქულა აქვს აქტივში (უკან არიან მხოლოდ უფრო დაბალი კლასის პილოტები).

თითქოს ბევრი არაფერი, მაგრამ, მოდი, უფრო დეტალურად განვიხილოთ მისი გამოსვლა. ყველაფერი შვედეთის თოვლიანი რალით დაიწყო. თითქმის მშობლიურმა მხარემ კიმი არც ისე თბილად მიიღო - ძალიან ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. მოყინულმა გზებმა რაიკონენს სტაბილურად გამოსვლის საშუალება არ მისცა. ცალკეულ სპეცმონაკვეთებზე ის ღირსეულად გამოიყურებოდა და საუკეთესო ათეულშიც შედიოდა, მაგრამ შეცდომები უფრო მეტი იყო და საბოლოოდ, სოლიდური ჩამორჩენა მიიღო. მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა პირველივე დღეს დაუშვა - თოვლის გროვას დაეჯახა, რის გამოც იძულებული გახდა ხელში ნიჩაბი დაეჭირა და მანქანა გაეთავისუფლებინა. ამისთვის 26 წუთი დახარჯა. მაგრამ ის სწორედ ამ ბორცვს უნდა უმადლოდეს, რომ ტრასიდან არ გადავარდა და საერთოდ არ გამოეთიშა ბრძოლას.

ამის შემდეგ კიდევ უარესი მოხდა. მექსიკის რალი - პირველი ქვა-ღორღიანი ეტაპი იყო ფინელისთვის. დასაწყისი მშვენიერი გამოვიდა. პირველი ექვსი სპეცმონაკვეთიდან ხუთში კიმი საუკეთესო ათეულში შევიდა. ლიდერებთან ჩამორჩენა დიდი იყო, მაგრამ კიმი მთავარს ახერხებდა - ადგილს ინარჩუნებდა ტოპათეულში. თუმცა მეშვიდე სპეცმონაკვეთის დასრულებამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე გზიდან გადავარდა. მექსიკაში მას თოვლი ვერ გადაარჩენდა, ამიტომაც ფინელმა მანქანა დაამტვრია და შეწყვიტა გამოსვლა.

სამაგიეროდ, შემდეგ რბოლებში ყველაფერი გაცილებით უკეთ წარიმართა. იორდანიის, თურქეთისა და პორტუგალიის რალი კიმიმ ბრწყინვალედ ჩაატარა. სამივე შემთხვევაში ის ქულათა ზონაში მოხვდა, ყველაზე წარმატებული კი თურქეთის ღორღიანი ეტაპი აღმოჩნდა, სადაც კიმი მეხუთე მივიდა ფინიშთან. როგორც ჩანს, რაიკონენი ტყუილად არ გავარდნილა მექსიკაში - იქაურმა გამოცდილებამ მას თავისი რეალური დონე დაანახა.

შემდეგ იყო ასფალტის ეტაპი ბულგარეთში, ანუ მესამე დებიუტი სეზონში - ამ საფარზე კიმის გამოცდილება არ ჰქონია. და აქაც, რაიკონენმა პირველივე დღეს შეცდომა დაუშვა - თავი ვერ გაართვა მარჯვენა მოსახვევს და ტყეში შევარდა, სადაც ერთხელ ამოტრიალდა, შემდეგ კი ინციდენტის ადგილიდან გაუსვლელად ჟურნალისტებს თავის სტილში „მშრალი" ინტერვიუ მისცა. ეს შეცდომა განსაკუთრებით დასანანი იყო, რადგან ბულგარეთის ეტაპი რაიკონენმა კარგად დაიწყო და ვიცე-ჩემპიონ **მიკო ჰორვონენსაც** კი ებრძოდა. კიმის თავისუფლად შეეძლო მეხუთე ადგილი მოეტანა „სიტროენისთვის", მაგრამ ყველაფერი იმ შეცდომამ გააფუჭა. მოკლედ განმეორდა მექსიკის სიტუაცია, როცა თავიდან ალღო ვერ აუღო ღორღიან ტრასას, მაგრამ თურქეთში გამოასწორა შეცდომა, ახლა კი პირველად გამოვიდა ასფალტზე და ისევ დაუშვა შეცდომა. წინ კი ამ საფარზე კიდევ სამი რბოლაა და ფინელისგან კვლავ ქულათა ზონაში ფინიშს ველით. პილოტები ფორმულა 1-ის ვარჯიშებზეც ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ტრასის მიღმა - ისინი ოპტიმალურ ტრაექტორიებს ეძებენ. აქ კი კიმის უსაფრთხოების ზონის ნაცვლად, ბორცვი, ტყე და ხრამი ხვდება.

ამ შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კიმის რალიში მომავალი ნამდვილად აქვს. მართალია, კარგა ხანი ვერ შეძლებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას, მაგრამ ამას მისგან არავინ ელის და ითხოვს. მით უმეტეს, ლეგენდარული **სებასტიან ლოების** ეპოქაში, როცა გამოცდილი რალისტებიც ვერაფერს აკლებენ ფრანგს. ამიტომაც ბევრი დადებითი მხარე კიმის რალიში დარჩენას.

■ ■ ■

მაგრამ რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ რაიკონენი მოულოდნელად ფორმულა 1-ში დაბრუნებას მოისურვებს. ყველაზე ხშირად განიხილავენ „რედ ბულის" ვარიანტს. მაგრამ საკითხავია, ვის ნაცვლად უნდა მივიდეს იქ 2007 წლის ჩემპიონი. **მარკ უებერმა** ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი, **სებასტიან ფეტელის** რაიკონენით შეცვლას კი აზრი არ აქვს. ეს გუნდი ვერ იქნება ის გიგანტი, რომელსაც ნებისმიერ ფასად შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონის აყვანა. გუნდს ურჩევნია ახალგაზრდა პილოტი გაიფორმოს, ისეთი, როგორიც თავის დროზე ფეტელი იყო. თანაც, „რედ ბულის" საჯინიბოს უკვე ყველა კარგად იცნობს და რაში სჭირდება **დიტრიხ მატეშიცს** კიმიში ფულის დახარჯვა.

„ფერარი" და „მაკლარენი" შეიძლება თავიდანვე გამოვრიცხოთ. პირველმა ფაქტობრივად გააგდო ფინელი, მეორეს კი უკვე ჰქონდა რაიკონენთან მოლაპარაკების გამოცდილება და ისტორიის გაგრძელება, ალბათ, არ იქნება. „რენოც" არ არის რეალური ვარიანტი. ჯერ ერთი **რობერტ კუბიცა** გაფორმებულია, მეორე პილოტის ადგილზე კი ბევრი სხვა ვარიანტი განიხილება, თანაც ამ ადგილზე ახალი წევრის მიღებით ფრანგულ გუნდს ფულის შოვნაც კი შეუძლია, რადგან არაერთი სპონსორიანი ახალგაზრდა პილოტი მოისურვებს „რენოში" ჩარიცხვას.

მაგრამ ერთი საინტერესო ვარიანტი მაინც არსებობს - „უილიამსი". გუნდის ბოსებს არაერთხელ გამოუყვანიათ შვებულებიდან ყოფილი ჩემპიონები, ამიტომაც გასაკვირი არ იქნება, თუ ფინელი სწორედ ამ გუნდში გადავა. მართალია, იქ არც ისე მაღალი ხელფასი იქნება, მაგრამ კიმს არც რალიში დარჩენის სანაცვლოდ გადაუხდიან დიდ თანხას. „უილიამსი" კი ყოველთვის ახალგაზრდა და პერსპექტიული გუნდია, რომელიც მხოლოდ ფორმულა 1-ით ცხოვრობს. მას კიდევ ერთი მცირე პლუსი აქვს - სისტემა KERS. კიმიმ მასთან მუშაობა „ფერარიში" ისწავლა და შეუძლია კონსულტაციის გაწევა. მოკლედ, თუ **ფრენკ უილიამსი** ფინელს კარგ პირობებს შესთავაზებს, ტრანსფერი სავსებით მოსალოდნელი იქნება.

მანამდე კი მოცდა მოგვიწევს - რაიკონენის ინტერვიუებიდან ვერაფერს გაიგებს კაცი, ამიტომაც ოფიციალურ ინფორმაციას უნდა დაველოდოთ.

ფორმულა 1

# მეორე პილოტი არ ვარ!

**უნგრეთის** გრან-პრის წინ მოწყობილ ოფიციალურ პრესკონფერენციაზე მთავარი მოქმედი პირი „ფერარის" პილოტი **ფელიპე მასა** გახდა. ბრაზილიელმა ავტომრბოლმა შარშან სწორედ „ჰუნგარორინგზე" მიიღო თავის უმძიმესი ტრავმა, რის გამოც თითქმის ნახევარი სეზონის გამოტოვებამ მოუწია. თუმცა ჟურნალისტებს ნაკლებად აინტერესებდათ უნგრულ ტრასაზე ხელახალი დაბრუნების წინ მასას შთაბეჭდილებები - მათი ყურადღება „ფერარიში" არსებული სიტუაციისკენ იყო მიპყრობილი. მათ მხედველობაში ჰქონდათ წინა კვირას გერმანიის გრან-პრიზე მომხდარი ინციდენტი, როცა ლიდერმა მასამ „ფერარის" ხელმძღვანელთა მითითებით თანაგუნდელი **ფერნანდო ალონსო** წინ და გაუშვა მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

პრესკონფერენციაში მასამ უარყო ექსპერტთა და ჟურნალისტთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მას „სკუდერიაში" მეორე პილოტის როლი აქვს მინიჭებული, გარდა ამისა, დააიმედა თავისი გულშემატკივრები, რომ ამიერიდან მის გასასწრებად ალონსოს დიდი ბრძოლა მოუწევს.




*„თუ თქვენ ჩემგან გაიგონებთ, რომ მასა - „ფერარის" მეორე პილოტია, ჩათვალეთ, რომ ეს არის ჩემი ბოლო სიტყვები პროფესიონალი მრბოლელის რანგში. დარჩენილ რბოლებში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ და თუ შემთხვევით განმეორდება ისეთი სიტუაცია, რომელსაც გერმანიის გრან-პრიზე ჰქონდა ადგილი, ალონსოს წინ გასასვლელად ჩემთან ბრძოლა მოუწევს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ფორმულა 1 - გუნდური სპორტია. მაგრამ მე იმისთვის არ მოვსულვარ სამეფო რბოლებში, რომ უბრალოდ მოვალეობა მოვიხადო - ჩემი მთავარი მიზანი გამარჯვებების მოპოვებაა. ამასთან, ნამდვილი პროფესიონალი ვარ და ამიტომაც მუდმივად უნდა ვეძებო ბალანსი პირად და გუნდურ ინტერესებს შორის"*, - განაცხადა მასამ.

■ ■ ■

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა გამოცემა „ლიბერომ". როგორც ირკვევა, „ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** დატოვებს კომპანიას და პოლიტიკურ კარიერას მიჰყოფს ხელს. ეს ჭორი ადრეც გავრცელდა, მაგრამ იტალიელმა ჩინოვნიკმა უარყო პოლიტიკაში წასვლა, თუმცა ბოლო ორი დღეა ისევ გაჩნდა ამგვარი ვარაუდები. „ლიბეროს" გარდა, ეს ახალი ამბავი ფრანგული ტელეარხის TF1-ის ეთერშიც გაჟღერდა, თუმცა ტელეკომპანიას ინფორმაციის წყარო არ დაუსახელებია.

დე მონტეძემელოს სავარაუდო მემკვიდრედ 34 წლის **ანდრეა ანიელის** ასახელებენ. ეს გახლავთ საფეხბურთო კლუბ ტურინის „იუვენტუსის" პრეზიდენტი, აგრეთვე „ფიატის" დირექტორთა საბჭოს წევრი.

მონტეძემოლო ახლა 62 წლისაა. ის „ფიატში" ჯერ კიდევ 70-იან წლებში მივიდა და **ენცო ფერარის** ასისტენტად მუშაობდა. 1991 წელს იტალიელი კომპანია „ფერარის" პრეზიდენტი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალავეიშვილმა**